

# მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები

მითითებები შესყიდვებზე

2021 წლის დეკემბერი

აზიის განვითარების ბანკი





Creative Commons Attributions- NonCommercial- NoDerivs 3.0

IGO ლიცენზია (CC BY-NC-NG 3.0 IGO)

აზიის განვითარების ბანკი

6 ADB Avenue, MANDALIYONG CITY, 1550 METRO, მანილა, ფილიპინები

ტელ: +63 2 8632 444

[www.adb.org](http://www.adb.org)

უფლებების ნაწილი დაცულია. გამოქვეყნებულია 2021 წელს.

ISBN 978-92-9269-27-1 (დაბეჭდილი); 978-92-9269-272-8 (ელექტრონული)

გამოცემის ნომერი: TIM210517-2

DOI: <http://dx.doi.org/10.22617/TIM210517-2>

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და პირდაპირ არ ასახავს აზიის განვითარების ბანკის (ADB) ან მისი დირექტორთა საბჭოს ან მთავრობების შეხედულებებსა და პოლიტიკებს.

ADB არ იძლევა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემების სისწორის გარანტიას და არ იღებს პასუხისმგებლობას მათი გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე. კონკრეტული კომპანიების ან პროდუქტების მწარმოებელთა მოხსენიება არ გულისხმობს ADB-ს მიერ მათი მომსახურების გამოყენებას ან რეკომენდაციის გაცემას, ან სხვა მსგავსი შინაარსის კომპანიებთან/მწარმოებლებთან შედარებით მათთვის უპირატესობის მინიჭებას.

კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ რეგიონზე მითითებით, ან ტერმინი „ქვეყნა“ გამოყენებით, ADB მიზნად არ ისახავს ამ ტერიტორიის ან ქვეყნის სამართლებრივი ან სხვა სტატუსის შეფასებას.

წინამდებარე ნამუშევარი ხელმისაწვდომია Creative Commons Attributions- NonCommercial- NoDerivs 3.0 IGO ლიცენზია (CC BY-NC-NG 3.0 IGO) <http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/3.0/igo/>. წინამდებარე გამოცემის შინაარსის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით აღნიშნული ლიცენზიით გათვალისწინებულ გამოყენების პირობებს.

არბიტრაჟის და ნებართვებისთვის გთხოვთ გაეცნოთ დებულებებს და გამოყენების პირობებს შემდეგ ვებგვერდზე: <https://www.adb.org/terms-use#openaccess>.

CC ლიცენზია არ ვრცელდება არა-ADB საავტორო უფლებების მასალებზე, რომლებიც წარმოდგენილია ამ გამოცემაში. თუ მასალები ეკუთვნის სხვა წყაროს, გთხოვთ დაუკავშირდეთ საავტორო უფლებების მფლობელს ან ამ წყაროს გამომცემელს, რათა მიიღოთ ნებართვა გამოყენებაზე. ADB არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდება თქვენს მიერ წინამდებარე მასალების გამოყენებაზე.

კითხვების ან კომენტარების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ [pubsmarketing@adb.org](mailto:pubsmarketing@adb.org), ან თუ გსურთ მიიღოთ საავტორო უფლებებზე ნებართვა, რომელიც სცდება წარმოდგენილ პირობებს, ან თუ გსურთ გამოიყენოთ ADB ლოგო.

ADB გამოცემებთან დაკავშირებული კორექტირებები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <http://www.adb.org/publications/corrigenda>.

შენიშვნები:

წინამდებარე გამოცემაში სიმბოლო „\$“ მიუთითებს აშშ დოლარზე.

ADB ადასტურებს, რომ „ჩინეთი“ მიუთითებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, ხოლო „ვიეტნამი“ ვიეტნამზე.



## შინაარსი

ცხრილები, გამოსახულებები და ჩანართები.....	4
წინამდებარე დოკუმენტის შესახებ .....	7
მიმოხილვა .....	10
1. შესავალი.....	11
2. ADB-ის მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მიმართ მიდგომა .....	17
3. პასუხისმგებლობები.....	40
4. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სტანდარტები და ნიშნები .....	42
5. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები, ტექნოლოგიების და ელექტრონული შესყიდვების გამოყენება .....	44
6. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები სესხების სხვა მოდალობებში.....	46
7. დასკვნა .....	48
დანართი 1- გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხები .....	49
დანართი 2- სასიცოცხლო ციკლის ანალიზი .....	52
დანართი 3- გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოს მონიტორინგის გეგმა მდგრად სახელმწიფო შესყიდვებში.....	54
დანართი 4- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების ასპექტები ტექნიკურ დავალებაში.....	57
დანართი 5- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მაგალითები ქვეყნების მიხედვით.....	59
დანართი 6- ინდუსტრიული სტანდარტები და ვერიფიკაცია.....	73
დანართი 7- მდგრადი შესყიდვების ნიშნები .....	76
დანართი 8- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სექტორი/თემატური საკითხები .....	81
დანართი 9- გაერთიანებული ერების მდგრადი შესყიდვების მაჩვენებელი.....	84
დანართი 10- STEEP .....	86
დანართი 11- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პროექტების განხილვა.....	87

ცხრილები, გამოსახულებები და ჩანართები





## წინამდებარე დოკუმენტის შესახებ

2018 წლის აპრილში, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) დაამტკიცა შესყიდვების ახალი ჩარჩო, ADB შესყიდვების პოლიტიკა: საქონელი, სამუშაოები, არა საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურებები (2017, რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული პერიოდულობით); და შესყიდვების რეგულაციები ADB მსესხებლებისთვის: საქონელი, სამუშაოები, არა საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურებები (2017, რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული პერიოდულობით). აღნიშნული დოკუმენტებით ჩანაცვლდა კონსულტანტების მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელო (2013, რომელიც განახლებას ექვემდებარებოდა გარკვეული პერიოდულობით).

შესყიდვების პოლიტიკა და შესყიდვების რეგულაციები შეეხება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს და აღმასრულებელი სააგენტოს შესყიდვების აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება ADB-ს მიერ გაცემული სესხის ან გრანტის მთლიანად, ან ნაწილობრივ გამოყენების ფარგლებში, ან ADB-ს მიერ ადმინისტრირებული სახსრებით. ADB-მ 2017 წლის შესყიდვების პოლიტიკა შეიმუშავა პროექტის ფარგლებში შესყიდვების ციკლის მოქნილობის და სარგებლის მოტანის, ასევე პროექტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, და ყურადღება გამახვილდა ხარისხის, ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობისა (VFM) და მიზანთან შესაბამისობის საკითხებზე.

წინამდებარე დოკუმენტი არის სახელმძღვანელო დოკუმენტების სერიის ნაწილი, რომელიც ქვეყნდება ADB-ს მიერ და თან ერთვის 2017 წლის შესყიდვების პოლიტიკას და შესყიდვების რეგულაციებს. თითოეული მსგავსი დოკუმენტი განიხილავს მსესხებლისთვის დამახასიათებელ საკითხებს (მათ შორის გრანტის მიმღებები), აუქციონის მონაწილეების, და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებს (ნუსხა იხილეთ ქვემოთ).

იმის გათვალისწინებით, რომ მითითებების დოკუმენტები ხშირად ეყრდნობა/მიუთითებს ერთმანეთზე, აუცილებელია მათი ერთობლივი გამოყენება. ყველგან სადაც გაკეთებული მინიშნება „სახელმძღვანელო მითითებები“ მიგვანიშნებს სწორედ ამ დოკუმენტებზე. გასათვალისწინებელია, რომ სახელმძღვანელო მითითების დოკუმენტები ექვემდებარება პერიოდულ განახლებას, ჩანაცვლებას, ან გაუქმებას.

2017 წლის ADB შესყიდვების პოლიტიკის და შესყიდვების რეგულაციების სახელმძღვანელო მითითებები	
1. ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობა	14. მაღალი დონის ტექნოლოგია
2. შესყიდვებთან დაკავშირებული რისკები	15. ხარისხი
3. შესყიდვების სტრატეგიული დაგეგმვა	16. ტენდერთან დაკავშირებული საჩივრები
4. თანხმობები შესყიდვებზე	17. შეუსაბამობა შესყიდვებში
5. ალტერნატიული შესყიდვების წესები	18. მოცდის პერიოდი
6. ღია საკონკურსო ვაჭრობა	19. სახელმწიფო საწარმოები
7. ფასის კორექტირება/ფასის ინდექსაცია	20. ელექტრონული შესყიდვა; ელექტრონული შესყიდვები
8. შეუსაბამოდ დაბალი ფასი	21. საკონსულტაციო მომსახურებების ჩარჩო შეთანხმებები



9. შეღავათები კონტრაქტორებისთვის ადგილობრივი	22. საჯარო და კერძო თანამშრომლობა
10. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა	23. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/მართვა
11. ქვე-კონტრაქტორები	24. მოწყვლადი, კონფლიქტური და საგანგებო სიტუაციები
12. ADB მსესხებლის მიერ ადმინისტრირებული მომსახურებები საკონსულტაციო	25. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები
13. ADB მსესხებლის მიერ ადმინისტრირებული არა მომსახურებები არა საკონსულტაციო	26. შეფასების ქულობრივი სისტემა/ შეფასება ქულობრივი სისტემით



### მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს დახმარება აღმოუჩინოს მსესხებლებს (მათ შორის გრანტის მიმღებებს) ADB 2017 წლის შესყიდვების პოლიტიკის და შესყიდვების რეგულაციების განმარტებით და განხილვის გზით.

დოკუმენტში წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია მკითხველისთვის, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ADB შესყიდვების პოლიტიკის და შესყიდვების რეგულაციების გამოყენებისას.



### ცოცხალი დოკუმენტი

სახელმძღვანელო მითითებები არის ცოცხალი დოკუმენტი და განახლებას ექვემდებარება საჭიროების შესაბამისად.

უახლესი ვერსიების და განახლებებისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: <https://www.adb.org/business/main>.



### მკითხველი

მკითხველი მიიჩნევა დაფინანსების აქტივობებში მონაწილე პროფესიონალად როგორც ADB სესხების ან გრანტების, ან ADB-ს მიერ ადმინისტრირებული სახსრების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენების კუთხით.



### შემთხვევების განხილვა

შემთხვევების განხილვა, დამატებითი ინფორმაცია, სწავლების ბმულები და სხვა სასარგებლო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ADB ვებგვერდზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ADB ოპერაციების შესყიდვის ვებგვერდი. <https://www.adb.org/about/procurement>.





## სამართლებრივი და შეკვეთის პრიორიტეტები

სახელმძღვანელო მითითებები განმარტავს და განიხილავს შესყიდვების რეგულაციებს ADB მსესხებლებისთვის: საქონელი, სამუშაოები, არა-საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურებები (2017, ექვემდებარება პერიოდულ განახლებას), რომელიც უკავშირდება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს და შემსრულებელი სააგენტოს შესყიდვების აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება ADB-ს მიერ გაცემული სესხის ან გრანტის მთლიანად, ან ნაწილობრივ გამოყენების ფარგლებში, ან ADB-ს მიერ ადმინისტრირებული სახსრებით.

წინამდებარე დოკუმენტსა და შესყიდვების რეგულაციებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება შესყიდვების რეგულაციებს. დაფინანსების ხელშეკრულებები არეგულირებს მსესხებელს და ADB შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. მსესხებელს და საქონლის, სამუშაოების, ან მომსახურებების პროვაიდერს შორის უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრა ხდება შესყიდვის კონკრეტულ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელიც მზადდება მსესხებლის მიერ, და ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება მსესხებელს და პროვაიდერს შორის.

ADB	-	აზიის განვითარების ბანკი
BOQ	-	ხარჯთაღრიცხვა/მოცულობათა უწყისი
CPS	-	ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია
CSPRA	-	ქვეყნის და სექტორის/სააგენტოს შესყიდვის რისკის შეფასება
CSR	-	კორპორაციული/საერთო სოციალური პასუხისმგებლობა
EMAS	-	ეკო-მენეჯმენტის და აუდიტის სქემა
EMP	-	გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა
ENA	-	სომხეთის ელექტრო ქსელები
ESIA	-	გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება
FSC	-	ტყის რესურსების მართვის საბჭო
IFB	-	მოწვევა წინადადების წარსადგენად
ISO	-	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
KPI	-	შესრულების ძირითადი მაჩვენებელი/ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებელი
LCA	-	სასიცოცხლო ციკლის შეფასება
LCC	-	სასიცოცხლო ციკლის ფასი/ექსპლუატაციის ხარჯი
LEED	-	ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი პროექტირების მართვის პროგრამა
MAPS	-	შესყიდვების სისტემების შეფასების მეთოდოლოგია
MSC	-	საზღვაო მართვის საბჭო
OECD	-	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
OP3	-	ოპერაციული პრიორიტეტი 3
PPRA	-	პროექტის შესყიდვის რისკის შეფასება
RBL	-	შედეგებზე დაფუძნებული სესხი/სასესხო პროდუქტი
S2030	-	2030 წლის სტრატეგია
SDG	-	მდგრადი განვითარების მიზნები
SME	-	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
STEEP	-	პროექტების მიერ მოხმარებული ენერჯის შეფასების ზედამხედველობის ხელსაწყო
SusPP	-	მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები
SPP	-	შესყიდვების სტრატეგიული დაგეგმვა
VFM	-	ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობა

## მიმოხილვა

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითება მიზნად ისახავს დაეხმაროს აზიის განვითარების ბანკის (ADB) პერსონალს და მსესხებლებს (მათ შორის გრანტის მიმღებებს) და განუმარტოს მათ ADB მიდგომა მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ADB პროექტების და შესყიდვების ციკლის ჭრილში. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების გათვალისწინება (SusPP) ADB სესხის ან გრანტის, ან ADB მიერ ადმინისტრირებული სახსრების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენების პირობებში.

მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების დანერგვას და გამოყენებას აქვს შემდეგი სარგებელი:

### ეფექტურობის გაზრდა და შესყიდვის დროის შემცირება

- მდგრადობის კრიტერიუმები იგეგმება შესყიდვის ადრეულ ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართული შესყიდვის პროცესის ჩამოყალიბებას და ამცირებს პროექტის შეფერხების ალბათობას.

### ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის უზრუნველყოფა

- ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის პრინციპის გამოყენებით, მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები ხელს უწყობს მიზნის შესაბამისი პროდუქტების ან მომსახურებების შესყიდვას.
- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა ხელს უწყობს ექსპლუატაციის ხარჯის პრინციპის გათვალისწინებას.

### შესრულების პროცესის გაუმჯობესება

- მდგრადი და ინოვაციური გადაწყვეტილებებით, მომწოდებლები შეძლებენ მსესხებლებისთვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებას.

### მიზანთან შესაბამისობის გაუმჯობესება

- შესყიდვებისთვის მდგრადი გადაწყვეტილებების გამოყენება, რაც აუმჯობესებს მიზანთან შესაბამისობას.

# 1. შესავალი

## A. მიზანი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) თანამშრომლების და მსესხებლებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ADB-ს მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე. დოკუმენტი ასახავს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვებს (SusPP), აღწერს ADB შესყიდვების ციკლს, და მიმოიხილავს SusPP პრაქტიკებს, მათ შორის ინდუსტრიული სტანდარტების და ნიშნების გამოყენებას.

## B. გამოყენება

1.2. ADB შესყიდვების პოლიტიკა და რეგულაციები (2017, განახლებას ექვემდებარება პერიოდულად)<sup>1</sup> მოუწოდებს მსესხებლებს აქტიურად გაითვალისწინონ და გამოიყენონ მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები (SusPP) საჭიროების შესაბამისად, რათა მიღწეული იქნას ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობა (VFM) და ხარისხიანი შედეგები. მდგრადობის საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნას ADB შესყიდვების სტრატეგიული დაგეგმვის (SPP) პროცესში. SPP პროცესში სავალდებულო საკითხების გათვალისწინების და ADB სხვა პოლიტიკების შესაბამისი პროცესების წარმართვის გარდა (მაგალითად, უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები) უნდა მოხდეს SusPP საკითხების გათვალისწინება, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს პროექტების მიხედვით. განვითარებადი ეროვნული და რეგიონალური დონის პოლიტიკების გათვალისწინებით, რომლებიც მიმართულია მდგრადი განვითარებისკენ, მდგრადი შესყიდვების პროცესებში გამოყენება მსესხებლის პრეროგატივაა.

## C. რა არის მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა?

1.3. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა არის სისტემატური მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს და ხელს უწყობს საქონლის, სამუშაოების და მომსახურებების შესყიდვას, რომლებიც სხვა მსგავსი მიზნების მქონე საქონლის, სამუშაოების და მომსახურებისაგან განსხვავებით ნაკლებად აზიანებს გარემოს მათი წარმოების, გამოყენების და განკარგვის დროს, და აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიური, სოციალური და ინსტიტუციონალური ზემოქმედება.

---

## გამართება

„მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა არის შესყიდვის და ინვესტიციების პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სუბიექტის მიერ რესურსების ხარჯვის ეკონომიურ, გარემო, სოციალურ და ინსტიტუციონალურ ზემოქმედებას. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა საშუალებას აძლევს მთავრობებს დააკმაყოფილონ საქონლის, მომსახურებების, და სამუშაოების მოთხოვნა ისე, რომ მიაღწიონ ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას, და უზრუნველყონ სარგებელი არა

---

<sup>1</sup> იხილეთ:

(ა) შესყიდვების პოლიტიკა, პარაგრაფი 5 (vi): ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობა

(ბ) შესყიდვების რეგულაციები, პარაგრაფი 1.4 (f): სასიცოცხლო ციკლის ხარჯების და სოციალურ-ეკონომიური და გარემოს განვითარების მიზნების მსესხებლებისთვის და არა მხოლოდ ფასის გათვალისწინება;

(გ) შესყიდვების რეგულაციები, დანართი 1, პარაგრაფი 8: შეფასების კრიტერიუმები ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის მიღწევისთვის მოიცავს პროდუქტის და მომსახურების ხარისხის, სოციალურ-ეკონომიურ ან გარემოს მიზნებზე რეაგირებას, [...] და ხარჯების შეფასების ისეთ მეთოდს როგორც არის ექსპლუატაციის ხარჯები [...].


მხოლოდ ორგანიზაციის, არამედ საზოგადოების და ეკონომიისთვის, ასევე გაითვალისწინონ გარემო შესაძლებლობები.“<sup>2</sup>

**D. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პრინციპი**

1.4. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა არის სტრატეგიული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების საკითხების- როგორც არის ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება, გარემოს დაცვა და ხარისხიანი ინსტიტუციური მმართველობა- ინტეგრაციას. ეს არის ხარჯვისა და ინვესტირების პროცესი, რომელიც როგორც წესი უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას, თუმცა თანაბრად შეესაბამება კერძო სექტორს, და მოიცავს მომარაგების ჯაჭვში ჩართული მხარეების მჭიდრო თანამშრომლობას და მონაწილეობას.

1.5. შესყიდვების მდგრადი განხორციელება მოიცავს მოკლევადიანი საჭიროებების ნაცვლად გრძელვადიანი ზემოქმედების გათვალისწინებას თითოეული პროექტის და შესყიდვისთვის. ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ SusPP პროცესში საქონლის, მომსახურებების და სამუშაოების საჭიროებებს იკმაყოფილებენ არა ხარჯისა და სარგებელის ანალიზის საფუძველზე, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმუმამდე გაიზარდოს სარგებელი მათთვის და ზოგადად სამყაროსთვის. პრაქტიკაში, პოტენციური მომმარაგებლის მდგრადი ზემოქმედება ხშირად ფასდება ხარისხით. ეს ხარისხი როგორც წესი ნაწილდება გარემოს, ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციონალურ სფეროებს შორის და შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაში- გრაფიკი 1: მდგრადობის ოთხი კომპონენტი. დამატებით მაგალითები გარემოს, სოციალურ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებზე მოცემულია დანართში 1.

**გრაფიკი 1: მდგრადობის ოთხი კომპონენტი**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

<sup>2</sup> საკონსულტაციო კომიტეტი 10YFO SPP პროგრამა, <http://www.oneplanetnetwork.org/sites/default/files/10yfp-sppprinciples.pdf>

## გარემო

- გარემო რესურსების მართვა
- ურბანული დაგეგმვა
- CO2 შემცირება
- ალტერნატიული ენერჯის წყარო, მაგალითად: მზის, ქარის ენერჯია
- წყლის მართვა<sup>3</sup>
- მდგრადი სოფლის მეურნეობა
- საზღვაო რესურსების მართვა
- ეკოსისტემების დაცვა
- დაბინძურების და წყლის მართვა
- სასმელი წყლის გასუფთავება

## სოციალური

- ადამიანის უფლებები
- ეთიკური მომარაგების ქსელი
- კულტურული და ადგილობრივი თემების გაძლიერება
- სურსათის უვნებლობა
- სამართლიანი ანაზღაურება და შრომის კანონის დაცვა
- ადგილობრივი უნარები და დასაქმების შესაძლებლობების განვითარება
- ბავშვთა შრომის და იძულებითი შრომის კანონები
- სამართლიანი ვაჭრობა
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
- გენდერული თანასწორობა, მათ შორის უნივერსალური განათლება, ქალების მიერ მართული ბიზნესი
- ბავშვების სიკვდილიანობა და მშობლების ჯანმრთელობა
- ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა ყველას

## ეკონომიკა

- ეკონომიკური რეგენერაცია
- მდგრადი ეკონომიკური განვითარება
- განვითარებადი ბაზრები
- მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება
- საკუთრების ჯამური ღირებულება და ექსპლუატაციის ხარჯები (დანართი 2)
- ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობა
- მომარაგების ქსელის შესაძლებლობის განვითარება
- სიღარიბის შემცირება

## ინსტიტუციონალური

- ბიზნეს ეთიკა

<sup>3</sup> იხილეთ ADB. ხელსაწყო ენერჯის შეფასების პროექტების ზედამხედველობის ხელსაწყო- სახელმძღვანელო წყლის მართვის და ჩამდინარე წყლების დამუშავების სისტემებისთვის. <https://www.adb.org/publications/screeningtool-energy-evaluation-projects-wss>.

- მდგრადი ინსტიტუციური განვითარება
- მმართველობა და მართვა
- სწავლების და სწავლის ხარისხი
- ურთიერთობა საზოგადოებასთან
- თანასწორობა
- სისტემების გაძლიერების წახალისება
- ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) MAPS შეფასება<sup>4</sup>
- MAPS- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის მოდული<sup>5</sup>
- ქვეყნის სისტემების გამოყენება
- პოლიტიკები და სამიზნეები

## E. სტრატეგიული შესაბამისობა

1.6. ADB შესყიდვების რეგულაციების დებულებების შესაბამისად, არსებობს ძლიერი სტრატეგიული შესაბამისობა SusPP-ს ADB 2030 წლის სტრატეგიის სუვერენული ოპერაციების პროექტებში გამოყენების კუთხით. ADB 2030 წლის სტრატეგია<sup>6</sup> დამტკიცდა 2018 წელს. ოპერაციული პრიორიტეტი 3 და ADB ძალისხმევა უზრუნველყოს შესაბამისობას პარიზის შეთანხმებასთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან, (SDG)<sup>7</sup>, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებამ 2015 წელს მიიღო. შესაბამისობის კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია SDG 12 მდგრადი მოხმარება და წარმოება. 12.6: „კომპანიების, განსაკუთრებით დიდი მრავალეროვნული კომპანიების წახალისება მდგრადი პრაქტიკების გამოყენების და მდგრადი ინფორმაციის ანგარიშგების ციკლში გათვალისწინების წახალისება.“ და სამიზნე 12.7: „სახელმწიფო შესყიდვების მდგრადი პრაქტიკების წახალისება, ეროვნული პოლიტიკების და პრიორიტეტების შესაბამისად.“

## F. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესაძლებლობები და გამოწვევები

1.7. ტრადიციული შესყიდვა როგორც წესი ორიენტირებულია ფასზე და ეფექტურობაზე. SusPP მეტ ყურადღებას ამახვილებს ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობაზე, ითვალისწინებს ხარჯებს, რომლებიც შეიძლება დაიზოგოს საჯარო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ და თემმა სარგებელი მიიღოს ორგანიზაციების მოქმედებით.

1.8. ბევრი სარგებელი აქვს SusPP (ჩამოთვლილია ქვემოთ)<sup>8</sup>, თუმცა არსებობს რისკები და გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს გათვალისწინებას. SusPP გამოყენება შეიძლება იყოს სასარგებლო დადებითი მხარეების იდენტიფიცირების კუთხით, რაც ასევე მოითხოვს გათვალისწინებას.

<sup>4</sup> შესყიდვების სისტემების შეფასების მეთოდოლოგია (MAPS). MAPS ელემენტები. <https://www.mapsinitiative.org/methodology/>

<sup>5</sup> MAPS. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის დამხმარე მოდული, ვერსია 3. <https://www.mapsinitiative.org/methodology/MAPS-Sustainable-Public-Procurement-Module-v3.pdf>

<sup>6</sup> ADB. 2018. სტრატეგია 2030: წარმატებული, ინკლუზიური, მედეგი, და მდგრადი აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები. <https://www.adb.org/documents/strategy-2030-prosperous-inclusive-resilient-sustainable-asia-pacific>

<sup>7</sup> გაერთიანებული ერები. მიზანი 17- <https://sdgs.un.org/goals>

<sup>8</sup> სტოკჰოლმის მედეგობის ცენტრი. 2017. მდგრადი განვითარების მიზნები: 2030 წლის დღის წესრიგი. <https://www.stockholmresilience.org/research/research-news/2017-02-28-contributions-to-agenda-2030.html>. მსოფლიო ბანკი. 2019. მდგრადი შესყიდვა მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. <https://thedocs.worldbank.org/en/doc/788731479395390605-0290022019/original/GuidanceonSustainableProcurement.pdf>.

- **ფინანსური**

საოპერაციო ხარჯების შემცირება უფრო ეფექტური და მდგრადი პროდუქტების, სამუშაოების ან მომსახურებების შესყიდვით, რომლებიც:

- a) საბაზრო შესაძლებლობების განვითარება მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის;
- b) მდგრად გადაწყვეტილებებზე მოთხოვნის გაზრდა, რაც გამოიწვევს საბაზრო კონკურენციის გაზრდას;
- c) ინოვაციების და უფრო მდგრადი შედეგების მიმართ სწრაფვა;
- d) ხარჯების დაზოგვა გრძელვადიან პერსპექტივაში, რისთვისაც მოხდება სასიცოცხლო ციკლის ხარჯების (LCC) და ოპერაციულ და ტექნიკური მომსახურების საკითხებში გათვალისწინება; და
- e) განკარგვის ხარჯების და პროდუქტების მდგრადი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

- **რისკების მართვა**

ეკონომიკური, სამართლებრივი, გარემოს და სოციალური მდგრადობის საფრთხეების და შესაძლებლობების განსაზღვრაში მონაწილეობა და მართვის მიდგომების ჩამოყალიბება.

- **ვალდებულებები და მიზნები**

შემსყიდველი უწყების ორგანიზაციული კულტურის, ფასეულობების და ეთნიკური მახასიათებლების ასახვა პოლიტიკების შესაბამისად. აქ იგულისხმება SusPP პოლიტიკების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის ზოგად სტრატეგიას, როგორც არის ვალდებულებები და პრიორიტეტები, რომლებიც მკაფიოდ უნდა იყოს ასახული პოლიტიკაში და ოპერაციული დანერგვა, რაც თავის მხრივ უნდა აისახოს შესყიდვის პრაქტიკაში.

- **დაინტერესებული მხარეების მზარდ მოლოდინებზე რეაგირება**

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადობის საკითხები. ADB სხვა პოლიტიკებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად (მაგალითად, უსაფრთხოების საკითხები), რეაგირება შეიძლება დაიხვეწოს SusPP მიდგომების გამოყენებით.

- **მიმზიდველობა**

სოციალური პასუხისმგებლობის და მდგრადობის კუთხით მუშაობამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მსესხებლის ან პროექტის რეპუტაციაზე, გააძლიეროს კონკურენცია, და უზრუნველყოს ორგანიზაციების კონკურენციის უნარის გაძლიერება. SusPP დანერგვამ შესაძლოა მოიზიდოს სხვა ფინანსური ინვესტორები, ხელი შეუწყოს ბაზრის აქტიურობას, მოიზიდოს საუკეთესო ორგანიზაციები აუქციონის დროს, და ხელი შეუწყოს განვითარების მიზნების მიღწევას.

1.9. SusPP გამოყენებით მთავრობებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ მაგალითით და მიაღწიონ მთავარ მიზნებს და გაგზავნონ ძლიერი საბაზრო ნიშნები. სახელმწიფო შესყიდვებს აქვს უზარმაზარის შესყიდვის უნარი, და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12%-ს შეადგენს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შემთხვევაში,

ხოლო ბევრ განვითარებად ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს.<sup>9</sup> შესყიდვების ამ შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკების დანერგვით, რომლებიც მიმართული იქნება მდგრადობაზე, და უფრო მდგრადი პროდუქტებზე და მომსახურებებზე თანხის დახარჯვის გზით ეროვნული პოლიტიკების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, ბაზარი წავა ინოვაციების და მდგრადობის მიმართულებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას.

1.10. SusPP სარგებლის დასაბუთება და დემონსტრირება, განსაკუთრებით ჯანმრთელობაზე, სოციალურ პირობებზე და გარემოზე ზემოქმედების რაოდენობრივი გამოვლინება გამოწვევებს უკავშირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს საყურადღებო სფეროების და მიდგომების იდენტიფიცირება, რათა SusPP პროცესის ადრეულ ეტაპზე მოხდეს შედეგების განსაზღვრა.

1.11. სხვადასხვა სახის SusPP პროგრამები დაინერგა ეროვნული და ადგილობრივი სამთავრობო უწყებების მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის ფარგლებში. საბაზრო საკითხების მოკვლევა და მომწოდებლებისგან და ფირმებისგან ინოვაციებზე ინფორმაციის მიღება ხელს უწყობს პროექტირების, მომზადების, განვითარების და SusPP ინიციატივების დანერგვის მონიტორინგს, რაც თავის მხრივ ეხმარება მთავრობას მიაღწიოს SusPP დასახულ მიზნებს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ზოგადად თემის და გარემოს კუთხით.

---

<sup>9</sup> ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია. სახელმწიფო შესყიდვები. <http://www.oecd.org/gov/public-procurement/>




## 2. ADB-ის მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მიმართ მიდგომა

### A. მიმოხილვა

2.1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების გათვალისწინება ხდება შესყიდვების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. SusPP მიზნების მიღწევის მთავარი საშუალება არის მიზანზე ორიენტირებული შესყიდვების პროცესის შემუშავება; მდგრადობის შესაძლებლობები და რისკების მართვა შესყიდვის პროცესში. თუმცა, შეფასების, ანალიზის და შესყიდვების სტრატეგია უნდა იყოს პროპორციული ზომის, ხასიათის და ითვალისწინებდეს შესყიდვების კომპლექსურობას.

2.2. ამ თავში განვიხილავთ თუ როგორ შეიძლება SusPP საკითხების ADB შესყიდვების თითოეულ ციკლში გათვალისწინება და ინტეგრაცია. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, გრაფიკი 2 წარმოადგენს შესყიდვების ზოგად პროცესს. ეს დიაგრამა ასახავს შესყიდვების გავრცელებულ ეტაპზე, და მათ სტანდარტულ თანმიმდევრობას. თავად შესყიდვა შეიძლება იყოს განსხვავებული. ამ თავის დასასრულს შეჯამებულია შესაძლო SusPP საკითხები და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც მოქმედებს ADB შესყიდვის ციკლის ფარგლებში.

გრაფიკი 2: ADB შესყიდვების ციკლი




წყარო: აზიის განვითარების ბანკი

### B. ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია

2.3. ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია<sup>10</sup> (CPS) არის ADB-ს მთავარი პლატფორმა იმ ოპერაციების შემუშავებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს განვითარების მიზნების მიღწევას ქვეყნის დონეზე.

**გრაფიკი 3: ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.4. CPS განვითარების პროცესის ფარგლებში, ქვეყნის და სექტორის/სააგენტოს შესყიდვის რისკის შეფასება (CSPRA) ხორციელდება საჭიროების შესაბამისად, რაც გულისხმობს ქვეყანასთან და სექტორთან და/ან უწყებასთან დაკავშირებული შესყიდვის რისკების გათვალისწინებას, როგორც ეს ADB „*მითითების სახელმძღვანელო შესყიდვებთან დაკავშირებულ რისკებზე*“-ში არის მითითებული.<sup>11</sup>

2.5. CSPRA წარმოადგენს თემატურ და სექტორის ანალიზს, რომელიც უზრუნველყოფს ახალი CPS მომზადებას.

2.6. CSPRA შეფასების ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს SusPP და ნებისმიერ ასოცირებულ რისკს, რომელიც გამოიყენება CPS ინფორმირებისთვის. CSPRA მომზადებისას შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს ჩატარდა თუ არა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD<sup>12</sup>) შესყიდვების სისტემების შეფასების მეთოდოლოგია (MAPS<sup>13</sup>), და ითვალისწინებდა თუ არა შეფასება დამატებით მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მოდულს.<sup>14</sup>

2.7. განხორციელებულ შეფასებაზე დაყრდნობით, SusPP მხარდაჭერის ინიციატივები და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური მხარდაჭერა და შესაძლებლობები განვითარება

<sup>10</sup> ADB. ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია. <https://www.adb.org/documents/series/country- partnership-strategies>.

<sup>11</sup> ADB. შესყიდვების რისკის ჩარჩო. <https://www.adb.org/documents/procurement-risk-framework>

<sup>12</sup> ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია <https://www.oecd.org/>

<sup>13</sup> შესყიდვების სისტემის შეფასების მეთოდოლოგია. <https://www.mapsinitiative.org/>.


<sup>14</sup> MAPS. სახელმწიფო შესყიდვების მდგრადობის დამხმარე მოდული, ვერსია 3. <https://www.mapsinitiative.org/methodology/MAPS-Sustainable-Public-Procurement-Module-v3.pdf>

შესაძლოა დაიხვეწოს ADB-ის მიერ მთავრობისთვის CPS და ქვეყნის საოპერაციო ბიზნესის გეგმის ჩამოყალიბების კუთხით.

**C. პროექტის კონცეფცია**

2.8.ADB შესყიდვების ციკლის მეორე ეტაპი არის პროექტის კონცეფციის საფეხური, რომლის დროსაც განისაზღვრება ტრანზაქციის ტექნიკური დახმარების საჭიროება და ხდება შესყიდვის რისკის კატეგორიებად დაყოფა.

**გრაფიკი 4: პროექტის კონცეფცია**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.9.ამ ეტაპზე ხდება მსესხებლის მდგრადობის პოლიტიკების, სტრატეგიების და პრიორიტეტების გათვალისწინება, და პროექტში ინტეგრაცია, რათა განისაზღვროს მდგრადობის ზემოქმედება და საკითხები, რომლებზეც რეაგირებას მოახდენს შესყიდვის მიდგომა. მდგრადი შესაძლებლობები და რისკები განისაზღვრება პროექტის ამ ეტაპზე და შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, მათ შორის:<sup>15</sup>

- a) მსესხებლის ეკონომიკური, გარემოს, სოციალური და ინსტიტუციონალური მდგრადობის პოლიტიკები;
- b) თემის საჭიროებები და მოლოდინები;
- c) ბუნებრივი გარემო რისკები; და
- d) გარემოზე და სოციალურ ასპექტებზე ზემოქმედების შეფასება<sup>16</sup> (იხილეთ დანართი 3).

<sup>15</sup> მსოფლიო ბანკი. 2019. მდგრადი შესყიდვები მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტებში. <https://thedocs.worldbank.org/en/doc/178331533065871195-0290022020/original/ProcurementRegulations.pdf>

<sup>16</sup> იხილეთ დანართი 1.

2.10. მდგრადობის საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის პროცესი ხელს უწყობს მათი მნიშვნელობის და პროექტის დონეზე შეფასებას და SusPP პრიორიტეტებთან შედარებას. მნიშვნელობის განსაზღვროს დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:


- a) რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადობა მსესხებლისთვის და შემსყიდველი სააგენტოსთვის?
- b) გაუმჯობესების რა შესაძლებლობები არსებობს უფრო მდგრადი შედეგების მისაღწევად?
- c) შეძლებს თუ არა ბაზარი მდგრადობის საჭიროებების დაკმაყოფილებას?
- d) როგორი იქნება მდგრადობის გადაწყვეტილება: შეზღუდული, ნეიტრალური ან დაზოგვაზე ორიენტირებული?
- e) რა პარამეტრები არსებობს ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კუთხით ამ შესყიდვაში?

2.11. ტექნიკური დახმარების კონსულტანტების ტექნიკური დავალება (TOR) უნდა მოიცავდეს და განმარტავდეს SusPP ასპექტებს, მასშტაბს და დავალებებს, რომლებიც შესრულდება პროექტის განხორციელებალობის კვლევის ფაზაზე. დანართი 4 დეტალურად ასახავს იმ ასპექტებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ტექნიკურ დავალებაში (TOR).

**D. შესყიდვის დაგეგმვა**

2.12. პროექტის შესყიდვის გეგმის მომზადება გულისხმობს შესყიდვების სტრატეგიული დაგეგმვის (SPP) და პროექტის შესყიდვის რისკის შეფასების (PPRA) ჩატარებას.

**გრაფიკი 5: შესყიდვის დაგეგმვა**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.13. SPP პროცესი ახდენს მსესხებლის შესაძლებლობების, გარე ზემოქმედების და საბაზრო მდგომარეობის შეფასებას, და ახორციელებს შედარებას, რათა განხორციელდეს მიზნის შესაბამისი შესყიდვა, რომელიც რეაგირების პროექტის რისკზე და შესაძლებლობებზე. აღნიშნული აისახება პროექტის შესყიდვის გეგმაში. SPP დეტალურად არის აღწერილი ADB შესყიდვების სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო მითითებები.<sup>17</sup>

2.14. შესყიდვის სტრატეგიული დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ SusPP შემდეგი საკითხები:

- *SusPP* საჭიროებები, შესაძლებლობების და პროექტის რისკები, რომლებიც იდენტიფიცირებულია პროექტის კონცეფციის მომზადების ფაზაზე;
  - რა არის მოსალოდნელი მდგრადი სარგებელი?<sup>18</sup> ეს არს მოქმედებები, რომლებიც ასახულია პროექტის შესყიდვის რისკის შეფასებაში<sup>19</sup> და აუცილებელია SusPP ძირითადი რისკების და შესაძლებლობების მართვისთვის.
- *სამართლებრივი ან პოლიტიკის მოთხოვნები*
  - ეს გულისხმობს ნებისმიერ სამართლებრივ ან პოლიტიკურ მოთხოვნას, რომელიც შეეხება მდგრადობის, სოციალური ან მწვანე შესყიდვების მოთხოვნებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების და ინსტიტუციონალური პრაქტიკების მიმოხილვა წარმოდგენილია დანართში 5.
- *კორუფციასთან ბრძოლა*
  - ამ ნაწილში განისაზღვრება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება SusPP-ს, მაგალითად, კანონები, რომლებიც კრძალავს ქრთამის გამოყენების გარემოს, სანიტარული და/ან ჯანმრთელობის ნებართვების მიღებას. კორუფციასთან ბრძოლის მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ADB პოლიტიკას.<sup>20</sup>
- *შესყიდვის საგნები, რომლებსაც აქვს მდგრადი მიზნები და ამ მიზნების ხასიათი*
  - რა სახის პროექტის შესაბამისი მდგრადი პროდუქტები და მომსახურებები არის ხელმისაწვდომი ბაზარზე?
  - მაგალითები:
    - ნაკრები 1: მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის ასპექტები, როგორც არის ენერჯის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანა, სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ გადამუშავება;
    - ნაკრები 2: სოციალური ზემოქმედება, როგორც არის ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეების (SME) ჩართულობის ხელშეწყობა.
- *მომარაგების ბაზრის მიერ მიწოდებისთვის მზაობა*
  - შეუძლია თუ არა ბაზარს ახალი ან მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების შეთავაზება?
  - როგორია მოსალოდნელი ხარჯების და VFM თანაფარდობა?
- *შეფასება და სახელშეკრულებო მიდგომა*
  - რა რეაგირებას ახდენს შესყიდვების სტრატეგია მდგრადობის საკითხზე?
  - როგორ მოხდება SusPP პრიორიტეტების მოთხოვნებში ასახვა?

<sup>17</sup> ADB. 2018. სტრატეგიული შესყიდვის დაგეგმვა. <https://www.adb.org/documents/procurement-planning>.

<sup>18</sup> ზოგიერთი მოსალოდნელი მდგრადობის სარგებელი შეიძლება გაიზარდოს და სარგებლის კრიტერიუმის გამოყენება შესაძლოა გახდეს საჭირო. გამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ ADB სახელმძღვანელო მითითებები განმცხადებლის შეფასების მიზნით სარგებლის კრიტერიუმის გამოყენება.

<sup>19</sup> ADB. 2018. შესყიდვის რისკის ჩარჩო. <https://www.adb.org/documents/procurement-risk-framework>.

<sup>20</sup> ADB. 1998. კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა. <https://www.adb.org/documents/anticorruption-policy>.

- შესაძლო ინტერვენციები, მაგალითად განმცხადებლების წინასაკვალიფიკაციო შერჩევა, მდგრადი სტანდარტების სპეციფიკაციის გამოყენება (დანართები 6 და 7), შეფასების ქულობრივი სისტემის და/ან სასიცოცხლო ციკლის ანალიზის გამოყენება (დანართი 2), მდგრადობის შეფასების კრიტერიუმების გამოყენება და სხვა.
- შესაძლებელია თუ არა მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით საინჟინრო გადაწყვეტილებების გამოყენება?
- **დანერგვის და მხარდაჭერის მოთხოვნები**
  - იმ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ პროექტს; და პოტენციური პროფესიონალური მომსახურებების მხარდაჭერის მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი დიზაინის და მახასიათებლების, განაცხადების შეფასების, და დანერგვის ზედამხედველობისთვის.
  - SusPP მოთხოვნები და კრიტერიუმები საკონსულტაციო მომსახურებების დაქირავების დროს საჭიროებს შეფასებას და გათვალისწინებული უნდა იქნას შესაძლებლობის შესაბამისად. აქ იგულისხმება ფირმისთვის მდგრადი ან გარემოს მიზნებზე ორიენტირებული ან სერტიფიკატების მოთხოვნა, ან ემისიის შემცირების მიზნით გადაადგილებაზე მოთხოვნების დაწესება.
- **შესრულების ინიციატივები**
  - შესრულების ნებისმიერი ისეთი ინიციატივის იდენტიფიცირება, რომელიც უკავშირდება SusPP-ს;
  - რამდენად ითვალისწინებს შესრულები ინიციატივები მდგრადობის საკითხს?
  - როგორ მოხდება SusPP შესრულების ინიციატივების მოთხოვნებში გათვალისწინება (იხილეთ ჩანართი 1).

## ჩანართი 1

### სტრატეგიული შესყიდვის გეგმა- მდგრადი მშენებლობა

მსესხებელმა და განმახორციელებელმა გუნდმა, SPP მომზადების ფარგლებში შეაფასეს გარემოს დაცვის სტანდარტების და ნიშნების გამოყენების შესაძლებლობა და შეფასების კრიტერიუმები მდგრადი საზოგადოებრივი ცენტრის პროექტირების და მშენებლობის შესყიდვისთვის.

ქვეყანა მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას CPS პროცესში, და ყურადღებას ამახვილებს მშენებლობის მდგრადობაზე. SPP რეკომენდაციას უწევს მხოლოდ მდგრადობის პრინციპებზე დაყრდნობით მომზადებული პროექტის და ხის მასალის გამოყენებას. ასევე მინიმალური კრიტერიუმი ყველა სახის ხის ნაწარმზე უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტყის რესურსების მართვის საბჭოს (FSC), ასევე წვიმის ტყეების გაერთიანების სტანდარტებს.

ქვეყანაში არსებული ენერგო-ეფექტური ახალი შენობების მშენებლობის სტანდარტებში დაკმაყოფილებისთვის, SPP რეკომენდაციას უწევს განმცხადებლების განაცხადებისთვის დამატებითი სარგებლის ქულების მინიჭებას, თუ მათი შეთავაზებით განსაზღვრული იქნება 5%, 10% ან 15% მეტი ეფექტურობა, ვიდრე ამას მთავრობის სტანდარტი მოითხოვს.

წყარო: ტყის რესურსების მართვის საბჭო. <https://fsc.org/en>; წვიმის ტყის გაერთიანება. <https://www.rainforest-alliance.org/>.

---

## ჩანართი 2

### უტილიზაციის, ექსპლუატაციის და ტექნიკური მომსახურების საკითხები

მდგრადი განკარგვის სტრატეგიები აუცილებელია გარკვეული პროდუქტების, ადჭურვილობის, და ინფრასტრუქტურისთვის მათი სარგებლობის ციკლის განსაზღვრისთვის. განკარგვის ვარიანტები საჭიროებს გადასინჯვას და შეფასებას იმისთვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება, მაქსიმუმამდე გაიზარდოს გადამუშავება და ხელახლა გამოყენება, და განისაზღვროს ყველა შესაძლებლობა ნაგავსაყრელების და დაბინძურების შემცირებისთვის. არაეთიკური განკარგვა მნიშვნელოვნად ზრდის თემზე და გარემოზე ზემოქმედებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხარჯების გაზრდა და რეპუტაციული ზიანი.

განკარგვის მოთხოვნები შეიძლება განისაზღვროს პროექტირების და შესყიდვის საფეხურებზე, და შემოწმდეს პროდუქტის/მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ოპერაციული ფაზების დროს. ეს მოიცავს პროექტირების ეტაპზე დაშლის და ხელახალი გამოყენების საკითხს, კომპონენტების და მასალების ოპტიმალური შერჩევის გზით, რაც მაქსიმუმამდე ზრდის გადამუშავების შესაძლებლობებს; ასევე, აღდგენის ქვე-სისტემების და რესურსები გამოყენებით და ისეთი სახიფათო მასალების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანის გზით, რომელთა განკარგვა სახიფათოც არის და ძვირადღირებულიც.


მსესხებლის ნარჩენების შეგროვების სივრცეები საჭიროებს აღრიცხვას, დამუშავებას და აღდგენას განსაზღვრული სპეციფიკაციების შესაბამისად. ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს შესაბამისად განსაზღვრულ ადგილას, და ტერიტორია უნდა აღდგეს დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

წყარო: ენტონი ჯონსონი B.Sc., მ. ი. მეჩი, FHEA, ენდრიუ გიბსონი, B.Sc., CIM, MIEX მდგრადი საინჟინრო პროექტირება, 2014.

---

## E. განაცხადების მიღება

გრაფიკი 6: განაცხადების მიღება



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.15. ADB შესყიდვების ციკლის მეოთხე ეტაპი არის განაცხადების მიღება, რომელიც მოიცავს სატენდერო დოკუმენტების მომზადებას. დამატებითი მითითებები მოცემულია ADB ღია საკონკურსო ვაჭრობის სახელმძღვანელო მითითებებში.<sup>21</sup>

2.16. სწორედ ამ ეტაპზე ხდება მდგრადობის ნებისმიერი იდენტიფიცირებული მოთხოვნის და შესრულების ინიციატივის განვითარების და დოკუმენტებში გათვალისწინების საჭიროების განსაზღვრა, რათა პოტენციურმა მომწოდებლებმა შეძლონ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოხდეს მათი შესაბამისად შეფასება. პროცესის ფარგლებში გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შესაბამისი მდგრადობის სტანდარტების, კლასიფიკაციის და ინდიკატორების განსაზღვრა (იხილეთ დანართები 6, 7, 8 და 9);
- მდგრადობის პრიორიტეტების შეფასება სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში (იხილეთ დანართი 2);
- მდგრადობის კრიტერიუმების განსაზღვრა, მათ შორის ინდუსტრიული სტანდარტების და ვერიფიკაციის (ეროვნული ან საერთაშორისო<sup>22</sup>) ან ეკოლოგიური ნიშნების ჩათვლით;

<sup>21</sup> ADB. 2018. ღია საკონკურსო ვაჭრობა: <https://www.adb.org/documents/open-competitive-bidding>.

<sup>22</sup> საერთაშორისო სტანდარტები არ უნდა იქნას გამოყენებული თუ ეროვნული ბაზარი ვერ შეძლებს მოთხოვნილი სტანდარტების დაკმაყოფილებას.



- ალტერნატიული განაცხადების მისაღება და მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს ალტერნატივამ წარმოსადგენ ინფორმაციასთან ერთად;
- მდგრადობის პრიორიტეტების ასახვა ტექნიკურ სპეციფიკაციაში, და მითითება მდგრადობის სპეციფიკაციების დებულებებზე, ფასებზე ან რაოდენობებზე, ასევე ხელშეკრულების პირობებზე;
- ხელშეკრულების პირობებში მდგრადობის პრიორიტეტების ასახვა<sup>23</sup>;
- იმის განსაზღვრა თუ რა მიიჩნევა შესაბამისად, სხვა სიტყვებით განმცხადებლებისთვის მიმზიდველობის განსაზღვრა და იმ ქვეყანაში დანერგვის შესაძლებლობა სადაც ტარდება მუშაობა, ასევე ქვეყანაზე მორგების მექანიზმები.

### ჩანართი 3

#### წინასაკვალიფიკაციო კითხვები შრომის პრაქტიკაზე

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში განმცხადებლების შეფასება ხდება მათ მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე დაყრდნობით. აღნიშნული წარმოდგენს ხელშეკრულების განხორციელების საფუძველს. KPI-ში შესაძლებელია ამ სტანდარტის გათვალისწინება და გამოყენება ხელშეკრულების მიმდინარეობის დროს გაუმჯობესების დასანერგად.

#### შრომის პრაქტიკები- წინასაკვალიფიკაციო კითხვები

##### შრომის პრაქტიკები-წინასაკვალიფიკაციო კითხვები

- რა გამოცდილება გაქვთ სამართლიანი და ეთიკური დასაქმების პრაქტიკის კუთხით როგორც დასაქმებულებში, ასევე მომარაგების ქსელში? გთხოვთ მიმოიხილოთ თქვენი გამოცდილება.
- როგორია თქვენი დასაქმების პოლიტიკა ხელფასების, თანასწორობის და მრავალფეროვნების, გაერთიანების თავისუფლების, საჩივრების განხილვის, და სამუშაო საათების, მათ შორის ცვლების, აუნაზღაურებელი სამუშაოს, იძულებითი შრომის და ბავშვების დასაქმების კუთხით?

• ავლენს საკითხის ცოდნას, მაგრამ აქვს შესრულების შუზღუდული გამოცდილება გარდა სამართლებრივი შესაბამისობისა.

• აქვს წინა პროექტების განხორციელების მტკიცებულება, რაც მიუთითებს მაღალ ეთიკურ სტანდარტებზე.

• ავლენს სამართლიანი დასაქმების პრაქტიკას და რისკის მართვის უნარს მომარაგების ჯაჭვის დონეზე.

• რეაგირებას ახდენს იდენტიფიცირებული კითხვების ყველა ასპექტზე.

• აქვს დიდი გამოცდილება რესურსების ეთიკური დასაქმების კუთხით როგორც პირდაპირ, ასევე მომარაგების ჯაჭვის გამოყენებით სხვადასხვა ზომის და

<sup>23</sup> იხილეთ ADB. 2007. გარემოს დაცვაზე ორიენტირებული შესყიდვა- სახელმძღვანელო უკეთესი პრაქტიკისთვის. მანილა. <https://adb.org/documents/enviromntally-responsible-procurment-reference-guide-better-practices>. გვერდები 43-46 მოცემულია გარემოს დაცვის დებულებები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას სატენდერო დოკუმენტებში და ტექნიკურ სპეციფიკაციებში.

კომპლექსურობის პროექტებისთვის. აღნიშნულს ადასტურებს მტკიცებულება და რისკის ანალიზი.

- პოლიტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც არის ეთიკური ვაჭრობის იმიტაციური (ETI) საბაზისო კოდექსი.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

---

## ჩანართი 4

### ენერჯის დაზოგვის მოთხოვნების და ხელშეკრულების პირობები

ADB მიერ ახალი სადიაგნოსტიკო სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვის დაფინანსება ახლად აშენებული საავადმყოფოსთვის ქვეყანაში „ა“. ქვეყნის განვითარების ერთერთი მიზანი, როგორც ეს CPS არის განსაზღვრული, არის ქვეყნის მიერ ენერჯის მოხმარების შემცირება. შესაბამისად, ახალი სამთავრობო შესყიდვები უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი შესყიდვას დაქვემდებარებული პროდუქტის ენერჯო ეფექტურობას.

მიზნის მისაღწევად, მსესხებელმა SPP ფარგლებში ჩაატარა ბაზრის დეტალური კვლევა, რათა დაედგინა ბაზარზე არსებული პროდუქტების საავადმყოფოს ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა და ენერჯის მოხმარების დაბალი მაჩვენებელი.<sup>24</sup>

აღნიშნული მახასიათებლები მომზადდა დიაგნოსტიკური მოწყობილობებისთვის, მათ შორის ყველა შემოთავაზებული მოწყობილობის ენერჯის მოხმარების დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით. დამატებით გათვალისწინებული იქნა დახმარება პრობლემებზე რეაგირებისთვის. მაგალითად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ენერჯის დანაზოგი განსაზღვრავს საბაზისოდ x% დაზოგვას და ვერ ხდება მიზნის დაკმაყოფილება, მაშინ ხელმისაწვდომია დამატებითი თანხა პრობლემის გადაჭრისთვის.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

---

## ჩანართი 5

### მდგრადობის შეფასების კრიტერიუმები და დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნები<sup>25</sup>

რისკის შეფასებაზე დაყრდნობით, მდგრადობის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- სავალდებულო კრიტერიუმი- შემდეგ ეტაპზე გადასვლის/წარუმატებლობის კრიტერიუმი, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაოს შესრულების მინიმალური მისაღები ხარისხის განსაზღვრას;
- სასურველი/ნებაყოფლობითი კრიტერიუმი- კრიტერიუმი ენიჭება მდგრადობის დონეს, რომელიც აჭარბებს მინიმალურ სტანდარტს;

ქვემოთ ჩამოთვლილია გარემოს დაცვის შეფასების რეკომენდირებული კრიტერიუმები, რომლებიც ინტეგრირებული უნდა იყოს გარემოს მართვის მეთოდოლოგიაში.

---

<sup>24</sup> დამატებით შეიძლება გათვალისწინებული იქნას ელექტრო ენერჯის მოხმარება, დასაქმებულებთან მოპყრობა, და ეთიკური შრომითი პრაქტიკების გამოყენება მომარაგების ჯაჭვში.

<sup>25</sup> დამატებით კვლევები წარმოდგენილია დანართში 11.

- ჰაერის დაბინძურება- გათვალისწინებული უნდა იქნას ზომები ემისიების, კერძოდ დაბინძურების შემცირებისთვის და სავალდებულო მოთხოვნების გადაჭარბებისთვის;
- ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატები- მიწათსარგებლობის კონკრეტული ასპექტი, რომელშიც ბიომრავალფეროვნება და ძირითადი ჰაბიტატებია აღიარებული, და მიღებულია შესაბამისი ზომები მათ დაცვის და გაძლიერებისთვის.
- კლიმატის ცვლილება- ზომები, რომლებიც მიიღება სასათბურე აირების ემისიის მონიტორინგის და შემცირებისთვის;
- რესურსების გამოყენება და ინტენსივობა- ელექტრო ენერჯის, წყლის, ნედლეულის და მიწის რესურსების გამოყენების გათვალისწინება, და ყურადღების გამახვილება მათი გამოყენების ეფექტურობაზე. მაგალითად, ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლის მქონე პროდუქტების გამოყენება, რომლებიც ექვემდებარება შეკეთებას, გადამუშავებას ან განახლებას.
- ტრანსპორტი- ისეთი ზომების გათვალისწინება, რომლებიც ამცირებს ტრანსპორტის საჭიროებას, და ხელს უწყობს საგზაო ტრანსპორტის მოდალობის ცვლილებას (აღამიანები და ტვირთი).
- ნარჩენები- ისეთი ზომების გათვალისწინება, რომლებიც ამცირებს, ხელს უწყობს ხელახალ გამოყენებას და ნარჩენების გადამუშავებას.
- წყლის ხარისხი- ისეთი ზომები გათვალისწინება, რომლებიც ამცირებს ნარჩენების, განსაკუთრებით კი ძირითადი დამბინძურებლების წყალში მოხვედრას და ხელს უწყობს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების გადაჭარბებას, და წყლის ხარისხის მიზნების და ამოცანების დაკმაყოფილებას.

**ნახაზები და პროექტები**

სატენდერო დოკუმენტაციის ნახაზების და პროექტების ნაწილი შესაძლებელს ხდის SusPP დანერგვის გაძლიერებას ისეთი ნახაზების მომზადებით, რომლებიც ასახავს განმცხადებლის SusPP საკითხებზე რეაგირებას. ისეთი ნახაზები, როგორც არის ადგილის მოწყობა, სტრუქტურების პროექტები და რუკები, რომლებიც შესაბამისობაშია გარემოს კომპონენტებთან გათვალისწინებული უნდა იქნას წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხაში. პრეზენტაციები უნდა მოიცავდეს მაგალითად, ნაგებობის კონვენციური პროექტის ნახაზებს და შემარბილებელ ზომებს; უნდა ასახავდეს არა-სტრუქტურულ ზომებს, როგორც არის დაზიანებული მიწების აღდგენა; ან გარემოს ნიმუშების აღების ან ტერიტორიის მონიტორინგის ინფორმაციას.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

**შესრულების ძირითადი მაჩვენებელი (KPI)**

2.17. შესრულების ძირითადი მაჩვენებელი (KPI) გამოიყენება მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს გაზომვის მიზნით. მიზნები და პროექტთან დაკავშირებული KPI მოიცავს მდგრადი ზემოქმედების ფართო სპექტრს, რაც დამოკიდებულია SPP განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, მაგალითად ნედლეულის წყარო, შრომის სტანდარტები მომარაგების ჯაჭვში, ადგილობრივი მომარაგება, და სწავლებები. ასევე, წარმოება, გამოყენება და სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდგომი მართვა. სამიზნეები და მასთან დაკავშირებული KPI შეიძლება



დამატებით დაიხვეწოს მას შემდეგ, რაც მასშტაბი უფრო მკაფიო გახდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება განაცხადების მიღების ეტაპზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნას შესყიდვის დოკუმენტებში, სხვა სიტყვებით სპეციფიკაციის ან ხელშეკრულების პროექტის პირობებში. KPI შეიძლება შეტანილი იქნას ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება მსესხებელს და მომწოდებელს შორის.



2.18. მიზნები და KPI შესაბამისობაში უნდა იყოს მსესხებლის მდგრადობის ზოგად მიზნებთან და ამოცანებთან, რაც მკაფიოდ არის განსაზღვრული CPS ფარგლებში, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს SusPP მიდგომის მიზნებს. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ KPI არის რელევანტური, გაზომვადი, საფუძვლიანი და ქმნის შესაძლებლობას ხელშეკრულების დადების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. KPI სარგებლიანობა უნდა შეფასდეს პროექტის შეფასების ეტაპზე.

### **შესრულების წახალისება**

2.19. მდგრადი შესრულების წახალისება, რომელიც დაკავშირებულია KPI-სთან შეიძლება ასავე გათვალისწინებული იქნას შესყიდვის დოკუმენტებში, თუ ამაზე შეთანხმდებიან მსესხებელი და ADB. ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს მომწოდებლების მიერ მოლოდინების დაკმაყოფილებას ან გადაჭარბებას, და მდგრადობის მოთხოვნების ჯეროვან შესრულებას.

წახალისება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- მომწოდებლისთვის ბონუსების გადახდა შეთანხმებული მიზნების მიღწევისას;
- ჯარიმის დაწესება შეუსაბამო შესრულების ან შეუსრულებლობისთვის;
- ფიქსირებული ღირებულების ხელშეკრულების დადება (მაგალითად, ნარჩენების შემცირება ან ეფექტურობის დახვეწა აუმჯობესებს მომწოდებლის მოგებას; დასაქმებულებისთვის ღირსეული ანაზღაურების და სამუშაო პირობების შექმნა);
- მოგების განაწილების ხელშეკრულება (მაგალითად, მსესხებელი და მომმარაგებელი გაინაწილებენ ნებისმიერ მოგებას, რომელსაც მიიღებენ მდგრადი მომარაგების პირობების გაუმჯობესებით); და
- ღირებულების ოპტიმიზაციის გამოყენება.

### **ღირებულების ოპტიმიზაცია**

2.20. შესაძლებელია გონივრული იყოს ღირებულების ოპტიმიზაციის საკითხის ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინება, რომელიც თან ერთვის სატენდერო დოკუმენტებს. ეს საშუალებას მისცემს მომწოდებელს შემოგვთავაზოს მდგრადი გაუმჯობესება და ეფექტურობა ხელშეკრულების დანერგვის ეტაპზე, რაც თავის მხრივ გაზრდის მდგრადობის შედეგებს.

---

## ჩანართი 6

### შესრულების ძირითადი მაჩვენებელი (KPI)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია სამოქალაქო სამუშაოების შესყიდვის შედეგების მაჩვენებლები.

---

#### მიზანი: სოციალური და ეკონომიკური სარგებელი პროექტის ზემოქმედების ქვემოთ მოქცეული რეგიონისთვის

მიზანი	საშუალება წარმატების საზომი
<b>[ჩაწერეთ თარიღი]-თვის პროექტს წლის განმავლობაში ექნება შემდეგი მიღწევები</b> <ul style="list-style-type: none"><li>• ხეტყის მომარაგების ჯაჭვის დანახარჯების 50% მოწოდებული იქნება იმ ბიზნესებისგან, რომლებიც მუშაობენ ტერიტორიის სიახლოვეს და FSC<sup>26</sup> სტანდარტების შესაბამისად</li><li>• დასაქმებულების ჯამური რაოდენობის 10% იქნება ადგილობრივი მოსახლე</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>• ხე-ტყეზე დახარჯული თანხების პროცენტულობა რეგიონში</li><li>• ადგილობრივი სამუშაო ძალის პროცენტული მაჩვენებელი</li><li>• ხარისხიანად შესრულებული სამუშაოს პროცენტული მაჩვენებელი</li></ul> <b>მომწოდებელ წარმოადგენს ანგარიშს შემდეგზე:</b> <ul style="list-style-type: none"><li>• ადგილობრივი ბიზნესისგან ხეტყის შეძენაზე დახარჯული თანხის ჯამური ოდენობა;</li><li>• ადგილობრივების მიერ დღიურად ნამუშევარი დღეების ჯამი.</li></ul>

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

---

## ჩანართი 7

### შესრულების წახალისება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია სამოქალაქო სამუშაოების შესყიდვის წახალისების ფორმები.

---

#### მიზანი

მიზანი	ინიციატივა წარმატების საზომი
<b>[ჩაწერეთ თარიღი]-თვის პროექტს წლის განმავლობაში ექნება შემდეგი მიღწევები</b> <ul style="list-style-type: none"><li>• ძველი ნაგებობების დემონტაჟის ნარჩენების 60% სრულად გადამუშავდება;</li><li>• დაიზოგება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10% ვიდრე ახალი ნაგებობის მიერ ერთ წლიანი ოპერირების პერიოდში არ მიიღწევა ენერჯის 20%-იანი დანაზოგი.</li></ul> <p>წყარო: აზიის განვითარების ბანკი</p>	<ul style="list-style-type: none"><li>• დემონტაჟის ხელშეკრულების ჯამის 0.5%</li><li>• ხელშეკრულების ღირებულების 10%</li></ul>


---

<sup>26</sup> ტყის მართვის საბჭო <https://fsc.org/en>.

**F. განაცხადების შეფასება**

2.21. ADB შესყიდვების ციკლის მეხუთე ეტაპი არის განაცხადების შეფასება, რომელიც მოიცავს შეფასებას და განაცხადის შეფასების ანგარიშის მომზადებას.

**გრაფიკი 7: განაცხადების შეფასება**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.22. მსესხებელი შეაფასებს განაცხადს შეფასების და ხელშეკრულების მინიჭების იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია დოკუმენტაციაში. განაცხადის შეფასება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს მათი შესყიდვების დოკუმენტებში გათვალისწინების შემთხვევაში:<sup>27</sup>

- შემოთავაზებული მდგრადი გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასება;
- განმცხადებლის მდგრადობის მონაცემების შეფასება;
- მთლიანი ციკლის ხარჯების შეფასება და შედარება, მაგალითად, VFM შეფასება მათ შორის ხარისხის და მდგრადობის ღირებულების გადაწყვეტილებებისთვის;
- ყველაზე დახვეწილი განაცხადის შერჩევა.<sup>28</sup>

2.23. განაცხადის შეფასების დასრულების შემდეგ, მსესხებელი ვალდებულია მოამზადოს განაცხადის შეფასების ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი SusPP მოთხოვნები და შეფასებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ADB განიხილავს შეფასების ანგარიშს პროექტის შესყიდვის გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში.

<sup>27</sup> მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის შეფასებამდე, დარწმუნდით, რომ აღმასრულებელ უწყებას გავლილი აქვს ადეკვატური მხარდაჭერა და/ან სწავლება.

<sup>28</sup> ყველაზე დახვეწილი განაცხადი არის ის განაცხადი, რომელიც გვთავაზობს ხარისხის (მათ შორის მდგრადობის) და ფასის კომბინაციას სატენდერო დოკუმენტების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

## ჩანართი 8

### მდგრადობის კრიტერიუმი- ქულების დაანგარიშება

ნაწილი 1: არამონეტარული (მდგრადობის) კრიტერიუმი დაანგარიშება

ქულების დაანგარიშება, რომლებიც არ უკავშირდება ღირებულებას, ხორციელდება რათა განისაზღვროს თითოეული განმცხადებლის მიერ მდგრადობის კრიტერიუმთან შესაბამისობა. ყურადღება უნდა გამახვილდეს, რათა განვასხვავოთ მომწოდებლის მარკეტინგული მოთხოვნები და რეალური მიღწევები. ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს არ ჰქონდეს ძლიერი ზეგავლენა.

ნებისმიერი განაცხადი, რომელიც არ აკმაყოფილებს მდგრადობის კრიტერიუმების მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტებში უნდა შეფასდეს სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად, და სრულად უნდა აისახოს შეფასების ანგარიშში.

ქულები შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ინდივიდუალურ მდგრადობის (არამონეტარული) კრიტერიუმს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტებში.

მინიჭებული ქულების დაანგარიშების დროს არ გამოიყენება დაჯამება, რადგან ხდება ფაქტორული დაანგარიშება. მაგალითად, თუ მომწოდებლებმა 1, 2, და 3 თანმიმდევრობის შესაბამისად მიიღეს 250, 220 და 320 ქულა, მაშინ მათი ქულების ოდენობა იქნება შემდეგი:<sup>29</sup>

მომწოდებელი	დაანგარიშებული ქულა	საწყისი მდგრადობის ქულა
მომწოდებელი 3	უმაღლესი ქულა (320)	100 ქულა
მომწოდებელი 1	$(250 \times 100)/320$	78 ქულა
მომწოდებელი 2	$(220 \times 100)/320$	68 ქულა

### ნაწილი 2: დაანგარიშება და ქულები

შეფასებას საჭიროებს თითოეული განაცხადის მომსახურების, პროდუქტის ან სამუშაოების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ღირებულება. ეს მოიცავს ტენდერის საბაზისო ღირებულებას, ტექნიკურ მომსახურებას, ჩანაცვლებას, სწავლებას, ლიცენზირებას, დაზღვევას, გარანტიებს, სახელმძღვანელოებს, მომავალ განახლებას, შესაბამისობას, ინტეგრაციის ხარჯებს, გადახდის პირობებს, განკარგვის ხარჯებს და სხვა.

ჯამური ღირებულების განსაზღვრის შემდეგ, ყველაზე დაბალ ფასს ენიჭება 100 ქულა. ყველა სხვა განაცხადს ენიჭება დაბალი ქულა. მაგალითად, თუ მომწოდებლები 1, 2 და 3 მიერ შემოთავაზებული ფასები თანმიმდევრობის შესაბამისად არის 175,000\$, 220,000\$ და 190,000\$, მაშინ ფასის ქულების გამოთვლა მოხდება შემდეგნაირად:

მომწოდებელი	დაანგარიშებული ქულა	საწყისი მდგრადობის ქულა
მომწოდებელი 1	ყველაზე დაბალი ფასი (175,000\$)	100 ქულა

<sup>29</sup> განაცხადები უნდა შეფასდეს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. არ უნდა მოხდეს კომპანიასთან დაკავშირებით არსებული ცოდნის გათვალისწინება.

მომწოდებელი 2	$(175,000/220,000) \times 100$	79 ქულა
მომწოდებელი 3	$(175,000/190,000) \times 100$	92 ქულა

**ნაწილი 3: კომბინირებული ქულები**

განაცხადის საბოლოო შეფასების დაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს და ამ პროცესში გამოყენებული იქნას შეწონილი ფასის ქულა, და შეწონილი მდგრადობის ქულა 60:40 პროპორციით. აღნიშნულის მაგალითი მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

მომწოდებელი	საწყისი ფასი ქულა (ნაწილი 2)	შეწონილი ხარჯის ქულა (60%)	საწყისი მდგრადობის ქულა (ნაწილი 1)	შეწონილი მდგრადობის ქულა (40%)	ფასის ჯამური შესაბამისობის ქულა
მომწოდებელი 1	100	60	78	31	91
მომწოდებელი 2	79	47	68	27	74
მომწოდებელი 3	92	55	100	40	95

შეირჩევა მომწოდებელი 3, რადგან მისი ფასი ყველაზე მისაღებია, და გვთავაზობს ღირებულების და მდგრადობის ოპტიმალურ კომბინაციას. მიდგომა ყოველთვის უნდა გულისხმობდეს ხელშეკრულების ისეთ მომწოდებლებთან გაფორმებას, რომელსაც აქვს ფასთან ყველა ახლო შესაბამისობა ყველა შეწონილი ფაქტორის გათვალისწინებით.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

**ჩანართი 9**

**მდგრადი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ფასი**

სასიცოცხლო ციკლის ფასის განსაზღვრის ტექნიკა შედგება პროდუქტის ძირითადი სასიცოცხლო ციკლის მდგრადობის ზემოქმედების და აქტივების ხარჯების შეფასებისგან, რომელიც იწყება პროდუქტის შექმნიდან და გრძელდება მის საბოლოო განკარგვამდე. მაგალითად, ნელეულის მოპოვება, მასალების დამუშავება, წარმოება, დისტრიბუცია, გამოყენება, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, განკარგვა ან გადამუშავება, და გარემოზე ზემოქმედება როგორც არის ნახშირბადის ემისიები. მართალია ეს ტექნიკა ძირითადად გამოიყენება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის, ანალოგიური მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ მდგრადობის ყველა საკითხზე.

**მაგალითი 1: გზის განათების და შუქნიშნების პროექტი (ფიქტიური)**

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) დააფინანსა გზის განათების და შუქნიშნების პროექტი და სტრატეგიული შესყიდვის გეგმის ანგარიშით რეკომენდირებულია, რომ განაცხადები უნდა შეფასდეს მდგრადი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ფასის მიხედვით, ისე, რომ შეირჩეს VFM კუთხით ყველაზე მდგრადი გადაწყვეტილება.

თითოეული შეთავაზების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებული იქნა ევროპის კომისიის საგზაო განათების და შუქნიშნების სასიცოცხლო ციკლის





ღირებულების გაანგარიშების ხელსაწყო მწვანე სახელმწიფო შესყიდვებისთვის<sup>30</sup>, ასევე თანდართული მომხმარებლის სახელმძღვანელო<sup>31</sup>. ხელშეკრულება გაფორმდა იმ შეთავაზებაზე, რომელიც სრულად შეესაბამებოდა სასიცოცხლო ციკლის ხარჯებს.

## მაგალითი 2: ურბანული წყლის მომარაგების და ნარჩენების მართვის პროექტი

ქულების ხელსაწყო პროექტების მიერ ენერჯის მოხმარების შეფასებისთვის<sup>32</sup>

ADB შეიმუშავა კომპიუტერული ხელსაწყო ურბანული წყლის მომარაგების და ნარჩენი წყლების მართვის პროექტების მიერ ენერჯის მოხმარების შესაფასებლად, რომელსაც ეწოდება “Screening Tool for Energy Evaluation of Project” (პროექტების მიერ მოხმარებული ენერჯის შეფასების ზედამხედველობის ხელსაწყო).<sup>33</sup> STEEP შემუშავებულია, რათა ხელი შეუწყოს ენერჯის ეფექტურ გამოყენება ახალი ან არსებული წყლის და ნარჩენი წყლების სისტემების მიერ.

წყაროები: ევროკომისია. სასიცოცხლო ციკლის ფასი. <https://ec.europa.eu/environment/gpp/lcc.htm>; ევროკომისია, 2019. მომხმარებლის სახელმძღვანელო საგზაო განათების და შეენიშნების სასიცოცხლო ციკლის ფასის განსაზღვრისთვის მწვანე სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში. [https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/EC\\_LCC\\_OutdoorLighting\\_guide\\_final.pdf](https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/EC_LCC_OutdoorLighting_guide_final.pdf)

30

<sup>31</sup> ხელსაწყოს ჩამოტვირთვა შესაძლებელია ბმულზე: <https://ec.europa.eu/environment/gpp/lcc.htm>.


<sup>32</sup> ევროკომისია. 2019. [https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/EC\\_LCC\\_OutdoorLighting\\_guide\\_final.pdf](https://ec.europa.eu/environment/gpp/pdf/EC_LCC_OutdoorLighting_guide_final.pdf).

<sup>33</sup> დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დანართში 10.

## G. ხელშეკრულების მინიჭება

2.24. ADB შესყიდვების ციკლის მეექვსე ეტაპი არის ხელშეკრულების დადასტურების ეტაპი, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების მართვის გეგმის მომზადებას და KPI, ასევე შესრულების წახალისების ინტეგრაციას.

გრაფიკი 8: ხელშეკრულების მინიჭება



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

### ხელშეკრულების შესრულების მართვის გეგმა

2.25. ყოვლისმომცველი ხელშეკრულების შესრულების მართვის გეგმის გამოყენება არის საუკეთესო გზა ხელშეკრულების დანერგვის და მომწოდებელთან ურთიერთობის მართვისთვის. მდგრადი მიზნების ხელშეკრულების მართვის გეგმასთან დაკავშირება ხელს უწყობს SusPP შედეგებზე ორიენტირებას და გამოყენებას. კერძოდ, განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი სისტემების გათვალისწინება, როგორც არის მონიტორინგი და მდგრადი პრიორიტეტების და შედეგების მიღწევის ანგარიშის მომზადება, რაც წინასწარ თანხმდება მხარეებს შორის ხელშეკრულების დადასტურების დროს. დამატებით იხილეთ ADB *ხელშეკრულების მართვის სახელმძღვანელო მითითებები*.<sup>34</sup>

### ძირითადი შესრულების მაჩვენებლების მონიტორინგი

2.26. KPI განსაზღვრა მოიცავს კონკრეტული მონაცემების შეგროვებას და სასარგებლო საზომად გარდაქმნას, რაც შესაძლებელს ხდის ანგარიშების მომზადებას ცხრილების და დიაგრამების გამოყენებით. ინდიკატორები საჭიროებს როგორც მონიტორინგს, ასევე ანგარიშგებას. სამიზნეები და KPI, რომლებიც განისაზღვრება SPP ფარგლებში დამატებით იხვეწება და


<sup>34</sup> საცხოვრებლად ვარგისი ქალაქები. პროექტების მიერ ენერჯის გამოყენების ზედამხედველობის ხელსაწყო (STEEP). <https://www.livablecities.info/steep>.

საბოლოო სახეს იღებს განაცხადების მიღების ეტაპზე, შემდეგ კი აისახება ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება მომწოდებელს და მსესხებელს შორის.

**H. დანერგვა და ხელშეკრულების შესრულების მართვა**

2.27. ADB შესყიდვების ციკლის მეშვიდე ეტაპი არის დანერგვა და ხელშეკრულების შესრულების მართვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების შესრულების მართვის გეგმის მომზადებას, შესრულების მონიტორინგს, ანგარიშგებას, ღირებულების ოპტიმიზებას, და შენარჩუნებას.

**გრაფიკი 9: განხორციელება და ხელშეკრულების მართვა**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

**მდგრადი პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგი**

2.28. შესრულების მონიტორინგი აუცილებელია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რათა მომწოდებელმა განაგრძოს ვალდებულებების შესრულება მახასიათებლების, ხელშეკრულების პირობების, და/ან KPI შესაბამისად. განხილვის შეხვედრები უნდა გაიმართოს წინასწარ შეთანხმებული ინტერვალებით, და დიდი ხელშეკრულებების შემთხვევაში მთავარ მომწოდებლებთან. ეს შეხვედრები საშუალებას მისცემს ორივე მხარეს დაამყარონ კომუნიკაცია, გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები, ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას, და გაამყარონ კარგი ბიზნეს ურთიერთობები.

2.29. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს მომწოდებლის პერიოდული აუდიტის ჩატარება ხელშეკრულების მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და კომპლექსური ხელშეკრულებების შემთხვევაში, რათა დადასტურდეს, რომ მდგრადი მოთხოვნები და სამუშაო პრაქტიკები შეესაბამება შეთანხმებულ მოთხოვნებს.

2.30. ამ ეტაპზე, მონიტორინგის შედეგები ხშირად დამოკიდებული იქნება ეფექტური მონაცემების შეგროვებაზე, რომლებიც უკავშირდება შესრულებას, შესრულების დროს

გამოყენებული სტანდარტის გაზომვას. მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს მომარაგების ჯაჭვის შესაბამის რგოლზე, და ჯამში ასახავდეს ზოგად მდგომარეობას. აღნიშნული მიიღწევა შედეგების ინდიკატორების შემუშავებით. შეიძლება გათვალისწინებული იქნას შემდეგი სახის საკითხები:

- ონლაინ ხელსაწყოები ხელს უწყობს მონაცემების ეფექტურ შეგროვებას და მდგრადი შესრულები ინფორმაციის მომზადებას;
- მომარაგების ჯაჭვი უნდა გამოიკითხოს მხოლოდ იმ დეტალებზე შემოქმედების კუთხით, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით;
- მოერიდეთ ისეთი მონაცემების შეგროვებას, რომლებიც არ არის აუცილებელი და ვერ მოხდება მიზანმიმართულად გამოყენება. ამით იზრდება მხოლოდ ხარჯი. კითხვარები არის ამის ნათელი მაგალითი და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეგროვილი ინფორმაცია გამოიყენება ინფორმირებული შესყიდვის მიზნით;
- მოერიდეთ მონაცემების დუბლირებას.

### **ანგარიშგება**

2.31. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მდგრადი შედეგების ღია და გამჭვირვალედ ანგარიშგება. ეს შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იქნას შესყიდვების უწყების ანგარიშგებაში; მაგალითად, ყოველწლიურ ანგარიშში ცალკე კორპორაციული/საერთო სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ანგარიშში, ან უფრო ფორმალურ ანგარიშში. ასეთ დროს აუცილებელია, რომ შესყიდვების გუნდმა მონაცემების მიწოდება მოახდინოს მართვის და გარე პუბლიკაციის მიზნების გათვალისწინებით.

- ანგარიშგება უნდა განხორციელდეს მიწოდების და შედეგების საფუძველზე;
- შესრულების შეფასება უნდა მოხდეს KPI გათვალისწინებით.

### **ღირებულების ოპტიმიზება**


2.32. შესაძლებელია გონივრული იყოს ხელშეკრულებაში ღირებულების ოპტიმიზების გათვალისწინება, რაც საშუალებას მისცემს მომწოდებელს შეიმუშაოს მდგრადი გაუმჯობესება და გაზარდოს ეფექტურობა ხელშეკრულების დანერგვის დროს.

- ღირებულების ოპტიმიზება შეიძლება გათვალისწინებული იქნას მდგრადობის შედეგების გაუმჯობესებისთვის.
- გასათვალისწინებელია თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულების შესრულების საზომის ეს კრიტერიუმი ეროვნულ სტანდარტს.

## **I. უკუკავშირი ან შეფასება**

2.33. ADB შესყიდვების ციკლის ბოლო ეტაპი არის უკუკავშირის და შეფასების ეტაპი, რომელიც მოიცავს პროექტის დასრულების ანგარიშს (PCR) და მიღებულ გამოცდილებას.

**გრაფიკი 10: უკუკავშირი ან შეფასება**



წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2.34. მსესხებელმა მონიტორინგი უნდა გაუწიოს და უნდა დააფიქსიროს მდგრადი შედეგები ვიდრე არ დასრულდება საქონლის სასიცოცხლო ციკლი ან სამუშაოების შესყიდვა, და არა მხოლოდ პროექტის დასრულების ანგარიშის (PCR) მომზადებამდე.

2.35. აუცილებელია დაფიქსირდეს ყველა შედეგი, რათა დავრწმუნდეთ, რომ სრულდება მდგრადი მოთხოვნები როგორც პროექტის სასიცოცხლო ციკლის, ასევე სამუშაოების ფარგლებში; ასევე, მოხდეს მაკორექტირებელი ზომების გათვალისწინება სამომავლო შესყიდვებისთვის.

**პროექტის დასრულების ანგარიში**

2.36. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მდგრადი შედეგების ღიად და გამჭვირვალედ ანგარიშგება. ეს შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იქნას შესყიდვების უწყების ანგარიშებში; მაგალითად, ყოველწლიურ ანგარიშში ცალკე კორპორაციული/საერთო სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ანგარიშში, ან უფრო ფორმალურ ანგარიშში. ასეთ დროს აუცილებელია, რომ შესყიდვების გუნდმა მონაცემების მიწოდება მოახდინოს მართვის და გარე პუბლიკაციის მიზნების გათვალისწინებით.

2.37. ADB პროექტის დასრულების ანგარიში უნდა მოიცავდეს მდგრადი ვარიანტების და მოთხოვნების შეფასებას, რომლებიც გათვალისწინებულია პროექტში და მიღწეული შედეგების შეფასებას.

### **მიღებული გამოცდილება**

2.38. მიღებული გამოცდილება მოიცავს განხორციელების როგორც შემოწმების, ასევე გადასინჯვის აქტივობებს. ამ აქტივობებით განისაზღვრება მოხდა თუ არა მდგრადობის შედეგების და პრიორიტეტების მიღწევა, და თუ დიახ, მაშინ რა შედეგები მოიტანა ამან. მიღწეული იქნა თუ არა VFM? რა გამოცდილება მივიღეთ სამომავლო მდგრადი შესყიდვებისთვის?

2.39. ამ პროცესის ნაწილი შეიძლება იყოს მომწოდებლების და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის ბრიფინგის ჩატარება წარმატებულ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე, მიღებულ გამოცდილებაზე და სხვა მხარეებთან ამ შედეგების გაზიარებაზე.

2.40. შესაძლოა სასარგებლო იყოს ბრიფინგის დოკუმენტების მომზადება, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო SPP-ში, თუ მსგავსი შესყიდვა განხორციელდება მომავალშიც. ეს დოკუმენტი სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:


- შესრულების მდგრადობის საჭიროებებთან, მიზნებთან და/ან პრიორიტეტებთან შესაბამისობის მიმოხილვა;
- მდგრადობის ასპექტების კუთხით შესრულების შეფასება;
- შედეგების მოლოდინების შესაბამისად შესრულების შეფასება;
- განხორციელების ზემოქმედების იდენტიფიცირება (როგორც დადებითი, ასევე უარყოფით კუთხით); და
- წარმატების ძირითადი ფაქტორების ანალიზი, და როგორ შეიძლება აღნიშნულის მომდევნო მდგრად სახელმწიფო შესყიდვაში გათვალისწინება.

2.41. ADB და მსესხებელმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მიღებული გამოცდილება, როგორც წარმატებაზე, ასევე წარუმატებლობაზე, მისცენ კადრებს სწავლის შესაძლებლობა, მაგალითად:

- მიღწეული მდგრადობის შედეგები და დადებით მხარეები;
- VFM სასიცოცხლო ციკლის სრულ ხანგრძლივობაზე;
- სარგებლიანობა მდგრადი KPI-ების;
- მდგრადობის მონიტორინგის და ანგარიშგების ეფექტურობა; და
- პროექტის დასრულების ანგარიში.

**J. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები ADB შესყიდვების ციკლში**

**გრაფიკი 11: მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები ADB შესყიდვების ციკლში**



### 3. პასუხისმგებლობები

3.1. ADB, მსესხებლის, კონსულტანტების, და მომწოდებლების აქტიური ჩართულობა არის უმნიშვნელოვანესი SusPP ინიციატივების როგორც მომზადების, ასევე დანერგვის კუთხით.

#### ADB და მსესხებლის როლები და პასუხისმგებლობები

##### ADB

3.2. ADB მონაწილეობს SusPP პოლიტიკების მომზადებაში და უზრუნველყოფს ზედამხედველობას საჭიროების შესაბამისად, რათა ADB შესყიდვის პოლიტიკები და პროცედურები შესრულდეს მსესხებლის და აღმასრულებელი სააგენტოს მიერ. ეს გულისხმობს SusPP მომზადებას, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- მსესხებელთან ერთად SusPP პრიორიტეტების იდენტიფიცირება მომავალი პროექტებისთვის;
- SusPP მოთხოვნების სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებებში და სატენდერო დოკუმენტებში გათვალისწინება საჭიროების შესაბამისად;
- სტრატეგიული შესყიდვის გეგმის მომზადება, რომელიც მოიცავს SusPP კრიტერიუმების გამოყენებას;
- აღმასრულებელი სააგენტოს სატენდერო დოკუმენტების განხილვა საჭიროების შესაბამისად, რათ მოხდეს SusPP მოთხოვნების გათვალისწინება;
- ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და SusPP პრაქტიკები, მსესხებლის შესაძლებლობების განვითარება, და ქვეყნის მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სისტემების გაძლიერება;
- ADB და მისი აღმასრულებელი სააგენტოების გამოცდილების პერიოდული განხილვა, მათ შორის მიღებული გამოცდილების და SusPP პოლიტიკებში და პრაქტიკებში ცვლილებების შესახებ წინადადებების მომზადება საჭიროების შესაბამისად.

#### მსესხებელი, აღმასრულებელი სააგენტოს პერსონალი და კონსულტანტები

3.3. SusPP დანერგვა ADB-ს მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის მნიშვნელოვნად ეხმარება მსესხებლებს და აღმასრულებელი სააგენტოს პერსონალს. პროცესში ხშირად მონაწილეობენ კონსულტანტები, რომლებიც პასუხისმგებელია არიან სატენდერო პროცედურების ჩატარებაზე, და სამუშაოების ზედამხედველობაზე ADB-ს პოლიტიკების და პროცედურების შესაბამისად. გამომდინარე აქედან, წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მითითებები მიზნად ისახავს მსესხებლის და აღმასრულებელი სააგენტო პერსონალის, ასევე კონსულტანტებისთვის დახმარების აღმოჩენას. მათი როლი განსხვავდება პროექტის შესყიდვების და გარემოს ოპერაციების, ასევე პროექტის სახეობების შესაბამისად. აღმასრულებელი სააგენტოს პერსონალის და კონსულტანტების პასუხისმგებლობები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- SusPP საჭიროებების განსაზღვრის მიზნით ADB პერსონალთან მუშაობა და SusPP სპეციფიკაციების და საჭიროებების განსაზღვრა;
- პროექტების შესყიდვის შემთხვევაში, SusPP ტექნიკური სპეციფიკაციების ნაწილში და სხვა სატენდერო დოკუმენტაციაში შესაბამისი დებულებების გათვალისწინება საჭიროებისებრ (დებულებები შეიძლება მოიცავდეს ვენდორების მიერ SusPP მეთვალყურეობას და აღმასრულებელი სააგენტოს და ADB-სთვის დოკუმენტაციის და



ანგარიშების მიწოდებას, რათა ADB დარწმუნდეს, რომ სესხის ფარგლებში დაფინანსებული პროდუქტები და მომსახურებები მომზადებულია პასუხისმგებლობით, რესურსების ეფექტურობის, ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის და გარემო პირობების გათვალისწინებით);

- სამოქალაქო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, შესაბამის შესყიდვების დოკუმენტებში SusPP დებულებების გაწერა, როგორც არის წინასაკვალიფიკაციო შედეგები, მოწვევა წინადადებების წარსადგენად, განაცხადის წარდგენის ფორმები, პირობები, ტექნიკური მახასიათებლები და მოცულობათა უწყისი (BOQ);
- სატენდერო დოკუმენტებში გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტში უნდა იყოს საკმარისი დეტალები, მათ შორის წინასაკვალიფიკაციო ინფორმაცია, კავშირი SusPP შესრულების და გადახდის საკითხებთან, როგორც არის ენერჯის მოხმარების დაკავშირება KPI-თან და გადახდებთან, რათა გამარჯვებულს ჰქონდეს მოტივაცია სრულყოფილად დანერგოს SusPP მიზნები;
- მომწოდებლების და კონტრაქტორების ადეკვატური ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას SusPP მოთხოვნებთან შესაბამისობა.

## 4. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სტანდარტები და ნიშნები

4.1. არსებობს SusPP კრიტერიუმების უამრავი წყარო, რომლებიც ეფუძნება სტანდარტებს და ტექნიკურ კომპეტენციებს. მდგრადობის კრიტერიუმები შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტებს და ტექნიკურ კომპეტენციებს, და უნდა განსაზღვრავდეს ინდუსტრიის კონკრეტულ სერტიფიცირებას ან ვერიფიკაციას, გარემოს ან სოციალურ სტანდარტებს, კოდექსს, ან მართვის სისტემის სტანდარტებს.

### A. ინდუსტრიული სტანდარტები და ვერიფიკაცია

4.2. ბევრი საერთაშორისო ინდუსტრია ახორციელებს ვერიფიკაციას, მაგალითად მსოფლიოს ტყის და წყლის ბინადრების რესურსების მართვის, ბიზნესების მიერ გარემოს აქტივების გაძლიერების ხელშემწყობი პროდუქტების და მომსახურებების წახალისების, გლობალური მომარაგების ჯაჭვის გაძლიერების და წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.

### B. მდგრადი შესყიდვების ნიშანი

4.3. ნიშნები სასარგებლოა SusPP მოთხოვნების განსაზღვრისთვის და შეიძლება ტექნიკური მახასიათებლების კონტექსტში გამოყენებული იქნას ორი განსხვავებული მიმართულებით. ნიშნები ეხმარება განმცხადებლებს განსაზღვრონ პროდუქტების ან მომსახურების მახასიათებლები, დაადგინონ შესაბამისობა მოთხოვნებთან, რადგან ნიშანი ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობის ერთერთი მთავარი დასტურია.

4.4. შესაბამე მხარის მიერ ვერიფიკაციის უზრუნველყოფით, ნიშნები ამცირებს დროს და ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვებში მაღალი დონის გარემო სტანდარტების გამოყენებას. სტანდარტის სერტიფიკატები და ნიშნები მნიშვნელოვანი ხელსაწყოებია SusPP დანერგვისთვის. სერტიფიკატები და ნიშნები ეხმარება მსესხებლებს გადალახონ ზოგიერთ ის გამოწვევა, რომელსაც ისინი აწყდებიან სოციალური ან გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფის დროს.

4.5. შესაბამისი გამოყენების დროს, ნიშნები სასარგებლოა შესაბამისობის სპეციფიკაციების და კრიტერიუმების მომზადების დროს. მსესხებლებმა შეიძლება გამოიყენონ ნიშნებზე მითითებული კრიტერიუმები, რათა მოამზადონ შესაბამისობის სპეციფიკაციები და დაადასტურონ შესაბამისობა. იმისთვის, რომ სწორად მოხდეს ნიშნების გამოყენება უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ნიშნები უნდა იყოს სანდო, საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ან აკრედიტაციის სქემის შესაბამისად;
- კონკრეტული ნიშნის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს შესყიდვას;
- ვენდორებს არ უნდა მოვთხოვთ ერთი ნიშნის ქვეშ რეგისტრაცია და ნებადართული უნდა იყოს ექვივალენტი ნიშნების გამოყენება.
- მდგრადი შესყიდვების ნიშანი

### C. აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები

4.6. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) საერთაშორისო სტანდარტი ISO 14001 გარემოს მართვის სისტემებისთვის არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო სტანდარტი და ადასტურებს, რომ გარემოზე ზემოქმედება იზომება და ექვემდებარება გაუმჯობესებას. ასევე, საინტერესოა უფრო კონკრეტული სტანდარტები, როგორც არის ISO 14020:2000 გარემოს დაცვის ნიშნებზე და დეკლარაციებზე, ISO 45001: 2018-

შრომითი ჯანმრთელობა და უსაფრთხოების მართვა, და ISO20400:2017 მდგრადი შესყიდვები. ჩამოთვლილთაგან ყველა განსაზღვრავს პრინციპებს მდგრადი შესყიდვების პრაქტიკების და მართვის განვითარების და გამოყენებისთვის.

4.7. ამასთან, SA8000<sup>35</sup> სოციალურ ვალდებულებაზე, რომელიც მომზადებულია საერთაშორისო სოციალური ანგარიშვალდებულებების<sup>36</sup> მიერ, და OHSAS 45001 შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვისთვის აქტიურად გამოიყენება და გათვალისწინებულია სოციალური მდგრადობის კრიტერიუმში.

4.8. არსებობს მდგრადობის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტი და სერტიფიკატი, როგორც არის ხელმძღვანელობა ენერჯის და გარემოს დაცვის პროექტირების კუთხით (LEED), FSC, და საზღვაო მართვის საბჭო (MSC), რომელიც შესაძლოა შეესაბამებოდეს მსესხებელს.

4.9. გლობალური ეკო-ნიშნების ქსელი<sup>37</sup> (GEN) არა-კომერციული ასოციაცია, რომელიც აღიარებს მესამე მხარის გარემოს დაცვის კუთხით შესრულებულ სამუშაოს, ახდენს მის სერტიფიცირება, და ნიშნის მინიჭებას, რაც შესაძლებელს ხდის ნიშნის გამოყენებით პროდუქტების ქვეყნების და სექტორების მიხედვით ძიებას.

---

<sup>35</sup> საერთაშორისო სოციალური ანგარიშვალდებულება. SA8000 სტანდარტი. <https://sa-intl.org/programs/sa8000/>.

<sup>36</sup> საერთაშორისო სოციალური ანგარიშვალდებულება. <https://sa-intl.org/>.

<sup>37</sup> გლობალური ეკო-ნიშნების ქსელი (GEN). <https://globalecolabelling.net/>.

## 5. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები, ტექნოლოგიების და ელექტრონული შესყიდვების გამოყენება

5.1. ტექნოლოგიური მიღწევები ეხმარება ბევრ ქვეყანას და კომპანიას SusPP ინიციატივების დანერგვასა და რეალიზებაში. მომარაგების ჯაჭვის მართვის სისტემების გამოყენებამ, როგორც არის ელექტრონული შესყიდვები, ელექტრონული წყაროები და სხვა დააჩქარა შესყიდვების პროცესები და ხელი შეუწყო ნარჩენების აღმოფხვრას.<sup>38</sup> ზოგიერთი ტექნოლოგია არის შემდეგი:

- ელექტრონული შესყიდვების სისტემები. შესყიდვის პროცესები დამოკიდებულია ინფორმაციის გაცვლაზე და ელექტრონული შესყიდვის პლატფორმები საუკეთესოა სწორი ინფორმაციის სწორ დროს ხელმისაწვდომობის კუთხით. ვინაიდან ელექტრონული შესყიდვის პროცესი ეფექტურად ერგება მომხმარებელს, და მას აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს ნებისმიერი ნივთი ან მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია კატალოგში, მნიშვნელოვანია, რომ ეს კატალოგი ყოველთვის იყოს განახლებული მწვანე შეფასებების და პროდუქტის კომპონენტების შესახებ ინფორმაციით. ასევე, სასურველი და მწვანე მომწოდებლების შეთავაზება უნდა მოხდეს ავტომატურად, თუ არსებობს ასეთი კატალოგი.
- ელექტრონული წყაროები. წყაროების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გადაწყვეტილებები ინტეგრირებულია პროცესებში და პროექტის მართვი შესაძლებლობებში, რაც უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას და დადასტურებას თითოეული კატეგორიის პროდუქტის განვითარების თითოეულ ეტაპზე, მათ შორის მდგრადობის მოთხოვნების კუთხით.
- ხელშეკრულების შესრულების მართვა. ხელშეკრულების შესრულების მართვის გადაწყვეტილებების გამოყენება ხელს უწყობს სავალდებულო SusPP და გარემოს, ასევე სოციალური დებულებების დანერგვას ხელშეკრულების მომზადების დროს, ხელშეკრულების მართვით შესაძლებელია დასახული მიზნების განხორციელების ზედამხედველობა.

5.2. ხილვადობა უმთავრესია მომარაგების ჯაჭვში, რათა მოხდეს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება. იმისთვის, რომ მომწოდებლებმა უზრუნველყონ პროდუქტების მდგრადი მიწოდება, და უწყვეტი მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შემცირებისთვის აუცილებელია მომარაგების ეფექტურად მართვა. მომწოდებლებთან ურთიერთობის პროგრამების გამოყენება ხელს უწყობს რისკების მართვას და აუმჯობესებს მომწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ხილვადობის გაუმჯობესებას. შეიძლება შეიქმნას ავტომატურად მომზადებული ანგარიშები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მომწოდებლების მიერ წინასწარ შეთანხმებული მდგრადობის სტანდარტების და შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისად მოქმედებას.

5.3. ელექტრონული შესყიდვების გამოყენება სრულყოფს, აჩქარებს პროცესებს, ამცირებს სამუშაოს და ხელს უწყობს ბაზრების გახსნას. სრულად ფუნქციური ელექტრონული შესყიდვის სისტემა ხელს უწყობს შემდეგს:

- სწრაფი, მარტივი მოძიება და ახალ მომწოდებლებთან თანამშრომლობა;

<sup>38</sup> ელექტრონული შესყიდვების დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ADB, 2018. *სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონულ შესყიდვებზე*. <https://www.adb.org/documents/eprocurement>.

- გამარტივებული და პირდაპირი წვდომა მდგრად პროდუქტებზე და მომსახურებებზე ფართო გეოგრაფიული მასშტაბით ელექტრონული კატალოგის გამოყენებით;
- ავტომატური მართვა, ხილვადობის გაუმჯობესება და ცენტრალიზებული კონტროლი არსებული მომწოდებლებისთვის;
- მკაცრი მართვა; მომწოდებლების განხილვა და მონაცემების შემოწმება (გარემოს დაცვის პოლიტიკები, სერტიფიკატები, და გასაჯაროება);
- მომწოდებლებთან ინფორმაციის და დოკუმენტაციის გაცვლის ავტომატიზაცია;
- SusPP პოლიტიკის შიდა დონეზე დანერგვა ავტომატიზებული პროცესების და ამ პროცესების მართვის გზით. მცირდება ხელით შესასრულებელი პროცესები, რაც თავის მხრივ ამცირებს აუცილებელი რესურსების და მომხმარებელი ენერჯის რაოდენობას; და
- ხარჯვის და დანაზოგის უფრო მარტივი და ზუსტი ზედამხედველობა და ანალიზი, რაც ხელს უწყობს ფასების მოლაპარაკების და მართვის პროცესების გაუმჯობესებას, და ხაზს უსვამს წარმატებას და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სიცოცხლისუნარიანობას.

## 6. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები სესხების სხვა მოდალობებში

6.1. საპროექტო სესხების გარდა, SusPP ასევე გამოიყენება ADB-ს სხვა სახის სესხებისთვის.

### A. სექტორული სესხები

6.2. სექტორული პროექტი, რომელიც ფინანსდება სექტორული სესხის მოდალობის ფარგლებში შედგება რამდენიმე მსგავსი ხასიათის ქვე-პროექტისგან, მაგრამ განსხვავდება ზომით და ვრცელდება ფართო გეოგრაფიულ არეალზე. გარემოს და სოციალური შეფასება როგორც წესი ხორციელდება ყველა ქვე-პროექტისთვის, მაგრამ ADB სწავლობს და აფასებს მხოლოდ შერჩეულ ქვე-პროექტებს. SusPP მოთხოვნები უნდა განისაზღვროს შერჩეული ქვე-პროექტების გარემოს შეფასებაზე დაყრდნობით და გამოყენებული იქნას ყველა ქვე-პროექტისთვის საჭიროების შესაბამისად.

### B. პროგრამული სესხები

6.3. პროგრამული სესხი ძირითადად ორიენტირებულია პოლიტიკის და ინსტიტუციურ რეფორმებზე. სესხის ეს სახეობა მოითხოვს გარემოს და სოციალურ შეფასებას, რათა სტრატეგიულად შეფასდეს შემოთავაზებული პოლიტიკის რეფორმის გარემოზე ზემოქმედება. როგორც წესი, სამართლებრივ დოკუმენტებს შეიძლება დაერთოს აკრძალვების სია<sup>39</sup>, რათა არ მოხდეს აკრძალული პროდუქტების შესყიდვა სასესხო სახსრების გამოყენებით.

6.4. ქვემოთ მოცემული ტექსტი შეიძლება გამოყენებული იქნას სასესხო ხელშეკრულების და ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციისთვის (იხილეთ მომხმარებლის სახელმძღვანელო პროდუქტების შესყიდვისთვის).

„თუ სხვაგვარად არ მოხდება ADB-სთან შეთანხმება, პროდუქტები არ უნდა შეიცავდეს ADB-ს აკრძალვების სიაში მითითებულ საშუალებებს. მომწოდებლებმა უნდა მოამზადონ ანგარიში, ან წარმოადგინონ ინფორმაცია, რათა მოხდეს ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება.“

### C. პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხები და შედეგებზე დაფუძნებული სესხები

6.5. პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხების შემთხვევაში, არსებობს ADB ნუსხა გარემოს და სოციალური შეფასებისთვის, თუმცა მოთხოვნა არ არსებობს შესყიდვის შეფასების განხორციელების მოთხოვნა. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები არ არის მოთხოვნილი; თუმცა, შესაძლოა სასარგებლო იყოს SusPP მომზადება პროექტის ფარგლებში, რათა მოხდეს SusPP მიზნების ან მოთხოვნების გათვალისწინება, განსაკუთრებით კი ისეთი მხარეების გაძლიერება როგორც არის მმართველობა, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები.

6.6. შედეგებზე დაფუძნებული სესხების შემთხვევაში, არსებობს პროგრამის ნდობაზე დაფუძნებული სისტემების შეფასება, რომელიც მოიცავს შესყიდვების სისტემების შეფასებას. ზოგიერთი შედეგი, რომელიც განსაზღვრულია სესხის მომზადების დროს მოიცავს SusPP შედეგებს და მიზნებს.

<sup>39</sup> დანართ 5 (აკრძალული საინვესტიციო აქტივობების სია), ADB, 2009. უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება. მანილა. <https://www.adb.org/documents/safeguard-policy-statement>.

#### D. კერძო სექტორი

6.7. ზოგადად, ინვესტორები მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად ახორციელებენ გარემოს, სოციალური და მმართველობის (ESG) საინვესტიციო გადაწყვეტილებებში ინტეგრაციას. SusPP პრაქტიკები ADB-ს თითოეული კერძო სექტორის მოდალობისთვის აღწერილია ქვემოთ.

- პროექტის ტიპის სესხებისთვის, SusPP მოთხოვნები უნდა იყოს იმავე ტიპის, როგორც ეს საჯარო სექტორის საპროექტო სესხების შემთხვევაში არის;
- აქციებში ინვესტირების შემთხვევაში SusPP შესაძლებლობები უნდა განვიხილოთ გარემოს და სოციალური ვალდებულების ნაწილად. ახალი პროექტის შემთხვევაში, SusPP მოთხოვნები საპროექტო სესხებისთვის დადგენილი წესების მსგავსია.
- გარანტირებული ოპერაციების შემთხვევაში, SusPP მოთხოვნები კომპანიებისთვის, რომლების იღებენ გარანტიებს შემოიფარგლება გარემოზე და სოციალურ საკითხებზე მორგებული მასალების და პროდუქტების შესყიდვის მოთხოვნით. თუმცა, ვრცელდება აკრძალვების სია.
- ფინანსური შუამავლების დახმარებით საკრედიტო ხაზის შემთხვევაში, SusPP მოთხოვნები კრედიტის მიმღები კომპანიებისთვის შემოიფარგლება გარემოზე და სოციალურ საკითხებზე მორგებული მასალების და პროდუქტების შესყიდვის მოთხოვნით. აქაც, აკრძალვების სია ვრცელდება როგორც გარემოს, ასევე სოციალურ აქტივობებზე.

---

#### ჩანართი 10

##### ქვეყნის და რეგიონალური სტრატეგიის დაკავშირება- ელექტრო ენერჯის დაზოგვა სომხეთში

2017 წლის ივნისში, ADB დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 80 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხი სომხეთის ელექტრო ქსელებისთვის CJSC (ENA). სესხი მიზნად ისახავდა ელექტროენერჯის განაწილების გაუმჯობესებას და ენერჯო დამოუკიდებლობის და ეფექტურობის გაუმჯობესებას სომხეთში. ინვესტიცია დაეხმარება ENA-ს გააძლიეროს კერძო სექტორისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდება სომხეთში, რისთვისაც მოხდება განაწილებასთან დაკავშირებული დანაკარგების 2016 წელს დაფიქსირებული 10%-დან 2021 წლისთვის 8%-მდე შემცირებით.

პროექტი ADB-ს 2030 წლის სტრატეგიის ორ ოპერაციულ პრიორიტეტში ხვდება: ოპერაციული პრიორიტეტი 2 (გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესის დაჩქარება), და ოპერაციული პრიორიტეტი 4 (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქები). ელექტროენერჯის მიწოდების უზრუნველყოფა ზრდის ეკონომიკურ აქტივობას როგორც ქვეყანაში, ასევე აძლიერებს სომხეთის ქალაქების მედეგობას, და შესაძლებლებს განდის პანდემიაზე ეფექტურ რეაგირებას, და შეამცირებს უარყოფით ზეგავლენას. ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა ადამიანის საბაზისო საჭიროებაა და ყველა ოჯახი და ბიზნესი სომხეთში სარგებელს იგრძნობს ყველა ქალაქში ელექტრო ენერჯის შეუფერხებელი მიწოდებით.

წყარო: ADB 2017. ADB ხელს შეუწყობს ელექტრო მომარაგების ეფექტურობის გაუმჯობესებას სომხეთში. <https://www.adb.org/news/adb-help-improve-electricity-distribution-efficiency-armenia>.

## 7. დასკვნა

7.1. მდგრადი შესყიდვა არის მიდგომა, რომელიც მუდმივად ვითარდება. მწვანე შესყიდვების განვითარების მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა განაპირობა გარემოს დაცვის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საქონლის შესყიდვა, შემდეგ მოხდა სოციალური კრიტერიუმების, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მიზნების დამატება, და შედეგად ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების მიდგომა.

7.2. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები არის სტრატეგიული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებას. ეს არის ხარჯვის და ინვესტირების პროცესი, რომელიც როგორც წესი უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას და მოიცავს მაღალი დონის თანამშრომლობას და ჩართულობას მომარაგების ჯაჭვის ყველა მხარეს შორის.

7.3. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მდგრადი შესყიდვა მოიცავს არა მხოლოდ მოკლევადიანი საჭიროებების, არამედ გრძელვადიანი ზემოქმედების გათვალისწინებას. ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ SusPP პრაქტიკას საქონელთან, მომსახურებებთან და სამუშაოებთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ არა ხარჯების ანალიზზე დაყრდნობით, არამედ იმ კუთხით, რომ მაქსიმალურ ყურადღებას ამახვილებენ მათთვის და ზოგადად სამყაროსთვის მოტანილ სარგებელზე.

7.4. SPP პროცესში გათვალისწინების ვალდებულებებთან ერთდ, SusPP გამოყენება განსხვავდება პროექტების მიხედვით, და მდგრადი შესყიდვების გამოყენება მსესხებლის პრეროგატივაა. ეს დოკუმენტი მოუწოდებს ADB დაფინანსებული პროექტების მიერ მდგრადი საკითხების შესყიდვის სხვადასხვა აქტივობებში გამოყენებას, და მიუთითებს შესაძლო მდგრადი შესყიდვის შეთანხმებებზე, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნას პროექტის ციკლის დროს.



# დანართი 1- გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხები

## A. მიმოხილვა

A1.1. აზიის განვითარების ბანკის მიერ გაცემული სესხებით ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შესყიდვების განხორციელება ხდება. ამ პროცესთან დაკავშირებულმა აქტივობებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გარემო, სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა იქონიონ. სხვა განვითარების ბანკებთან ერთად, ADB-მ სცადა შეემოწმებინა გარემოს და სოციალური ასპექტების შესყიდვების პროცესში ინტეგრაცია. 2003 წელს შეიქმნა არაფორმალური სამუშაო ჯგუფი ADB EHS სახელმძღვანელოს<sup>40</sup> შესაქმნელად, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებს ყველა სახის ინდუსტრიული სექტორის მიერ გამოყენებისთვის.

## B. გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გასათვალისწინებელი საკითხები და მითითებები

A1.2. გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (ESHS) რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკების<sup>41</sup> თანახმად მსესხებლის სპეციალისტების, მათ შორის გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, მშენებლობის, იურიდიული, ტექნიკური და შესყიდვის სპეციალისტების ჩართვას მოითხოვს. სხვა სფეროს სპეციალისტების ჩართვა დამატებით უწყობს ხელს მაგალითად, ჰიდროელექტრო უსაფრთხოების მიმართულებით. ADB მსესხებელს აძლევს რჩევას აუცილებელი ექსპერტული გამოცდილების და ინფორმაციის, ასევე აუცილებელი ცოდნის, უნარების, და გამოცდილების შესახებ, რომელიც უნდა ჰქონდეს სპეციალისტს.

A1.3. გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები და პრობლემები, რომლებიც გათვალისწინებულია და იდენტიფიცირებულია ნებისმიერი უსაფრთხოების შეფასების<sup>42</sup> ფარგლებში მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს პროექტირების და სამშენებლო სამუშაოებიდან და განხილულია პროექტისთვის მომზადებულ დოკუმენტებში როგორც არის გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება, გარემოს მართვის გეგმა ან გარემოს და სოციალური მართვის გეგმები, გარემოს და სოციალური ვალდებულების გეგმები, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო, და განსახლების სამოქმედო გეგმა; ასევე, ნებართვის ან თანხმობის პირობებს, ან მარეგულირებელი უწყების მიერ წამოყენებულ ნებისმიერ პირობას, რომელიც თან ახლავს ნებართვას, დასტურს პროექტის განხორციელებისთვის, და რეგულაციებს, ზოგად მახასიათებლებს, სექტორის შესაბამის სპეციფიკაციებს, ან სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს.

A1.4. დამატებით, მსესხებლის გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ კონტექსტთან დაკავშირებული პრობლემები და რისკები, რომლებიც უშუალოდ არის დამახასიათებელი სექტორის, ქვეყნის ან რეგიონისთვის; ან საოპერაციო და მარეგულირებელი რეჟიმი, როგორც არის შემარბილებელი ზომების ხელმისაწვდომობა

<sup>40</sup> ADB. 2003. ADB გარემოს შეფასების სახელმძღვანელო. <https://www.adb.org/documents/adb-environmental-assessment-guidelines>.

<sup>41</sup> ADB. უსაფრთხოება. <https://www.adb.org/who-we-are/safeguards/main>.

<sup>42</sup> ADB. უსაფრთხოების დოკუმენტები. <https://www.adb.org/site/safeguards/safeguards-documents>.

(მაგალითად, საგზაო მოძრაობის კონტროლი ან ნარჩენების განკარგვა), სამუშაოს ტრადიციული მეთოდები, და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა ინდუსტრიაში.

A1.5. ADB გარემოს და სოციალური საკითხების სპეციალისტებმა<sup>43</sup> შესაძლოა მსესხებელს მისცენ რეკომენდაციები მსესხებლის ESHS პოლიტიკის და პროექტის რისკების შესაბამისი კონტენტის მომზადებაზე.

### C. შრომის ძირითადი სტანდარტები



A1.6. ADB შრომის ძირითადი სტანდარტები ასახულია ADB-ს *შრომის ძირითადი სტანდარტების სახელმძღვანელოში*.<sup>44</sup>

A1.7. შრომის სტანდარტები არის წესები, რომლებიც მართავს თუ როგორ ხდება ადამიანებთან მოპყრობა სამუშაო გარემოში. ეს სტანდარტები განსხვავდება ფორმების მიხედვით, და მზადდება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. შრომის სტანდარტების არსის გათვალისწინებით, მისი არსებობა პირდაპირ არ გულისხმობს კომპლექსური სამართლებრივი მიდგომების ყველა სიტუაციაში გამოყენებას. შრომის სტანდარტი შეიძლება იყოს მარტივი და უზრუნველყოს კარგი მმართველობის საბაზისო წესების გამოყენება.

A1.8. შრომის სტანდარტები მოიცავს მრავალ საკითხის და ძირითადად შეეხება ადამიანის საბაზისო უფლებებს სამუშაოზე, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პატივისცემას, და ადამიანებისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების უზრუნველყოფას. სტანდარტები ასევე ითვალისწინებს კარგი მმართველობის საკითხებს, როგორც არის შრომის ინსპექცია და შრომის ადმინისტრირება. ეკონომიკურ კონტექსტში, სტანდარტები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი პროდუქტიულობის და კონკურენციის უზრუნველყოფისთვის.

A1.9. ეროვნულ დონეზე, შრომის სტანდარტები ხშირად განისაზღვრება კანონებით და რეგულაციებით. ზოგიერთი სტანდარტი გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებებში. როგორც წესი, სტანდარტები სავალდებულოა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების, პროფესიული გაერთიანებების და დამსაქმებლებისთვის. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, სტანდარტების მიღების შემდეგი ისინი იძენენ კანონის ძალას, და ვრცელდება მთლიანად ქვეყანაზე ან ეკონომიკურ სექტორზე.

A1.10. საერთაშორისო დონეზე, შრომის სტანდარტები ხელმისაწვდომია საერთაშორისო კონვენციებში, და რეკომენდაციებში. საერთაშორისო შრომის სტანდარტები (ILS) მნიშვნელოვანია ორი მიზეზით. პირველი, ეს სტანდარტები წარმოადგენს საერთაშორისო კონსენსუსს მინიმალურ საუკეთესო პრაქტიკებზე, იქნება ეს ადამიანის უფლებები თუ უფრო კონკრეტული შრომითი საკითხები. მეორე- ყველაზე მნიშვნელოვანია სტანდარტები, რომლებიც რატიფიცირებულია რამდენიმე ქვეყნის მიერ- ასეთი სტანდარტები წარმოადგენს სამართლებრივ ვალდებულებას ეროვნული და საერთაშორისო კანონების ფარგლებში, და შესაძლოა ინტეგრირებული იყოს ეროვნულ კანონში.

A1.11. ADB-ს პროექტების დოკუმენტების უმრავლესობა მოითხოვს მთავრობის მიერ საკუთარი კანონების გამოყენებას, და ხშირად მოიცავს რატიფიცირებულ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა კონვენციებს.

<sup>43</sup> ADB. უსაფრთხოება. <https://www.adb.org/who-we-are/safeguards/main>.

<sup>44</sup> ADB. 2006. *შრომის ძირითადი სტანდარტები*. <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33480/files/cls-handbook.pdf>.

A1.12. ADB-ს შრომის სტანდარტები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ოთხი ფუნდამენტური, უნივერსალური და განუყოფელი კომპონენტის ერთობლიობას: იძულებითი შრომის არ არსებობა, ბავშვების შრომის დაგმობა, დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნა, გაერთიანების ჩამოყალიბების და მისი წევრობის თავისუფლება, და კოლექტიური მოლაპარაკების თავისუფლება.

A1.13. ეს ოთხი უფლება გათვალისწინებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ოთხ კონვენციაში.

A1.14. ეს არის მინიმალური „ხელშემწყობი უფლებები“, რომლებიც ადამიანებს სჭირდება საკუთარი უფლებების და სამუშაო პირობების გაუმჯობესების, თავისუფლად მუშაობის და ღირსების დაცვის, და სიცოცხლის განვითარებისთვის.

A1.15. ამ უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დანერგვა უზრუნველყოფს, რომ გლობალიზაციამ სარგებელი მოუტანოს უმრავლესობას, და არა უმცირესობას.

## დანართი 2- სასიცოცხლო ციკლის ანალიზი

### A. სასიცოცხლო ციკლის ფასის ანალიზის მიზანი

A2.1. სასიცოცხლო ციკლის ფასის ანალიზის ჩატარება გვეხმარება განვსაზღვროთ თუ რა იქნება აქტივის ღირებულება სასიცოცხლო ციკლის მიმდინარეობისას. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მიზეზი თუ რატომ არის მნიშვნელოვანის აქტივის ღირებულების ცოდნა აუცილებელი.

#### 1. ორ ან რამდენიმე აქტივის შორის არჩევანის გაკეთება

A2.2. სასიცოცხლო ციკლის ფასის განსაზღვრა ხელს უწყობს შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებას. თუ აქტივი საწყისი ფასი არის ერთადერთი ფაქტორი, მაშინ სასიცოცხლო ციკლის დასასრულისთვის ფასი შესაძლოა გაცილებით მაღალი აღმოჩნდეს. მაგალითად, შეიძლება მეორადი აქტივის ყიდვა დაბალ ფასად, მაგრამ დროთა განმავლობაში შეკეთების და მომსახურების ხარჯები შეიძლება იმაზე მაღალი იყოს ვიდრე ახალი მოდელის შეძენა.

A2.3. სასიცოცხლო ციკლის ფასის მართვა დამოკიდებულია ქვიანი ინვესტირების განხორციელების უნარზე. ორ ან რამდენიმე აქტივის შორის გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეთ არა მხოლოდ ღირებულება, არამედ მთლიანად ფასი.

#### 2. აქტივის დადებითი მხარეების განსაზღვრა

A2.4. ზოგადად, აუცილებელია შესყიდვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფით მხარეების განსაზღვრა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ საწყის, მოკლევადიან ხარჯებს, მაშინ ვერ გავიგებთ რამდენად მომგებიანია აქტივი ბიზნესისთვის ფინანსური თვალსაზრისით და გრძელვადიან პერსპექტივაში.

A2.5. სასიცოცხლო ციკლის ღირებულება შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ, თუ აქტივის გამოყენებით მიღებული მოგება უტოლდება ხარჯს. თუ აქტივის მიმდინარე შესყიდვის ფასი გათვალისწინებულია სხვა ხარჯების გარეშე, მაშინ მოგების ნაწილის სრულად უგულებელყოფილია.

#### 3. ზუსტი ბიუჯეტის შედგენა

A2.6. აქტივის მთლიანი ღირებულების განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია ისეთი ბიუჯეტის შედგენა, რომელიც ზუსტად ასახავს ბიზნესის ხარჯებს. ამგვარად, ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნება ბიზნესის ყველა ხარჯი.

A2.7. ბიუჯეტი შედგება ხარჯების, შემოსავლის და მოგებისგან. თუ აქტივის ღირებულება არ არის სწორად განსაზღვრული, მაშინ გადაჭარბებით ფასდება მოგება. ხარჯების არასწორმა აღრიცხვამ შესაძლოა გამოიწვიოს გადაჭარბებული ხარჯვა.

### B. სასიცოცხლო ციკლის ეკო-ნიშნები

A2.8. ხშირად ამბობენ, რომ ეკო ნიშნები ხშირად ეფუძნება სასიცოცხლო ციკლის შეფასებას, ან ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებას პროდუქტის სრული სასიცოცხლო ციკლის დროს.

A2.9. სასიცოცხლო ციკლის შეფასება არის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის გარემოზე ზემოქმედების კუთხით გამოყენება, როგორც არის სასათბურე აირების ემისია, წყლის მოხმარება, ჰაერის დაბინძურება, არა-განახლებადი რესურსების გამოყენება, ქიმიკატების ემისია, და ჩამდინარე წყლების მოცულობა. ISO შეიმუშავა მოთხოვნები და სახელმძღვანელოები სასიცოცხლო ციკლის შეფასებისთვის (ISO 14044:2006 და 14040:2006).

A2.10. სასიცოცხლო ციკლის ფასის და სასიცოცხლო ციკლის შეფასების ორი კონცეფცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რადგან გარემოზე ზემოქმედების შემცირება ხშირად ეკონომიკურ დანაზოგს უკავშირდება. სასიცოცხლო ციკლის ფასის განსაზღვრის ტექნიკა ხელს უწყობს ფარული ხარჯების გამოცილებას, რომლებიც ხშირად უგულებელყოფილია საინვესტიციო ხარჯების სასარგებლოდ. შესყიდული პროდუქტები მოიხმარს ენერგიას, წყალს და სხვა რესურსებს, თავად აქტივის განკარგვის ხარჯებიც კი ხშირად უყურადღებოდ რჩება. შესაბამისად, ენერჯის დაბალი მოხმარების ან გარემოზე სხვა უარყოფითი ზემოქმედების არ მქონე აქტივის შექმნა გამართლებულია ეკონომიკური თვალსაზრისით.

A2.11. ეკო ნიშნების სერტიფიცირება ეფუძნება პროდუქტების მთლიანი სასიცოცხლო ციკლის ფასის კრიტერიუმებს. პროდუქტის კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე განთავსებულ სქემებში, და სასარგებლოა რესურსების მოხმარების, სასიცოცხლო ციკლის ამოწურვის და განკარგვის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ასეთ ინფორმაცია შესაძლებელია გამოვიყენოთ სასიცოცხლო ციკლის ხარჯების განსაზღვრისთვის.

A2.12. ქვემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისოდ აღიარებული სასიცოცხლო ციკლის ფასის გამოთვლის ხელსაწყოები, კერძოდ სასიცოცხლო ციკლის ფასი, მწვანე სახელმწიფო შესყიდვა<sup>45</sup>, SMART მდგრადი შესყიდვის ხელსაწყო<sup>46</sup>, და ISO 15686-5 შენობები და ნაგებობები- მომსახურების ციკლის დაგეგმვა და სასიცოცხლო ციკლის ფასები<sup>47</sup>, ხელმისაწვდომია და საჭიროა მათი გათვალისწინება.

---

<sup>45</sup> ევროკომისია. სასიცოცხლო ციკლის ფასი. <http://ec.europa.eu/environment/gpp/lcc.htm>.

<sup>46</sup> SMART SPP. <http://www.smart-spp.eu>

<sup>47</sup> ISO, ონლაინ პლატფორმა. <https://www.iso.org/obp/ui/#iso:std:iso:15686:-5:ed-2:v1:en>

## დანართი 3- გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოს მონიტორინგის გეგმა მდგრად სახელმწიფო შესყიდვებში

### A. გარემო და სოციალური ზემოქმედების შეფასება

A3.1. პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება<sup>48</sup> (ESIA) ტარდება პროექტთან, მშენებლობასთან, ოპერაციებთან, და ტექნიკურ მომსახურებასთან, ასევე ჩამოწერასთან დაკავშირებული შესაძლო გარემო და სოციალური ზემოქმედების შეფასებისთვის. ალტერნატიული სივრცეების, ტექნოლოგიების, პროექტების, და ოპერაციული პროცედურების, მიწის განვითარების და რესურსების გამოყენების გარემოს და სოციალური ზემოქმედების შედარება და შეფასება დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილია, ეკონომიკურ ანალიზთან და შემარბილებელი ზომების, ასევე გარემოს მართვის გეგმის (EMP) მომზადებასთან ერთად.

A3.2. შემოთავაზებული პროექტები მოწმდება აზიის განვითარების ბანკის მიერ სახეობის, მდებარეობის, მასშტაბის და მგრძობიარობის მიხედვით; ასევე ფასდება პოტენციური გარემო ზემოქმედება, მათ შორის პირდაპირი, ირიბი, გამოწვეული და კუმულაციური ზემოქმედება.

A3.3. პროექტები იყოფა ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ კატეგორიად (გრაფიკი A3.1.).

გრაფიკი A3.1: უსაფრთხოების კატეგორიები

<b>კატეგორია A</b>	შემოთავაზებული პროექტი მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას მოახდენს გარემოზე, და ეს ზემოქმედება იქნება შეუქცევადი, მრავალფეროვანი ან უპრეცედენტო. ეს ზემოქმედება შესაძლოა გავრცელდეს დიდი ტერიტორია, გასცდეს ფიზიკური სამუშაოების არეალს. EIA, მათ შორის EMP მომზადება აუცილებელია.
<b>კატეგორია B</b>	შემოთავაზებულმა პროექტმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სამუშაო არეალის გარემოზე. ზემოქმედების მცირე რაოდენობა იქნება შეუქცევადი და შესაძლებელია შემარბილებელი ზომების მიღება. გარემოს შემოწმება, მათ შორის EMP მომზადება აუცილებელია.
<b>კატეგორია C</b>	შემოთავაზებული პროექტები დიდი ალბათობით მინიმალურ ან არანაირი უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს გარემოზე. EIA ან IEE აუცილებელი არ არის, თუმცა გარემოზე ზემოქმედება მოითხოვს გადასინჯვას.
<b>კატეგორია FI</b>	შემოთავაზებული პროექტი მოიცავს ADB საინვესტიციო ხარჯების გამოყენება ფინანსური შუამავლის გავლით. ფინანსურმა შუამავალმა უნდა გამოიყენოს გარემოს და სოციალური მართვის სისტემა, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ფინანსური შუამავლის საქმიანობას მინიმალური ან არანაირი გარემო ზემოქმედება ან რისკი არ მოჰყვება.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

A3.4. ADB-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) მიზანი არის გადაწყვეტილების მიმღები პირების და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება შემოთავაზებული მოქმედებებით

<sup>48</sup> ADB. 1987. გარემოზე ზემოქმედების შეფასება აზიის განვითარებადი ქვეყნებისთვის. Asia. <https://www.adb.org/publications/environmental-impact-assessment-developing-countries-asia>.

გამოწვეული გარემო ზემოქმედების შესახებ ვიდრე მოხდება უშუალო გადაწყვეტილების მიღება. EIA, ADB სახელმძღვანელოს<sup>49</sup> შესაბამისად ხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ან პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე, რათა (ა) განისაზღვროს და შეფასდეს დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება; (ბ) შეფასდეს ალტერნატიული მდებარეობა, საქონელი, მასალები და აღჭურვილობა, რომელიც ნაკლებად აბინძურებს გარემოს და ნაკლებად საზიანოა როგორც გარემოს ასევე ჯანმრთელობისთვის; და (გ) მომზადდეს შემარბილებელი ზომები, მონიტორინგის გეგმა და სხვა ზომები გარემოს მართვისთვის. პოტენციური ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს პროექტს ან თავად ხელშეკრულების დანერგვას. მდგრადი შესყიდვების შესაძლებლობების იდენტიფიცირება გარემოს შეფასების ეტაპზე აძლიერებს სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების, რესურსების ეფექტურობის, ნარჩენების მართვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, და სამშენებლო პრაქტიკების უსაფრთხო გამოყენებას.

## **B. გარემოს მართვის გეგმა**

A3.5. ნებისმიერი პროექტის დაგეგმვის პროცესი უნდა მოიცავდეს გარემოს მართვის გეგმას (EMP). თუმცა, ყველაზე მოცულობით პროექტზე დაფუძნებული EMP-ც კი უსარგებლოა თუ გარემოს შეფასება და მართვა ფუნდამენტურად მცდარია. ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხშირად ახლავს მნიშვნელოვანი და ხშირად შეუქცევადი გარემო ზემოქმედება, და ყურადღებით დაგეგმვას მოითხოვს უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

A3.6. ADB-ს გარემოს დაცვის პოლიტიკით აღიარებულია კავშირი SusPP-თან და მოუწოდებს SusPP-ს გარემოს, სოციალური და ეკონომიკური შეფასების პროცესში ინტეგრაციისკენ. გარემოს, სოციალური ან ეკონომიკური პოლიტიკის ოპერაციებში გათვალისწინების მიზნით, ADB მოუწოდებს მსესხებლებს და აღმასრულებელ სააგენტოებს უზრუნველყონ, რომ ADB-ს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვა მოხდეს პასუხისმგებლობით, ეფექტურობის, ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანის, გარემოს, სოციალური და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

A3.7. პროექტის მომზადების ეტაპზე, განხორციელებადობის კვლევის ფარგლებში, ESIA<sup>50</sup> მზადდება შესაძლო გარემო და სოციალური ზემოქმედების შეფასებისთვის, რომელიც უკავშირდება პროექტს, მშენებლობას, ოპერირებას და ტექნიკურ მომსახურებას, ასევე ექსპლუატაციიდან მოხსნის პროცედურებს. ალტერნატიული სივრცეების, ტექნოლოგიების, პროექტების და ოპერირების პროცედურების გარემო და სოციალური ზემოქმედება ფასდება დაგეგმვის პროცესში, ეკონომიკური ანალიზის პარალელურად, და გათვალისწინებულია შემარბილებელი ზომების და მონიტორინგის გეგმის ან EMP მომზადების პროცესში.

A3.8. ADB გარემოს დაცვის პოლიტიკა მოითხოვს ისეთი EMP მომზადებას, რომელიც შეეხება შემარბილებელ ზომებს, გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის მოთხოვნებს და ინსტიტუციონალურ მოწყობას A<sup>51</sup> და B კატეგორიის პროექტებისთვის. პოლიტიკა დამატებით

<sup>49</sup> ADB. 1997. გარემო ზემოქმედების შეფასება აზიის განვითარებადი ქვეყნებისთვის. ტომი 1- მიმოხილვა. <https://www.adb.org/sites/default/files/publication/29779/eia-developing-countries-asia.pdf>.

<sup>50</sup> ADB. 1997. გარემო ზემოქმედების შეფასება აზიის განვითარებადი ქვეყნებისთვის. <https://www.adb.org/publications/environmental-impact-assessment-developing-countries-asia>.

<sup>51</sup> A კატეგორიის და მგრძობიარე B კატეგორიის პროექტებისთვის, გარემოს დაცვის პოლიტიკა მოითხოვს, რომ აღმასრულებელმა სააგენტომ ADB-ს წარუდგინოს ორი ანგარიში ყოველწლიურად, რომელშიც ასახული იქნება EMP დანერგვის პროცესი; ასევე, მოითხოვს, რომ ADB-მ ჩაატაროს გარემოს ზემოქმედების ასპექტების დეტალური მიმოხილვა, რათა დარწმუნდეს, რომ მსესხებელი, ან აღმასრულებელი სააგენტო ახორციელებს EMP დანერგვას და ასრულებს გარემოს დაცვის მოთხოვნებს. სამშენებლო აქტივობების დაწყებამდე, კონტრაქტორმა, მშენებლობის მართვის გუნდმა და აღმასრულებელმა სააგენტომ უნდა შეათანხმონ ანგარიშგების ფორმატი, ვალდებულებები და

მოითხოვს EMP-ს სასესხო შეთანხმებაში გათვალისწინებას, პერიოდული ანგარიშების მომზადებას და EMP შესრულების მონიტორინგის მიზნით მისიების ორგანიზებას. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა აძლიერებს EMP-ს დანერგვას ცნობიერების ამაღლების და დაგეგმვის სპეციალისტების და ინჟინრების გადამზადებით, რომლებიც ჩართული არიან EMP-ს შემუშავების და დანერგვის, ასევე სტანდარტული პრაქტიკების პროცესში. სტანდარტული პრაქტიკების ცვლილება მოიცავს (ა) იმ მასალების გამოყენებისგან თავის შეკავება, რომლებიც აკრძალულია გარემოს დაცვის მიზნით; (ბ) მოხმარებული მასალების მინიმუმამდე დაყვანა; (გ) ისეთი მასალების გამოყენების წახალისება, რომლებიც ექვემდებარება გადამუშავებას ან ხელახალ გამოყენებას; და (დ) ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანა ინვენტარის, შესყიდვების და სასაწყობო პრაქტიკების დახვეწის, ასევე სპეციალიზებული მომწოდებლების და კონტრაქტორების გამოყენების გზით.

A3.9. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები უმჯობესია ინტეგრირებული იყოს გარემოს შეფასებაში დაგეგმვის პროცესთან. SusPP ხელს უწყობს პროექტის დახვეწას (ა) არა ტოქსიკური მასალების გამოყენებით, რაც თავის მხრივ ამცირებს ან სრულად აღმოფხვრის შეგროვების და განკარგვის ხარჯებს მშენებლობის, ოპერირების და ექსპლუატაციიდან გამოყვანის პროცესში; (ბ) ხელს უწყობს ეკო-მეგობრულ სამშენებლო პროცესებს; და (გ) ხდება შესაბამისი პერსონალის ან ჯგუფების გამოყენება შემარბილებელი ზომების ეფექტური დანერგვისთვის. სამშენებლო მასალების და პროექტის ოპერირებისთვის საჭირო ნედლეულის შესყიდვების დაგეგმვისას სასიცოცხლო ციკლის ანალიზი შეიძლება გათვალისწინებული იქნას ნარჩენების კონტროლის და ხელახალი გამოყენების და აღდგენის წახალისების მიზნით.

A3.10. მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა შეიძლება შეზღუდოს SusPP დანერგვა გარემოს შეფასების პროცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობის, ხარჯების, ტექნიკური შეზღუდვების, შესაძლებლობების ნაკლების, ხელშემწყობი ბაზრების ხელმისაწვდომობის, და პროფესიული დისკრიმინაციის კუთხით. შესაბამისად, პროექტის სწრაფი გარემო შეფასება ტარდება პირველ რიგში და ეფუძნება პროექტის კონცეფციას, როგორც არის პროექტის მდებარეობა, გარემოს მახასიათებლები, ზომა, და პროექტისთვის აუცილებელი რესურსები. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება გარემოზე პოტენციური ზემოქმედების და შემარბილებელი ზომების განსაზღვრისთვის. სამოქალაქო სამუშაოების, აღჭურვილობის, და მომსახურებების შესყიდვა ხშირად დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადების შემდეგ ხდება, და პირველი გადაწყვეტილება ERP ამ პროცესში გათვალისწინების შესახებ მნიშვნელოვანად განსაზღვრავს მომავალ გადაწყვეტილებებს, როგორც არის გასათვალისწინებელი ალტერნატივები, ორიენტაცია, და პროექტის შესაბამისობა, სპეციფიკაციის მოთხოვნები და გარემოზე ზემოქმედების შერბილების მასშტაბები.

---

მხარეთა პასუხისმგებლობები, ასევე ინფორმაციის გადინების თანმიმდევრობა. ანგარიშგების ფორმატი მოიცავს შემარბილებელი ზომების დანერგვას, იდენტიფიცირებულ პრობლემებს, და შემოთავაზებულ და წინასწარ შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.



## დანართი 4- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების ასპექტები ტექნიკურ დავალებაში

A4.1. ტექნიკურ დავალებაში უნდა გავითვალისწინოთ მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების (SusPP) შემდეგი საკითხები:

- a) **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების კანონები, რეგულაციები და პოლიტიკები**
  - a. სახიფათო მასალების გამოყენება (შედარება ADB აკრძალული მასალების ნუსხასთან);
  - b. ნარჩენების მართვა (შემცირება, ხელახლა გამოყენება, გადამუშავება და განკარგვა);
  - c. დასაქმებულების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
  - d. რესურსების ეფექტურობა.
- b) **სახიფათო მასალების გამოყენება**
  - a. ალტერნატიული ნივთიერებების გამოყენება, რათა არ მოხდეს სახიფათო მასალების შესყიდვა;
  - b. სახიფათო მასალებთან მოპყრობის, მათი შენახვის და განკარგვის რეკომენდაციები იმ შემთხვევაში თუ მოხდება მათი შესყიდვა.
- c) **ნარჩენების მართვა**
  - a. პროექტირება და დაგეგმვა, რათა შემცირდეს ჭარბი მასალების, მშენებლობის და სახიფათო ნარჩენების ადგილზე მოგროვება, მათ შორის მომზადებული სამშენებლო მასალების. შეფუთვის ეფექტური გამოყენება და მასალების ტრანსპორტირება; ამოღებული მასალის გადამუშავება და გამოყენება, მაგალითად ასფალტის, ცემენტის, და ბეტონის გამოყენება; ისეთი ნარჩენების გადამუშავება როგორც არის გამოყენებული ზეთები და ჯართი;
  - b. მყარი და სახიფათო ნარჩენების დამუშავება.
- d) **დასაქმებულების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**
  - a. ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ადეკვატური ზომების მიღება, როგორც არის წყლის, საკვების, სანიტარული წერტილების და სამედიცინო პუნქტების უზრუნველყოფა, ასევე სწავლებების და ცნობიერების ამაღლების პროგრამების, მათ შორის გარემოს დაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების მომზადება.
- e) **სამშენებლო პრაქტიკები**
  - a. სამშენებლო სივრცის და სამუშაო ბანაკების პროექტირება და მართვა ისე, რომ შემცირდეს ჰაერის, წყლის და ხმაურით დაბინძურება, და მოხდეს დასაქმებულების ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებების გადაცემის პრევენცია, შემცირდეს ადგილობრივი მოძრაობის და კომუნიკაციების შეფერხება;
  - b. დასაქმება ადგილობრივი მუშახელისთვის;
  - c. სახელმძღვანელო ვალდებულებების შესრულების მექანიზმები და უკანონო ნადირობის და ბრაკონიერობის პრევენცია კონტრაქტორებსა და დასაქმებულებში.
- f) **რესურსების ეფექტურობა**

- a. ალტერნატიული ტექნოლოგიების, მასალების, პროდუქტების და ადჭურვილობის შემოწმება, რომელიც (ა) მოიხმარს ნაკლებ წყალს და ენერჯიას, (ბ) იწვევს ნაკლებ დაბინძურებას (მაგალითად, საწვავი, რომელიც უფრო სუფთად იწვის), (გ) ნაკლები საზიანო და ლეგრაღირებადი ნივთიერებების შემცველი მასალების გამოყენება, და (დ) მდგრადი მომარაგება;
- b. ისეთი ცვლილებების დანერგვა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო ეფექტურად, და მოხდეს ნედლეულის გამოყენების ოპტიმიზება.

**გ) მონიტორინგი და ანგარიშგება**

- a. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობების და ვალდებულებების იდენტიფიცირება, და ანგარიშგების ფორმატსა და სიხშირეზე შეთანხმება;
- b. გარემოს დაცვის მრჩევლის გამოყენება და/ან მესამე მხარის ჩართვა გარემოზე ძლიერი ზემოქმედების მქონე პროექტების მონიტორინგის მიზნით.

## დანართი 5- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მაგალითები ქვეყნების მიხედვით

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

#### 1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა

A5.1. შემუშავებული ზომები: კანონმდებლობა, პოლიტიკა, სახელმძღვანელოები და პროგრამები.

#### 2. აღწერა

A5.2. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა (SusPP) პოლიტიკა ჩინეთში 1990-იან წლებში დაიწყო. სამთავრობო შესყიდვის შესახებ კანონი და სუფთა წარმოების შესახებ კანონი მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის ინიციატივის საფუძველია. ჩინეთის პოლიტიკის მომზადება მოიცავს სამ ეტაპს:

- ჩანასახის ეტაპი (1993-2004)
- განვითარების ეტაპი (2004-2007)
- სრულყოფილი განვითარების ეტაპი (2007 დღემდე).

A5.3. პირველი ეტაპის დასასრულს მოხდა სამთავრობო შესყიდვის შესახებ კანონის მიღება და დანერგვა. 2004 წლიდან, გარემოს დაცვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთავრობის აქტივობებში, და ხაზს უსვამს ადამიანების მიერ გარემოს დაცვის პასუხისმგებლობას და მდგრად განვითარებას.

A5.4. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა შესყიდვების პოლიტიკა ენერჯის დაზოგვის და გარემოს დაცვის წახალისებისთვის, და მოამზადა ორი პროდუქტი: (1) სახელმწიფო შესყიდვების ენერჯო ეფექტური პროდუქტების ნუსხა; და (2) სამთავრობო შესყიდვების გარემოს დაცვის ნიშნების ნუსხა. დამატებით, მესამე ეტაპზე, ჩინეთმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების მოთხოვნების შესრულების, და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების წახალისების მიზნით სხვადასხვა კანონების შემუშავების კუთხით.

A5.5. რამდენიმე SusPP ინიციატივა მომზადდა ჩინეთის მიერ:

- შესყიდვების ნუსხა მოიცავს სხვადასხვა სახეობის სერტიფიცირებას განსახვავებული სფეროების, მათ შორის ხარისხის, ენერჯო-ეფექტურობის, ენერჯის დაზოგვის, წყლის დაზოგვის, გარემოს დაცვის და სხვა კუთხით.
- სასიცოცხლო ციკლის ფასი მდგრად სახელმწიფო შესყიდვებში ორიენტირებულია ისეთ პარამეტრებზე როგორც არის ჯამური ხარჯების კონტროლი და ოპერაციული ხარჯების გამჭვირვალობა, ცნობიერების ამაღლება და მომარაგების ჯაჭვის მუშაობა.
- გარემოს დაცვის სისტემა GB/T24000- TSO14000, რომელიც ISO სტანდარტებს გარდაქმნის ოფიციალური რეკომენდაციის სტანდარტებად.

A5.6. ფინანსთა სამინისტრომ SusPP ინსტიტუტების ხელშეწყობით, როგორც არის ჩინეთის ხარისხის სერტიფიცირების ცენტრი, ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი მთავრობები ჩაატარა სასწავლო პროგრამა მომწოდებლებისთვის. პროგრამის ფარგლებში მოხდა სამთავრობო შესყიდვების მოთხოვნების გაცნობა და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩართულობის კუთხით დახმარების აღმოჩენა.

#### 3. სამართლებრივი ჩარჩო

A5.7. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა ჩინეთში ეფუძნება კანონების ნაკრებს, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი ცხრილში A5.1. SusPP მომზადება ჩინეთში დაიწყო 2002 წელს სუფთა წარმოების კანონით, და 2003 წელს მიღებული სამთავრობო შესყიდვების შესახებ კანონით, რომელიც განმარტავს, რომ მთავრობას არ შეუძლია ისეთი პროდუქტის შეძენა, რომელის წარმოების გარემო არ შეესაბამება გარემოს დაცვის სტანდარტებს, და არ შეუძლია ისეთი პროდუქტების შეძენა, რომლებიც არ აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. სახელმწიფო საბჭომ მოამზადა დანერგვის რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონში. თუმცა, არ მომხდარა აღნიშნულის რეალობაში დანერგვა, რამაც გამოიწვია ხარვეზი კანონების დანერგვის კუთხით, მაგალითად რეგულაციის დანერგვა ტენდერების კანონზე, და რეგულაციის დანერგვა სამთავრობო შესყიდვის კანონზე. ეს ორი უკანასკნელი მომზადდა ეროვნული განვითარების და რეფორმების კომისიის (NDRC) და ფინანსთა სამინისტროს მიერ.

ცხრილი A5.1: სამართლებრივი ჩარჩო

წელი	კანონი/რეგულაცია	შესაბამისობა
1999	ტენდერების შესახებ კანონი	სახელმწიფო საწარმოების და ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვების რეგულაცია. უკავშირდება მხოლოდ სატენდერო პროცედურებს.
2002	სამთავრობო შესყიდვების კანონი	მთავარი კანონი სამთავრობო შესყიდვისთვის, ინიცირებულია ეროვნული შესყიდვების ცენტრის მიერ. დაინერგა განმარტება „სამთავრობო შესყიდვა“. გამოიყენება სამშენებლო სამუშაოების, პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია კატალოგებში ან სცდება გარკვეულ ლიმიტებს.
2002	სუფთა წარმოების კანონის წახალისება	სახელმწიფო მოითხოვს პრიორიტეტი მიენიჭოს იმ შესყიდვებს რომელიც ემსახურება ენერჯის დაცვას, წყლის რესურსების დაცვას და ნარჩენების უტილიზაციას.
2004	მინისტრის რეგულაცია ენერგო ეფექტური პროდუქტების სამთავრობო შეზღუდვების დანერგვა	გამოიცა ფინანსთა სამინისტროს და NDRC მიერ, რადგან სამთავრობო შესყიდვებში უპირატესობა ენიჭება ენერგო-ეფექტურ (CSC სერტიფიცირებულ) პროდუქტებს.
2007	ენერჯის დაზოგვის კანონის გადასინჯვა	სახელმწიფო უწყებები ვალდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ პროდუქტების და აღჭურვილობის შეძენაზე, რომელიც შეტანილია მთავრობის ECP და აღჭურვილობის შესყიდვის ნუსხაში.
2007	სახელმწიფო საბჭოს რეგულაცია ენერგო-ეფექტური პროდუქტების სამთავრობო შესყიდვების ვალდებულებაზე	ადგენს ენერგო ეფექტური პროდუქტების სამთავრობო შესყიდვის ფარგლებში განხორციელების ვალდებულებას. ვრცელდება შემდეგზე: კონდიციონერი, სანათები, ტელევიზორები, ელექტრო გამათბობლები, კომპიუტერები, პრინტერები, მონიტორები, საპირფარეშოები და წყლის ონკანები.
2008	წრიული ეკონომიკის კანონის პოპულარიზაცია	სამთავრობო შესყიდვების პოლიტიკა, რომელიც სასარგებლოა გადამუშავების ეკონომიის განვითარებისთვის. პროდუქტები, რომლებიც ზოგავს ენერჯიას, წყალს, და მასალებს; ეკო-მეგობრული პროდუქტები; განახლებადი პროდუქტები, რომლებსაც ენიჭებათ პრეფერენციული შესყიდვის სტატუსი.

2011	რეგულაციების დანერგვა ტენდერების და განაცხადების კანონისთვის	საბიუჯეტო კონტროლის და პოლიტიკის მთავრობაში და მშენებლობის შესყიდვაში გამოყენების ზედამხედველობის ფუნქციას აკისრებს ფინანსთა სამინისტროს.
------	--	---

#### 4. კატეგორიები

A5.8. ქვემოთ მოცემული ცხრილი A5.2 დეტალურად ასახავს კატეგორიებს და პროდუქტებს, რომლებისთვისაც გარემოს დაცვის კრიტერიუმები განისაზღვრება ჩინეთის მიერ, და შეყვანილია პროდუქტების და კატეგორიების მონაცემთა ბაზაში. ყველა კრიტერიუმი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <http://www.cccp.gov.cn>.

ცხრილი A5.2: კატეგორიები და პროდუქტები

კატეგორიები	პროდუქტები
საჯარო შენობების მშენებლობა, ტექნიკური მომსახურება და განახლება	წყალი სამშენებლო მასალები
ენერგო ეფექტური საოფისე პროდუქტები	პრინტერები ასლის გადაღების მოწყობილობები მონიტორები და ეკრანები ნათურები კომპიუტერები და ლეპტოპები მაცივრები წყლის გამათბობლები, გაგრილების მოწყობილობები, დისპენსერები პროექტორები
საოფისე მარაგები	მელანი და კარტრიჯი ელემენტები
საოფისე ქაღალდი	ქაღალდი მაგიდები და თაროები სკამები
ტრანსპორტი	ავტომობილები (მსუბუქი ავტომობილები <2-დან 5 ტომანდე) საშუალო წონის ავტომობილები

#### A. სერტიფიცირება და სტანდარტები

##### 1. გარემოს დაცვის ნიშნების პროდუქტების სია

A5.9. 2006 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო გარემოს დაცვის ადმინისტრაციამ (გარემოს დაცვის სამინისტრო) და ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ერთობლივი რეკომენდაცია გარემოს დაცვის ნიშნების პროდუქტების ნუსხაზე (ELP) და ELP ნუსხა. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ჩინეთში მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების კუთხით. სტანდარტების შემუშავება და გამოქვეყნება ხდება გარემოს დაცვის სამინისტროს და გარემოს დაცვის განვითარების ცენტრის (EDC) მიერ, რომელიც უკავშირდება ეკოლოგიის და გარემოს დაცვის სამინისტროს. 2006 წლის დოკუმენტში მითითებული იყო, რომ სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მიღწევების გათვალისწინებით, ELP განვითარების, ELP ეროვნული სერტიფიკატის მქონე პროდუქტების შესყიდვას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. შესაბამისად, შემსყიდველ უწყებებს შეუძლიათ სურვილისებრ შეიძინონ ELP ნუსხაში მოცემული პროდუქტები. ეს არა-სავალდებულო მიდგომა დაბალი ეფექტურობით გამოირჩევა სავალდებულო პოლიტიკასთან შედარებით, რომელიც განსაზღვრავს ნუსხაში მოცემული პროდუქტების სავალდებულო შესყიდვას.

A5.10. ELP ნუსხა შედგება იმ პროდუქტებისგან, რომლებიც აკმაყოფილებს ჩინეთის გარემოს დაცვის სტანდარტებს. ეს სტანდარტები თავის მხრივ კონტროლდება ჩინეთის გარემოს დაცვის გაერთიანებული სერტიფიცირების ცენტრის მიერ. ნიშნების მინიჭების პროგრამა შეიქმნა 1993 წელს, 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართული გარემოს დაცვის და განვითარების კონფერენციის საპასუხოდ. 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით ის მოიცავს პროდუქტების 91 კატეგორიას.

პროდუქტების ნუსხვა	განახლებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ ბოლოს განახლდა: 2014 წლის 14 დეკემბერს
ხელმისაწვდომია	<a href="http://www.ccgp.gov.cn/qyycp/jnhb/jnhbqd/hbqd/">www.ccgp.gov.cn/qyycp/jnhb/jnhbqd/hbqd/</a>
კრიტერიუმი/სტანდარტი	ჩინეთის გარემოს დაცვის ნიშანი
სერტიფიკატის გამცემი	ჩინეთის გარემოს დაცვის გაერთიანებული სერტიფიცირების ცენტრი
შესაბამისი სამინისტროები	ფინანსთა სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო

## 2. ენერგო ეფექტური პროდუქტების სია

A5.11. მოქმედი ECP შესყიდვების სამთავრობო სისტემა დაინერგა 2004 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც 6 წლის განმავლობაში იყო ნებაყოფლობითი. მოთხოვნების დაცვა სავალდებულო გახდა მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტრომ (MOF) და NDRC ერთობლივად გამოსცეს ECP სამთავრობო შესყიდვების დანერგვის რეკომენდაცია (MOF და NDRC 2004), სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შესყიდვის განხორციელების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ენერგო-ეფექტურ პროდუქტებს.

A5.12. მოგვიანებით გამოცემული ECP სამთავრობო შესყიდვების დანერგვის რეკომენდაცია (ჩინეთის სახელმწიფო საბჭო, 2007) დამატებით მოითხოვს, რომ სახელმწიფო უწყებებმა EPC ნუსხა მოამზადონ სამეცნიერო პროცესების მიხედვით. დოკუმენტში მითითებულია, რომ ენერგო-ეფექტური პროდუქტების სერტიფიცირება უნდა მოხდეს ცენტრალური მთავრობის მიერ განსაზღვრული სერტიფიცირების სააგენტოს მიერ, და მტკიცდებოდეს ამ პროდუქტის ენერგო-ეფექტურობა.

პროდუქტების ნუსხვა	განახლებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ ბოლოს განახლდა: 2014 წლის 16 დეკემბერს
ხელმისაწვდომია	<a href="http://www.ccgp.gov.cn/qyycp/jnhb/jnhbqd/hbqd/">www.ccgp.gov.cn/qyycp/jnhb/jnhbqd/hbqd/</a>
კრიტერიუმი/სტანდარტი	ენერჯის და წყლის დაზოგვა
სერტიფიკატის გამცემი	CQC
შესაბამისი სამინისტროები	MOF, NDRC, AQSIQ

A5.13. ECP სია იყოფა ენერგო ეფექტური და არა ენერგო ეფექტური პროდუქტების მიხედვით. თუ არსებობს ენერჯის დაზოგვის ეროვნული სტანდარტები კონკრეტული პროდუქტის კატეგორიისთვის მაშინეს სტანდარტები გამოიყენება ამ პროდუქტის სერტიფიცირების კრიტერიუმად, და ღონე 2 არის მინიმალური მოთხოვნა ენერგო-ეფექტურობის სერტიფიცირებისთვის. ეს ორი ნუსხვა კონტროლდება ორი ინსტიტუტის მიერ: ჩინეთის ხარისხის სერტიფიცირების ცენტრი (CQC)- ადგენს სერტიფიცირების წესებს; და ჩინეთის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტი (CNIS)- ადგენს ენერგო-ეფექტურობის ეროვნულ სტანდარტებს. ორი ინსტიტუტს შორის ურთიერთობა რეგულირდება ჩინეთის ხარისხის ზედამხედველობის, ინსპექტირების და კარანტინის ადმინისტრაციის (AQSIQ) მიერ. მართალია სერტიფიცირების პროცესი ნებაყოფლობითია, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, ზოგიერთი კატეგორიისთვის, ECP სიაში მოცემული პროდუქტების შესყიდვა სავალდებულოა.

## 3. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა

A5.14. ჩინეთის SusPP ეფუძნება დაგეგმილ ეკონომიკურ მიდგომას. სახელმწიფო შესყიდვის სისტემას აქვს იერარქიული სტრუქტურა, და ცენტრალური მთავრობა განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების ეროვნულ ჩარჩოს. სხვა სახელმწიფო უწყებები ახორციელებენ ბიუჯეტირებას და ახორციელებენ შესყიდვას სპეციფიკაციებზე დაყრდნობით, ატარებენ შესყიდვების ოფიცრების სწავლებებს. სახელმწიფო შესყიდვების ცენტრები პასუხისმგებელი არიან სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესრულებაზე. SusPP მთავარი ხელსაწყო არის სახელმწიფო შესყიდვის ორი სია, რომელშიც ასახულია გარემოს დაცვის და ენერგო-ეფექტურობის მახასიათებლების მქონე პროდუქტები.

### **ინდონეზია**

#### **1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის პოლიტიკა**

A5.15. **შემუშავებული ზომები:** სტრატეგიები და პოლიტიკა

#### **2. აღწერა**

A5.16. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვის (SusPP) კონცეფცია გათვალისწინებული იქნა ინდონეზიის პრეზიდენტის 54/2010 ბრძანების 105 მუხლში. აღნიშნული ბრძანება შეეხება სამთავრობო პროდუქტების/მომსახურებების შესყიდვას და ეს კონკრეტული მუხლი გვეუბნება შემდეგს:

- ეკო-მეგობრულობის კონცეფცია ადგენს პროდუქტების/მომსახურებების საჭიროების პროცესს, ასევე მინიმუმამდე დაყავს გარემოზე ზემოქმედება.
- ეკო-მეგობრულობის კონცეფცია შეიძლება გამოყენებული იქნას შერჩევის დოკუმენტში კონკრეტული მოთხოვნის სახით, რომელიც შეეხება ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

A5.17. SusPP წარმატებით გამოყენებისთვის, მთავრობა სტრატეგია დააფუძნა ცნობიერების ამაღლებაზე, ასევე ცოდნის, უნარების და კომუნიკაციების გაძლიერებაზე.

A5.18. ეკო-ნიშნებთან მიმართებით, ინდონეზიამ დანერგა ტიპი 1 ეკო-ნიშნების პროგრამა. ეს სავაჭრო ნიშანი, რეგისტრირებული ნიშანი ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმს, რომელიც დამტკიცებულია მესამე მხარის მიერ. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით კონკრეტული ლოგოს, ნიშნის მქონე პროდუქტები და მომსახურებები მარტივი ამოსაცნობია მომხმარებლისთვის.

A5.19. დამატებით, ინდონეზია კარგად იცნობს არა-მდგრადი და უკანონო პრაქტიკებით გამოწვეულ პრობლემებს. აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით, დაინერგა დამატებითი ზომები, როგორც არის დიალოგი ინდონეზიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რაც გულისხმობს უკანონ ქრის და გადაშენების პირას მყოფი სახეობებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლას.

#### **3. კატეგორიები**

A5.20. ინდონეზია ითვალისწინებს გარემოს დაცვის საკითხებს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტულ ინფორმაცია თუ როგორ ხდება დანერგვა.

#### **A. სერტიფიცირება და სტანდარტები**

##### **1. EKOLABEL ინდონეზია**

A5.21. EKOLABEL დაარსდა 2004 წელს ინდონეზიის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ და არის ინდონეზიაში წარმოებული იმ პროდუქტების აღმნიშვნელი სერტიფიკატი, რომელიც მიიჩნევა ეკო მეგობრულად, და დაბალ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე სხვა პროდუქტებისგან განსხვავებით, რომლებსაც არ აქვს მსგავსი სტანდარტი.

##### **2. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვა**

A5.22. ინდონეზიის გარემოს დაცვის და სატყეო სამინისტრომ, 2017 წლის 29 აგვისტოს GPP ეროვნული კონფერენციის ფარგლებში წარმოადგინა მწვანე სახელმწიფო შესყიდვის რეგულაციები, რომლებიც მოიცავს პროდუქტების სამ სიას, კერძოდ საბეჭდ ქაღალდს, ნათურებს და მწვანე სასტუმროებს. ეს SusPP რეგულაციები ამჟამად იწვევს საერთაშორისო უწყებების მიერ დახდება კერძო სექტორში დანერგვის პოპულარიზაცია.

A5.23. სახელმწიფო შესყიდვებით პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვის პოლიტიკის დანერგვა ამჟამად გაძლიერდა პრეზიდენტის 2017 წლის ბრძანება N57 გამოცემის შემდეგ, რაც გულისხმობს ინდონეზიის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

### 3. ბაზრის მზაობის ანალიზი ხის ავეჯის და ქაღალდის ინდუსტრიებისთვის

A5.24. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინდონეზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მდგრადი მოხმარების და წარმოების პოლიტიკების როგორც მომზადების, ასევე დანერგვის კუთხით, ხელი შეუწყო მწვანე ან SusPP სისტემების დანერგვის დაჩქარებას და გაძლიერებას.

A5.25. შესაბამის საერთაშორისო უწყებებთან, ინდუსტრიულ ასოციაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა SCP-ს 2015-2019 წლების ეროვნულ საშუალო ვადიანი განვითარების გეგმაში გათვალისწინება. აღნიშნულ გეგმაში ყურადღება მახვილდება სამ ძირითად მიდგომაზე:

- კოლექტიური ინვესტიცია SCP ცოდნაში ეროვნულ დონეზე;
- ინოვაციური თანამშრომლობის მიდგომა ასახავს და ხელს უწყობს SCP საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას; და
- SCP პრაქტიკოსები რაოდენობის გაზრდა.

A5.26. ინდონეზიის მრგვალი მაგიდა ეროვნული განვითარების გეგმის გამწვანების შესახებ ინიცირებული იქნა 2013 წელს.

A5.27. ინდონეზიაში, ცხრა საპილოტე პროექტი დაინერგა და დასრულდა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი მომარაგების ქსელის და წარმოების სისტემის ხელშეწყობისთვის. აღნიშნული პროექტები ორიენტირებული იყო ისეთ პროდუქტებზე როგორც არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხე-ტყე და ტექსტილი, საღებავებში ტყვიის შემცველობის აღმოფხვრა, ეკო-ინოვაციების ფინანსური სქემები და ორი პროექტი განხორციელდა ენერჯო ეფექტურობის მიმართულებით.

A5.28. SCP და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების მიზნების მიღწევისთვის, რომლებიც განსაზღვრულია ინდონეზიის საშუალო-ვადიანი გეგმით და G/SPP გზამკვლევით, SWITCH-ASIA SCP და GIZ SCP ხელს უწყობენ გარემოს დაცვის სამინისტროს “SCP გაძლიერება G/SPP დანერგვით” პროექტის განხორციელების და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების გზით. ეს პროექტი ინიცირებული იქნება 2020 წლის 24 ივლისს და გარემოს დაცვის სამინისტროს, ეროვნული შესყიდვების სააგენტოს, ქაღალდის ინდუსტრიის ასოციაციის, ავეჯის წარმოების ასოციაციის 25 წარმომადგენელი ჩართული იყო პროცესში SWITCH-ASIA, GIZ, SCP და ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად.

A5.29. გარემოს დაცვის სამინისტრომ, ეროვნული შესყიდვების სააგენტომ, ქაღალდის და ავეჯის წარმოების ასოციაციებმა გამოთქვეს SWITCH-ASIA აქტივობების მხარდაჭერის სურვილი, რისთვისაც აქტიურად ჩაერთნენ საბაზრო ანალიზის მონაცემების შეგროვების პროცესში.

## მალაიზია



## 1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა

A5.30. შემუშავებული ზომები: სტრატეგია

## 2. აღწერა

A5.31. მალაიზია, ემისიების შემცირების ეკონომიკის და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების (SusPP) გზაზე გადავიდა, შეიმუშავა ხელსაწყოები, რომლებიც ხელს უწყობს მისი მოქმედი ეკონომიკის მწვანე ეკონომიკად გარდაქმნას.

A5.32. ამჟამად, მალაიზიაში არ არსებობს ოფიციალური ეკო-ნიშნების სქემა. მწვანე პროდუქტების და მომსახურებების იდენტიფიცირებაში სახელმწიფო და კერძო სექტორისთვის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის მახასიათებლების სახელმწიფო ტენდერებში ინტეგრაციის მიზნით, სასიცოცხლო ციკლის მიდგომის, ეკო-ნიშნების პროგრამის სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მთავრობა ხელს უწყობს პროცესის დაჩქარებას შემდეგი ზომების დანერგვით:

- პოტენციურმა მომწოდებლებმა სრულად უნდა აღწერონ ის დადებითი გარემო შედეგები, რომლებიც უკავშირდება მათ პროდუქტებს, პროცესებს, მომსახურებებს, და გარემოს მართვის სისტემებს;
- გასცემს სერტიფიკატს იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც ექვემდებარება ხელახლა გამოყენება, ან დამზადებულია ისეთი მეთოდებით, რომლებიც აუმჯობესებს ენერგო-ეფექტურობას, ამცირებს ნარჩენების წარმოქმნის საფრთხეს, ან იყენებს მეორად მასალებს;
- ადგენს კრიტერიუმებს ან სახელმძღვანელოებს მწვანე სახელმწიფო გადაწყვეტილებებისთვის.

A5.33. მწვანე შესყიდვების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, მთავრობის მწვანე შესყიდვების სწავლება მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯია. სამოქმედო გეგმები და სასწავლო პროგრამები რთავს თანამშრომლებს პროცესში და მოუწოდებს ოფიცრებს მეტი პასუხისმგებლობა აიღონ გარემოს დაცვაზე.

## 3. კატეგორიები

A5.34. ჯერ არ არსებობს გარემოს დაცვის კრიტერიუმების შემცველი კატეგორიების და პროდუქტების ოფიციალური ნუსხა.

## 4. მწვანე შესყიდვები

A5.35. მალაიზიამ შეიმუშავა გრძელვადიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა მწვანე სახელმწიფო შესყიდვებისთვის (GGP), რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის განვითარების გეგმას. მწვანე სახელმწიფო შესყიდვა განისაზღვრება, როგორც ისეთი საქონლის, მომსახურებების და სამუშაოების შესყიდვა, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის კრიტერიუმებს და სტანდარტებს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვისთვის, ასევე ამცირებს ან არბილებს ადამიანის აქტივობით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას.

A5.36. GGP არის მალაიზიის მწვანე ზრდის საფუძველი, როგორც ეს მალაიზიის მეთერთმეტე 2016-2020 გეგმით არის გათვალისწინებული. ეს გეგმა განსაზღვრავს 2020 წლისთვის 20% ზრდის მიღწევის მიზანს. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია GGP 2014 წლის ივლისის გამოცემაში.

A5.37. მთავრობა იტოვებს იმედს, რომ მოხმარების მახასიათებლების ცვლილების მაგალითის მიცემა გამოიწვევს წარმოების ცვლილებას და მწვანე ბაზრის ზრდას. პროდუქტების შერჩეული ჯგუფებისთვის, GGP სავალდებულო იქნება 2030 წლისთვის, რადგან ყველა სახელმწიფო,

ეროვნულ, და ადგილობრივ მთავრობას მოეთხოვება GGP გამოყენება. მწვანე შესყიდვების სამიზნე მოცულობა 2020 წლისთვის არის 20%-იანი ზრდა, 2025 წლისთვის 50%-იანი ზრდა, ხოლო 2030 წლისთვის 100%-იანი ზრდა შერჩეული საქონლისათვის, რომლებიც ექვემდებარება ტექნიკურ მახასიათებლებს მწვანე კრიტერიუმების გათვალისწინებით.

A5.38. ფინანსთა სამინისტრო, ასევე ენერჯის, მწვანე ტექნოლოგიების და წყლის სამინისტროები ითვალისწინებენ ცვლილებას, უპირატესობას ანიჭებენ გონივრულ ხარჯვას, რათა გაიზარდოს მალაიზიის გლობალური კონკურენტუნარიანობა, დასაქმება, და ბიზნეს შესაძლებლობები მწვანე სექტორში, და შემცირდეს ემისიები, რაც თავის მხრივ გულისხმობს ინოვაციების გამოყენებას.

A5.39. 2017 წლიდან, GPP დანერგვა გავრცელდა ყველა სამთავრობო უწყებაზე, და თითოეულ სამინისტროს მოეთხოვება მწვანე მახასიათებლების GGP პროდუქტების ჯგუფის შესყიდვებში გათვალისწინება.

A5.40. GPP დანერგვის პროგრესი ასახულია გრაფიკში A5.1 ქვემოთ:

2016	2017	2018	2019	2020
<ul style="list-style-type: none"> <li>• 20 პროდუქტის ჯგუფი</li> <li>• 12 სამინისტრო/ მთავრობის წყარო?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 30 პროდუქტის ჯგუფი</li> <li>• 25 სამინისტრო/ სამთავრობო უწყებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 30 პროდუქტის ჯგუფი</li> <li>• 25 სამინისტრო/ სამთავრობო უწყებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 30 პროდუქტის ჯგუფი</li> <li>• 25 სამინისტრო/ სამთავრობო უწყებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 30-ზე მეტი პროდუქტის ჯგუფი</li> <li>• 25 სამინისტრო/ სამთავრობო უწყებები</li> </ul>

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

## ფილიპინები

### 1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა

A5.41. **შემუშავებული ზომები:** სტრატეგია და პოლიტიკა.

### 2. აღწერა

A5.42. მთავრობის მწვანე შესყიდვების პროგრამა დაინერგა 2004 წელს გამოცემული N301 ბრძანების საფუძველზე. 2012 წლის იანვარში, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტმა გამოაცხადა სხვა სამინისტროებთან მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მემორანდუმის გაფორმების შესახებ. კერძოდ, მემორანდუმი გაფორმდა ბუჯეტირების და მართვის დეპარტამენტთან, ვაჭრობისა და ინდუსტრიის დეპარტამენტთან, ენერჯეტიკის დეპარტამენტთან, ინდუსტრიული ტექნოლოგიის განვითარების ინსტიტუტთან, მეცნიერების და ტექნოლოგიების დეპარტამენტთან, ფილიპინების გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ცენტრთან, ფილიპინების ეკონომიკური ზონის უწყებასთან, ფილიპინების განვითარების აკადემიასთან, და ქალაქ ქვეზონის ადგილობრივ მთავრობასთან.

A5.43. ფილიპინების მწვანე შესყიდვების პროგრამა მოიცავს მიზნებს და აქტივობებს, როგორც არის შემდეგი:

- მომწოდებლებისთვის წახალისების პროგრამის შემუშავება;
- ეკო-ნიშნების წახალისება პროდუქტების და მომსახურებების იდენტიფიცირებისთვის;

- პროდუქტების და მომსახურებების შესყიდვა მთავრობის შესყიდვების პოლიტიკის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება.

A5.44. ზემოთხსენებული დეპარტამენტები დამატებით წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის პროგრამის- მწვანე არჩევანი ფილიპინები (NELP-GCP) წევრებს, რომელიც არის მდგრადი განვითარების ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების ერთერთი ეკონომიკური აქტივობა. ეს პროგრამა მიზნად ისახავს მომხმარებლების ქცევის და წარმოების ცვლილებას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე.

### 3. კატეგორიები

A5.45. ფილიპინებში მომზადდა საწყისი ტექნიკური სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც აერთიანებს პროდუქტების და მომსახურებების შერჩევის კრიტერიუმებს, და რომლებიც მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შემცირების გათვალისწინებით. ტექნიკური სახელმძღვანელოს ერთერთი მოთხოვნა მიუთითებს, რომ ადგილობრივი ეკონომიკის ტიპი 1 პროგრამა უნდა იყოს ეკო-მეგობრული პროდუქტების სერტიფიცირების საფუძველი.

A5.46. ეკონომიკის ტიპი 1 კატეგორიით აღიარებული პროდუქტები არის პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები, მელანი და კარტიჯი, სტანდარტული ელემენტები, ქაღალდი, საოფისე საწმენდი საშუალებები, მაგიდები და თაროები, სამშენებლო მასალები, გაგრილების და გათბობის სისტემები, პრინტერები, ასლის გადაღების მოწყობილობები, მონიტორები და ეკრანები, და ნათურები.

#### A. სერტიფიკატები და სტანდარტები

##### 1. მწვანე არჩევანი ფილიპინები

A5.47. ეროვნული ეკონომიკის პროგრამა- მწვანე არჩევანი ფილიპინები არის მდგრადი განვითარების ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების ერთერთი ეკონომიკური აქტივობა. ის მიზნად ისახავს მოხმარების და წარმოების იმ ქცევითი მახასიათებლების ცვლილებას, რომლებიც იწვევს არასწორ გამოყენებას, გარემოს დაზიანებას და უარყოფით ზეგავლენას. NELP-GCP არის ნებაყოფლობითი მესამე მხარის გარემოს დაცვის დეკლარაცია, რომელიც ეფუძნება ISO 14024 პრინციპებს და პროცედურებს.

##### 2. მწვანე სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი

A5.48. ფილიპინების მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი ეფუძნება ლოგიკას, რომ მთავრობა უნდა იყოს ბაზრის ტრანსფორმაციის მაგალითი. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგია მიზნად ისახავს მწვანე პრაქტიკების არსებულ შესყიდვების პროცესებში ინტეგრაციას. მოკლე და შუალედურ პერიოდში მწვანე შესყიდვების განხორციელება ნორმად იქცევა რიგი მარაგების და აღჭურვილობის შესყიდვისას; გრძელვადიან პერსპექტივაში, მიიღწევა მდგარი სახელმწიფო შესყიდვები. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი აღწერილია მიდგომა, რომელიც ასახავს ხარისხის და ფასის საუკეთესო თანაფარდობასთან, მომწოდებლის მზაობასთან, შესაძლებლობებთან და ცნობიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გზამკვლევი მომზადდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; გზამკვლევი გულისხმობს სამთავრობო უწყებების ძალისხმევას და ამ ძალისხმევაში კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას.

### 3. მთავრობის მწვანე შესყიდვები

A5.49. ფილიპინების მთავრობის ელექტრონული შესყიდვების სისტემა (PhilGEPS), რომელიც იმართება ბიუჯეტირების და მართვის დეპარტამენტის- შესყიდვების სამსახურის მიერ წარმოადგენს მთავარ და გადამწყვეტ წყაროს მთავრობის ნებისმიერი შესყიდვისთვის; ის ასევე აღჭურვილია ისეთი მახასიათებლებით, როგორც არის ელექტრონული განცხადებების დაფა, შესყიდვების შესაძლებლობების შესაბამის მომწოდებლებთან შედარების ფუნქცია, მომწოდებლების რეესტრი, და ელექტრონული კატალოგი. მითითებები ბრენდების სახელებზე, მთ შორის მწვანე ნიშნებზე ან სხვა მახასიათებლებზე; შემსყიდველი სუბიექტი ვალდებულია ისე ჩამოაყალიბოს სპეციფიკაციები, რომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა მომწოდებლებს შორის კონკურენციის გაზრდას.

### ვიეტნამი

#### 1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა

A5.50. შემუშავებული ზომები: გეგმები წელი: მიმდინარე

#### 2. აღწერა

A5.51. მიუხედავად იმისა, რომ ვიეტნამში არ არსებობს მწვანე ინდუსტრიული ზრდის ხელშემწყობი პირდაპირი შესყიდვების პოლიტიკა, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კანონმდებლობის ჩამოყალიბების კუთხით, რომელიც მიზნად ისახავს შესყიდვების პროცესების „გამწვანებას“. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს შინაარსობრივი და დანერგვასთან დაკავშირებული ხარვეზები.

A5.52. მწვანე სახელმწიფო შესყიდვების და მწვანე შესყიდვების პრაქტიკის წახალისების კუთხით, მწვანე შესყიდვების ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობდა პოლიტიკის განვითარებას. მწვანე შესყიდვების ქსელი ოფიციალურად გაეშვა 2010 წლის დასასრულს, და მიზნად ისახავს შემდეგ:

- სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება (ორგანიზაციები, ბიზნესები და მომხმარებლები) მწვანე პროდუქტების შერჩევის და გამოყენების კუთხით.
- სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების კვლევაში, წარმოებაში გამოყენების რეკლამირება და წახალისება, და ეკო-მეგობრული პროდუქტების გამოყენება.
- თანამშრომლობის და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება ადგილობრივი ბიზნესებისთვის- ვიეტნამის საწარმოები- და განვითარები ქვეყნების და ეკონომიკების ბიზნესებისთვის.
- საზიარო მოცდილებების ქსელის ჩამოყალიბება და სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

#### 3. კატეგორიები

A5.53. კატეგორიებთან და პროდუქტებთან დაკავშირებული ოფიციალური აღწერილობა ჯერ არ არსებობს.

#### 4. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო

A5.54. პრემიერმინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის N1658/QD-TTG ბრძანების თანახმად, 2030 წლისთვის მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სამიზნე მაჩვენებელი არის 35%, ხოლო 2050 წლისთვის 50%.

A5.55. დამატებით არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო ეკო-მეგობრული პროდუქტების შეღავათიანი შესყიდვისთვის, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვის შესახებ კანონს და გარემოს დაცვის შესახებ ბრძანებას, და იმართება ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროს (MONRE) მიერ.

## **5. სახელმწიფოს მიერ ეკო-ნიშნების მქონე პროდუქტების შესყიდვის ცირკულარი**

A5.56. შესყიდვებთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, MONRE და ფინანსთა სამინისტრომ (MOF) ერთობლივად აქვეყნებს და ასაჯაროებს სახელმწიფოს მიერ ეკო-ნიშნების პროდუქტების (ELP) შესყიდვების სიას. ELP ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების მთავრობის 19/2015/ND-CP ბრძანების შესაბამისად განხორციელებას. ამ რეგულაციის თანახმად, MONRE და MOF უნდა განსაზღვრონ შეღავათიანი შესყიდვების მასშტაბი სერტიფიცირებული ELP შესაბამისად, რისთვისაც უნდა გამოყენონ მთავრობის მიერ სერტიფიცირებული ინსტიტუტი. ეს ELP სია მომზადდება ბაზრის სიმწიფის, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მიმართულებით მიღწეული პროგრესის, და თითოეული პროდუქტის ტექნიკური განვითარების დონის შესაბამისად.

A5.57. სამთავრობო უწყებები, ყველა დონეზე ვალდებული არიან გაითვალისწინონ ELP სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, და არ შეიძინონ გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტები. თუ მთავრობის მიერ შესყიდვისთვის გამიზნული პროდუქტი არის სიაში, მაშინ უპირატესობა ენიჭება სწორედ ამ პროდუქტს, იმის გათვალისწინებით, რომ მუშაობა, ტექნოლოგია, მომსახურება და სხვა მაჩვენებლების იგივეა.

### **A. დაბინძურებასთან დაკავშირებული რეგულაციები**

#### **1. კანონი გარემოს დაცვის შესახებ**

A5.58. კანონი გარემოს დაცვის შესახებ (N55/2014/QH13) აერთიანებს პოლიტიკებს, ზომებს და რესურსებს გარემოს დაცვისთვის. ის განსაზღვრავს უწყებების, ორგანიზაციების, ოჯახების და ინდივიდუალური პირების გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს. კანონის 44 მუხლის მე-2 პუნქტი ეკო-მეგობრული წარმოება, და მოხმარება გვეუბნება, რომ უწყებების ხელმძღვანელებმა და სტრუქტურულმა ერთეულებმა, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ეკო-მეგობრული პროდუქტების და მომსახურებების გამოყენებას, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ ეკო-ნიშანი.

#### **2. გარემოს დაცვის შესახებ კანონის ბრძანება**

A5.59. ბრძანება 19/2015/ND-CP მუხლი 37- წახალისების და მხარდაჭერის აღმოჩენის პრინციპები, ასევე გარემოს დაცვის შესახებ კანონის მუხლი 151 განსაზღვრავს საფუძველს ეკო-მეგობრული პროდუქტების წარმოების და მოხმარებისთვის. ბრძანების დანართი 3 განსაზღვრავს 15 სახეობის გარემოს დაცვის აქტივობას, რომელიც ითვალისწინებს წახალისებას და მხარდაჭერას. მათ შორის მე-12 კონკრეტულად გულისხმობს წახალისებას ეკო-მეგობრული პროდუქტების წარმოებისთვის, რომლებიც მიიღებენ ვიეტნამის მწვანე ნიშნას, და იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც იწარმოება ნარჩენების გადამუშავების შედეგად.

### **ტაილანდი**

#### **1. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა**

**A5.60. შემუშავებული ზომები:** პოლიტიკა, სტრატეგია, გეგმა და სახელმძღვანელოები

**2. აღწერა**

A5.61. 1992 წელს, გარემოს კონსერვაციის და ხელშეწყობის კანონის მიღების შემდეგ, ტაილანდის მთავრობამ წამოიწყო მწვანე შესყიდვების სტრატეგიები. 1993 წელს, ტაილანდის მდგრადი განვითარების ბიზნეს საბჭომ წამოიწყო ტაილანდის მწვანე ნიშნის სქემა, რომლის დანერგვაც 1994 წელს დაიწყო ტაილანდის გარემოს დაცვის ინსტიტუტმა და ტაილანდის ინდუსტრიული სტანდარტების ინსტიტუტმა გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალურ სააგენტოსთან თანამშრომლობით.

A5.62. ტაილანდში მწვანე სახელმწიფო შესყიდვების წახალისების და დანერგვის მიზნით, მთავრობამ შეიმუშავა შემდეგი გეგმები: მწვანე სახელმწიფო შესყიდვების წახალისების გეგმა (2008-2012), და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების წახალისების გეგმა (2013-2016).

**3. კატეგორიები**

A5.63. ცხრილში A5.3 დეტალურად არის ასახული კატეგორიები და პროდუქტები, რომლებისთვისაც ტაილანდში მოქმედებს გარემოს დაცვის კრიტერიუმები, და რომლებიც შეტანილია წინამდებარე კვლევის პროდუქტების და კატეგორიების მონაცემთა ბაზაში.

<b>ცხრილი A5.3: კატეგორიები და პროდუქტები</b>	
<b>კატეგორიები</b>	<b>პროდუქტები</b>
ენერგო ეფექტური საოფისე პროდუქტები	პრინტერები ასლის გადასაღები მოწყობილობები ნათურები და სანათები
საოფისე მარაგები	მელანი და კარტრიჯი სტანდარტული ელემენტები
ქაღალდი	ქაღალდი
ოფისის დასუფთავება	ოფისის დასუფთავების მომსახურებები
საოფისე ავეჯი	სხვა პროდუქტები, როგორც არის მეტალის ავეჯი
ღონისძიებების ორგანიზება	სასტუმროები

**A. სერტიფიკატები და სტანდარტები**

**1. ტაილანდის მწვანე ნიშანი**

A5.64. ტაილანდის მწვანე ნიშანი არის გარემოს დაცვის სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა იმ კონკრეტული პროდუქტებისთვის, რომლებიც იმავე ფუნქციის სხვა პროდუქტებთან შედარებით მინიმალურ ზეგავლენას ახდენენ გარემოზე.

A5.65. ტაილანდის მწვანე ნიშნის სქემის ინიცირება მოხდა ტაილანდის მდგრადი განვითარების ბიზნეს საბჭოს მიერ, და ოფიციალურად გაეშვა 1994 წლის აგვისტოში ტაილანდის გარემოს დაცვის ინსტიტუტის მიერ, ინდუსტრიის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

**2. მწვანე ინდუსტრია**



A5.66. ინდუსტრიის სამინისტრომ შეიმუშავა მწვანე ინდუსტრიის პროექტი ინდუსტრიული სექტორის მიერ გარემოს დაცვის პრინციპების წახალისების და ხელშეწყობის, ასევე მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიზნით.

**დონე 1:** მწვანე ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა ორგანიზაციის მიერ გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, რაც ასევე გათვალისწინებული იყო მკაფიო პოლიტიკებით, მიზნების და სამუშაო გეგმებით.

**დონე 2:** მწვანე აქტივობა, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის მიერ წარმატებულ ოპერირებას პოლიტიკების, გეგმების და სამუშაო გეგმების შესაბამისად, და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას.

**დონე 3:** მწვანე სისტემა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბიზნესებს აქვთ გარემოს მართვის სისტემატური პრაქტიკა, მათ შორის გაუმჯობესების მუდმივი შეფასების და შესწავლის პრაქტიკა. ეს დონე ასევე ვლინდება გარემოს დაცვის ჯილდოების მიღებაში და სტანდარტების დაცვაში.

**დონე 4:** მწვანე კულტურა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ორგანიზაციის ყველა წევრი ავლენს გარემოს დაცვის აუცილებლობის ცოდნას და ითვალისწინებს ეკო-მეგობრული ბიზნესის პრაქტიკებს ორგანიზაციულ კულტურაში.

**დონე 5:** მწვანე ქსელი, მწვანე ინდუსტრიის გაფართოება ორგანიზაციაში, და მომარაგების ქსელში, და კლიენტების და პარტნიორების მწვანე ინდუსტრიაში ჩართვის ხელშეწყობა.

## **B. დაბინძურებასთან დაკავშირებული რეგულაციები**

### **1. ეროვნული გარემოს დაცვის ხარისხის აქტის გაძლიერება და კონსერვაცია B.E.2535 (1992)**

A5.67. იმ პროექტების ან აქტივობების სახეობების და ზომების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კუთხით ანგარიშგებას და სახელმძღვანელოების მომზადებას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისთვის ტაილანდის სამეფოს სამინისტროს და დეპარტამენტის შესწორების აქტის 2558 შესაბამისად.

### **2. ტაილანდის წყლებში ნავიგაციის აქტი B.E.2546**

A5.68. საზღვაო გადაზიდვების და ტრანსპორტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე საზღვაო გარემოს დაცვის და წყლებსა და ტაილანდის ზღვაში ნარჩენების უკანონო ჩაყრის პრევენციის უზრუნველყოფა კარგი მმართველობის პრინციპის შესაბამისად.

### **3. სახიფათო ნარჩენების შესახებ აქტი B.E.2535 (1992)**

A5.69. სახიფათო ნარჩენების შესახებ სია 5.6 გამონაკლისების დაშვების შესახებ სახიფათო ნარჩენების აქტის შესწორება 2535; ინდუსტრიული სამუშაოების დეპარტამენტის პასუხისმგებლობა. სახიფათო მასალების ტრანსპორტირების კრიტერიუმებისა და მეთოდების განსაზღვრა უსაფრთხოების და ეფექტურობის მიზნით.

### **4. საზღვაო და სანაპირო რესურსების მართვის აქტი B.E.2558**

A5.70. ამჟამად, საზღვაო და სანაპირო რესურსების მართვაში არ არსებობს ადგილობრივი თემების ჩართულობის და მონაწილეობის პრაქტიკა. დამატებით, გადაჭარბებით ხდება სანაპირო და საზღვაო რესურსების გამოყენება, რამაც გამოიწვია გარემოს დეგრადაცია, რომლებზეც შესაბამის რეაგირებას ვერ ახდენს მოქმედი რეგულაცია. შესაბამისად, აუცილებელია კრიტერიუმების არსებობა სანაპირო და საზღვაო გარემოს დაცვისა და კონსერვაციისთვის, ასევე ეროვნული პრევენციისთვის. აღნიშნული დამატებით გულისხმობს

საზღვარო და სანაპირო რესურსების მდგრადი რეაბილიტაციის პროცესში მაცხოვრებლების მონაწილეობას.

#### **5. თევზსაჭერების შესახებ აქტი B.E.2558**

A5.71. თევზსაჭერების შესახებ აქტი უკვე დიდი ხანია მოქმედებს და ზოგიერთი მუხლი დღის მდგომარეობით მოძველებულია, რადგან საზღვაო რესურსები მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო თევზსაჭერი ტექნოლოგიები გაუმჯობესდა, რამაც დამატებით ხელი შეუწყო საზღვაო რესურსების შემცირებას. შესაბამისად, კანონმდებლობის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების და კანონების, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების და სოციალური კონტექსტის ასახვის მიზნით აუცილებელია. აქტით განისაზღვრა საზღვაო რესურსების მართვის და კონსერვაციის პრინციპები, ასევე სხვა მიმართულებები. აქტი ხელს უწყობს საზოგადოების ან ადგილობრივი თემების მიერ საზღვაო რესურსების მდგრადი მართვის, კონსერვაციის და გამოყენების უზრუნველყოფას, რაც თვის მხრივ უზრუნველყოფს რესურსების მდგრად გამოყენებას.

#### **6. ქარხნების შესახებ აქტი B.E.2535**

A5.72. იმ ქარხნების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებისთვისაც აუცილებელია ანგარიშის წარდგენა, ასევე ქარხნების მიერ გამოყოფილი ტოქსინების სახეობები და რაოდენობა, რომელიც მოითხოვს ანგარიშში დაფიქსირებას. ანგარიში უნდა მომზადდეს აკადემიურად გამართული ფორმით.

#### **7. პრემიერ მინისტრის სამსახურის რეგულაციები გარემოსთან დაკავშირებული კანონების აღსრულებაზე B.E.2550**

A5.73. გარემოსთან დაკავშირებული კანონები უნდა დაინერგოს გარემოსთან დაკავშირებული კანონების დანერგვის კუთხით თანამშრომლობის კომიტეტთან შეთანხმებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას გარემოს დაცვით და სამართალდამცავ ორგანოებს შორის კოორდინაცია.



## დანართი 6- ინდუსტრიული სტანდარტები და ვერიფიკაცია

### **მდგრადი და მედეგი ინფრასტრუქტურის სტანდარტები**

SURE- მდგრადი და მედეგი ინფრასტრუქტურის სტანდარტი არის გლობალური, ნებაყოფლობითი სტანდარტი, რომელიც ახდენს მედეგობის და მდგრადობის ძირითადი კრიტერიუმებს ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინტეგრაციას გზით. სტანდარტის განვითარება ხდება საერთაშორისო სოციალური და გარემოს აკრედიტაციის და ნიშნების (ISEAL) სახელმძღვანელოს ფარგლებში, SWISS GLOBAL INFRASTRUCTURE BASEL FOUNDATION (GIB) და NATIXIS, ფრანგული ბანკის მიერ. GIB და NATIXIS წამოიწყეს SURE 2015 წლის 9 დეკემბერს.

### **ეკო-მენეჯმენტის და აუდიტის სქემა**

ეკო-მენეჯმენტის და აუდიტის სქემა (EMAS) არის ნებაყოფლობითი გარემოს მენეჯმენტის ხელსაწყო, რომელიც ევროკომისიამ 1993 წელს შეიმუშავა. სქემა საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეაფასონ, მართონ და მუდმივად გააუმჯობესონ გარემოს დაცვა. სქემის გამოყენება შესაძლებელია გლობალურად, და ხელმისაწვდომია ყველა ტიპის კერძო თუ საჯარო ორგანიზაციისთვის. EMAS რეგისტრაციისთვის ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ EU EMAS რეგულაციის მოთხოვნები. ამჟამად, EMAS გაერთიანებულია 4600-ზე მეტი ორგანიზაცია და 7900-ზე მეტი საიტი.

### **ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვა (OHSAS 18001)**

OHSAS 18001 არის შრომის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემების ერთერთი საერთაშორისო სტანდარტი. ის წარმოადგენს ჩარჩოს შრომის უსაფრთხოების ეფექტური მართვისთვის, მათ შორის მოიცავს რისკის მართვის და სამართლებრივი შესაბამისობის ყველა ასპექტს. სტანდარტი შეეხება არა ერთი კონკრეტული პროდუქტის, არამედ ზოგადად შრომის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებს.

### **გარემოს მართვა (ISO 14001)**

ISO 14001 ადგენს კრიტერიუმებს გარემოს მართვის სისტემისთვის და შესაძლებელს ხდის ამ სისტემის სერტიფიცირებას. სტანდარტი განსაზღვრავს ჩარჩოს, რომელიც კომპანიამ ან ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს გარემოს მართვის სისტემის ეფექტურობისთვის. ეს სტანდარტი შემუშავებულია ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის, მიუხედავად მისი აქტივობის ან სექტორისა. ISO 14001 არის გარანტია კომპანიის და თანამშრომლებისთვის, ასევე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, რომ გარემოზე ზემოქმედება იზომება და უმჯობესდება.

A6.1. SURE- მდგრადი და მედეგი ინფრასტრუქტურის სტანდარტი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აზიის განვითარების ბანკის (ADB) ხელშეკრულებების მართვისთვის, რაც დეტალურად არის აღწერილი ADB ხარისხიანი ინფრასტრუქტურის პრინციპების სახელმძღვანელოში.

A6.2. ინდუსტრიული სტანდარტების მეტი მაგალითი ხელმისაწვდომია დანართში 8.

**A. სამთავრობო პოლიტიკა და სამიზნეები**

A6.3. მთავრობის მიზნები გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ალტერნატივა (ა) კომპანიების ან პროდუქტებისთვის, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი არ იყოს გარკვეული აკრედიტაციისთვის; და (ბ) მომარაგების ჯაჭვები ან პრაქტიკები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს, მაგრამ ამავე დროს არ არსებობს სტანდარტი, მაგალითად როგორც არის ქვიშის პროცედურები და მომწოდებლები.

A6.4. მსესხებლებმა შეიძლება დამატებით მიიღონ გადაწყვეტილება ვენდორების მიერ მდგრადი ქცევის კოდექსის ან წესდების ხელმოწერის შესახებ, რაც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, როგორც ძირითადი შესრულების მაჩვენებელი. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია ინდუსტრიის მომწოდებელთა მონაცემთა ბაზებთან ან სხვა სანდო წინასწარ დადგენილ გარე მონაცემთა ბაზებთან, რომლებიც შეიცავს მომწოდებლის, ან სავაჭრო სუბიექტის მონაცემებს.

**B. სავაჭრო ორგანიზაციები**

A6.5. სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ მომწოდებლების საკვალიფიკაციო მონაცემთა ბაზა ან ვენდორების რეგისტრაციის სისტემები ონლაინ რეჟიმში, ან გამოიყენონ მომწოდებლის რისკის და შესრულების მართვის პრინციპები ვენდორებისთვის, რომლებსაც აქვთ მონაცემთა ბაზები. სხვა წყაროები მოიცავს სერტიფიცირებული ვენდორების და/ან სპეციალური ნიშნების მქონე პროდუქტების, ადგილობრივი ქსელების, გაერთიანებული ერების გლობალური ქსელის, გაეროს გლობალური შეთანხმების, ან გლობალური ანგარიშგების ინიციატივის სიებს.

**C. ტექნიკური შესაძლებლობები**

A6.6. ტექნიკური შესაძლებლობა არის სოციალური და გარემოს დაცვის მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარის მთავარი განმსაზღვრელი. მსესხებელს მაგალითად შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი კვალიფიკაციები, რათა უზრუნველყოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზომების დანერგვა. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, მდგრადობის კრიტერიუმი პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან, სხვა სიტყვებით, ტენდერის მონაწილის წინასაკვალიფიკაციო ფაზის სერტიფიცირება ან ინდუსტრიის ან სოციალური სტანდარტების შესაბამისი ვერიფიკაცია, ან მომწოდებლის ქცევის კოდექსი, ამ მართვის სისტემების არსებობა შეიძლება იყოს მოთხოვნილი (მაგალითად, OHSAS 18001, EMAS, ISO 14001, BSCI/SA8000/ISO 50001). ამგვარი დამოუკიდებელი სერტიფიცირება შეიძლება გახდეს მომწოდებლის აუცილებელი ტექნიკური და პროფესიული კვალიფიკაციების გადამოწმების შესაძლებლობა.

A6.7. მომარაგების ჯაჭვის შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ დაფარვის მასშტაბი. აღნიშნული უნდა დაეფუძნოს პროექტის ინდუსტრიული სექტორის და მდგრადობის რისკის პროფილს. ცხრილში A6.1 მოცემულია იმ კითხვების ნიმუშები, რომლებიც მსესხებელმა შეიძლება გამოიყენოს ვალიდაციის მიზნით.

**ცხრილი A6.1. ტექნიკური შესაძლებლობების ვალიდაციის კითხვების ნიმუში**

კითხვა	ვერიფიკაცია
არის თუ არა კომპანია დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანიზაციის წევრი (მაგალითად, სოციალური ანგარიშვალდებულების საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა)?	წევრის ვერიფიკაცია



ჩატარებული გაქვთ თუ არა მომარაგების ქსელის აუდიტი ბოლო 2 წლის განმავლობაში?	აუდიტის ანგარიში
ხელმისაწვდომია თუ არა ქცევის კოდექსი, მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამუშაო პირობები და სტანდარტები?	ქცევის კოდექსი
რეგულარულად ხდება თუ არა მომარაგების ჯაჭვის სამუშაო პირობების აუდიტი?	აუდიტის ანგარიში

## დანართი 7- მდგრადი შესყიდვების ნიშნები

### A. ეკო ან სოციალური ნიშნების გამოყენება

A7.1. ეკო-ნიშანი არის ნიშანი, რომელიც ახდენს პროდუქტის ან მომსახურების გარემოზე ზოგადი ზემოქმედების იდენტიფიცირებას მისი ექსპლუატაციის ციკლის გათვალისწინებით. აღნიშნული გარანტირებულია იმ ფაქტით, რომ ეკო-ნიშანის მინიჭება ხდება დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ, რომელიც არ იმყოფება იმ კომპანიის ზეგავლენის ქვეშ, რომელსაც სურს სერტიფიკატის მიღება. შესაბამისად, ეკო-ნიშანი არის ხელსაწყო, რომელიც ეხმარება შემსყიდველს სხვადასხვა პროდუქტებსა და მომსახურებებს შორის განსხვავებაში. ასევე ეხმარება მომხმარებელს განასხვავოს ის პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც ეკოლოგიის მიმართულებით უკეთეს ხარისხს სთავაზობს.

A7.2. არსებობს „ეკო-ნიშნის“ რამდენიმე განმარტება, და ყველა ხაზს უსვამს იმ ასპექტს და მახასიათებელს, რომელიც მნიშვნელოვნად მარტივი ლოგოს ან პროდუქტის შინაარსსა და ეკო-ნიშანს შორის განსხვავების აღნიშვნისთვის.

A7.3. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც უნდა ჰქონდეს სანდო ეკო-ნიშნის სქემას:

- ნებაყოფლობითი მონაწილეობა. ეკო-ნიშნები არ ისახავს მიზნად არსებული კანონმდებლობის ჩანაცვლებას, მაგრამ ახდენს იმ პროდუქტის აღიარებას (და კონკურენტუნარიანობის გაზრდას), რომელსაც მიღწეული აქვს გარემოს დაცვის უმაღლესი სტანდარტი. შესაბამისად, ეკო-ნიშნის სქემაში მონაწილეობა ვერ დაევალება მომწოდებელს. მომწოდებლები ვერ მოსთხოვენ ტენდერში მონაწილეებს რეგისტრაცია გაიარონ ეკო-ნიშნის სქემაში.
- ნიშანი მკაფიოდ მიუთითებს, რომ პროდუქტი ამავე კატეგორიის წარმომადგენელი სხვა პროდუქტებისგან გამოირჩევა გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტებით.
- ეკო-ნიშნების სანდო სქემა ეფუძნება მყარ სამეცნიერო მტკიცებულებას. ეკო-ნიშნები მიზნად ისახავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებას; თუმცა, ნიშნები უნდა ეფუძნებოდეს მკაცრ, გაზომვად და უმაღლესი დონის სამეცნიერო მონაცემებს. კარგი პრაქტიკის თანახმად, კრიტერიუმები რეგულარულად ახლდება ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ასახვის მიზნით.
- ეკო-ნიშნები ითვალისწინებს სასიცოცხლო ციკლს, რაც ნიშნავს, რომ პროდუქტის ექსპლუატაციის ყველა ასპექტი, მათ შორის დიზაინი, წარმოება, ოპერირება და ტექნიკური მომსახურება, ასევე უტილიზაცია გათვალისწინებულია. პროდუქტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინება ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ შერჩეული იქნას ყველაზე მაღალი დონის პროდუქტი.
- სერტიფიცირების სქემა უნდა ეკუთვნოდეს მესამე მხარეს და დამოუკიდებელი უნდა იყოს სერტიფიკატის მიმღები კომპანიისგან. სერტიფიცირების პროცესის გამჭვირვალობა განასხვავებს ეკო-ნიშნას ეკო-მეგობრული პროდუქტის ლოგოს ან კომპანიის შიდა სერტიფიცირებისგან, რომლის სიზუსტე დამოუკიდებლად არ ფასდება.
- სქემის ობიექტურობა ხშირად გარანტირებულია გარემოს დაცვის კრიტერიუმების განსაზღვრაში მონაწილე მხარეების დიდი რაოდენობით. პროცესში ჩართული არიან

ინდუსტრიის, მთავრობის, გამყიდველების, მომხმარებლების და გარემოს დაცვის ასოციაციების წარმომადგენლები.

A7.4. ეკო-ნიშნებთან შედარებით სიმცირის მიუხედავად, ზოგიერთი სოციალური ნიშანი უკვე მოქმედებს რამდენიმე საბაზრო სექტორში. სოციალური ნიშნები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს როგორც არის ადამიანის უფლებები, დასაქმებულთა უფლებები, შუზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინება, ბავშვთა შრომის აკრძალვა, და განვითარებადი ქვეყნებისთვის სამართლიანი ფასის გადახდა. სხვები ორიენტირებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე, მაგალითად GOODWEAVE, რომელიც მუშაობს უშუალოდ ხალიჩების წარმოებაში ბავშვთა უკანონო შრომასთან ბრძოლის მიმართულებით, ან ტყის რესურსების მართვის საბჭო, რომელიც მუშაობს მდგრადი მეტყევეობის მიმართულებით.

A7.5. სპეციფიკაციების განსაზღვრის და შეფასების კრიტერიუმების მომზადების დროს მსესხებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკაციები შესაბამისობაში შესყიდვის საგანთან.

A7.6. მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ნიშნების და სერტიფიცირების სქემების ზოგიერთი მაგალითი წარმოდგენილია ქვემოთ.

**ECOLABEL INDEX-** არის ეკო-ნიშნების უმსხვილესი რეესტრი, რომელიც ამჟამად აერთიანებს 199 ქვეყნის და 25 სექტორის 456 ნიშნას.

**GLOBAL ECOLABELING NETWORK-** GEN არის არაკომერციული ასოციაცია, გარემოს დაცვის აღიარების, სერტიფიცირების და ნიშნების მინიჭების ორგანიზაცია, რომელიც 1994 წელს დაარსდა პროდუქტების და მომსახურებების ეკო-ნიშნების გაუმჯობესების, წახალისების და განვითარების კუთხით. მხოლოდ ის პროდუქტები და მომსახურებები, რომლებსაც აქვთ გარემოზე ზემოქმედების დაბალი მაჩვენებელი იღებენ GEN ნიშნას.

**EU GPP CRITERIA-** ევროკავშირის მწვანე სახელმწიფო შესყიდვის კრიტერიუმი (EU GPP) მომზადდა სახელმწიფო ტენდერების დოკუმენტაციაში მწვანე მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით. მართალია აღნიშნული კრიტერიუმები მიზნად ისახავს გარემოს დაცვას, ფასს, ბაზრის ხელმისაწვდომობას და ვერიფიკაციის პროცესს შორის წონასწორობის უზრუნველყოფას, შემსყიდველ უწყებას შეუძლია არჩევანი გააკეთოს მისი საჭიროებების და ამბიციის დონის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტებში გაითვალისწინოს ყველა ან მხოლოდ გარკვეული მოთხოვნები.

**INTERNATIONAL TRADE CENTER (ITC)-** ყოვლისმომცველი, ვერიფიცირებული და გამჭვირვალე ინფორმაცია გარემოს დაცვის სტანდარტებზე, დასაქმებულების და შრომის უფლებებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, ხარისხსა და სურსათის უვნებლობაზე, ასევე ბიზნეს ეთიკაზე.

**FAIRTRADE MARKS-** გლობალურად აღიარებული ეთიკის ნიშანი. ამ ნიშნების მატარებელი პროდუქტები არის მიკვლევადი და აკმაყოფილებს საერთაშორისოდ აღიარებულ სოციალურ, გარემო და ეკონომიკურ სტანდარტებს.

## **B. გარემოს დაცვის ნიშნების კლასიფიკაცია**

A7.7. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO) მოქმედ გარემოს დაცვის ნიშნებს ყოფს სამ ტიპად და განსაზღვრავს პრეფერენციულ პრინციპებს და პროცედურებს თითოეულისთვის. გამოსახულება A7.1 ასახავს ეკო-ნიშნების მაგალითებს.

**1. ტიპი 1- ეკო-ნიშნები (ISO 14024:1999)**

A7.8. ერთადერთი დამოუკიდებელი და სანდო ნიშანი, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტის და მომსახურებების ექსპლუატაციის ზემოქმედებას იწოდება „ეკო-ნიშნებად“, მაშინაც კი, როდესაც ეს ტერმინი გამოიყენება ფართო მასშტაბით, და ხშირად შეცდომით.

A7.9. ეს ჯგუფი განსაკუთრებით სასარგებლოა შესყიდვების პროფესიონალებისთვის, და ეკო-ნიშნები ეფუძნება გარემოს დაცვის ხარისხის ამბიციურ კრიტერიუმებს, და უზრუნველყოფს ამ ნიშნის მქონე პროდუქტების მიერ ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას. კრიტერიუმი ხშირად მზადდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და მინიჭება ხდება ვერიფიკაციის დამოუკიდებელი პროცესის საფუძველზე.

A7.10. ეკო-ნიშნები ითვალისწინებს პროდუქტის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ყველა ასპექტს, მაგალითად, ენერჯის და წყლის მოხმარება, ემისიები და უტილიზაცია.

**2. ტიპი 2- თვით-გამოცხადებული გარემოს დაცვის განაცხადები (ISO 14021:1999)**

A7.11. ნიშნები, რომლებიც განეკუთვნება ამ ჯგუფს არ იზიარებენ სხვა ეკო-ნიშნების სტანდარტულ მახასიათებლებს. მთავარი განმასხვავებელი არის ის, რომ ამ ნიშნის მინიჭება არ ხდება დამოუკიდებელი უწყების მიერ. ეს ნიშნები მზადდება კომპანიის მიერ და შეიძლება მიიღოს დეკლარაციის ან ლოგოს ფორმა, რომელიც მიუთითებს კომპანიის პროდუქტზე.

**გრაფიკი A7.1. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნიშნების კლასიფიკაცია**

	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპანიის განაცხადი, არ არის დადასტურებული დამოუკიდებლად</li> <li>• გრინვოშინგის რისკი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროდუქტის შესახებ ინფორმაცია მოწმდება პარამეტრების სიით</li> <li>• მონაცემები- შეფასებული არ არის</li> </ul>
ტიპი 1- ეკო ნიშნები	ტიპი 2- მწვანე მოთხოვნები	ტიპი 3- გარემოზე ზემოქმედება
ტიპი 1- მსგავსი	ISO სტანდარტები ასხვავებს გარემოს დაცვის ნიშნების სამ კატეგორიას; მეოთხე ჯგუფს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ტიპი 1- მსგავსი“, აქვს ვერიფიკაციის და სერტიფიცირების პროცესი, რომელიც ჰგავს ეკო-ნიშნებს, მაგრამ მეტად არის ორიენტირებული ერთ საკითზე (მაგ, ენერჯის მოხმარება, მდგრადი მეტყვეობა, და სხვა)	

A7.12. კომპანიებმა შეიმუშავეს საკუთარი გარემოს დაცვის ნიშანი ან აქვთ ასეთი მოთხოვნა, რადგან მომხმარებლები და შესყიდვების სპეციალისტები მზარდ ყურადღებას უთმობენ შესყიდვის საგნის გარემოზე ზემოქმედებას. შესაბამისად, პროდუქტების და მომსახურებების



გარემოზე ზემოქმედების საკითხი კომერციულად საინტერესო ხდება ბევრი ფირმისთვის. კომპანიის მიერ გარკვეული პრაქტიკების გამოყენების თვით-დეკლარირება:

- მიუთითებს პროდუქტის გარემოს ასპექტზე, პროდუქტის კომპონენტზე, ან მის შეფუთვაზე; და/ან
- დატანილია პროდუქტზე, პროდუქტის შეფუთვაზე, გამოყენებულია პროდუქციის ლიტერატურაში, ან რეკლამაში.

A7.13. ასეთი მიდგომა სასარგებლო ინფორმაციას აწვდის შემსყიდველს, თუ ვივარაუდებთ, რომ ინფორმაცია ზუსტი და უტყუარია. თუ მიწოდებული ინფორმაცია მცდარი, შეცდომაში შემყვანი ან დაუზუსტებელია, მაშინ ასეთი კომპანია დაკარგავს ნდობას.

### **3. ტიპი 3- გარემოზე ზემოქმედების ნიშნები (ISO 14025:2006)**

A7.14. ამ ტიპის ნიშნები შედგება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული პროდუქტებისგან. გარემოს დაცვის პარამეტრები განისაზღვრება კვალიფიციური მესამე მხარის მიერ, რის შემდეგაც კომპანიები გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას ითვალისწინებენ ანგარიშის სტანდარტში, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებელ ვერიფიკაციას გადის. ზემოქმედება გამოიხატება ისე, რომ მარტივია სხვადასხვა პროდუქტებთან შედარება და სახელმწიფო შესყიდვების მიზნების განსაზღვრა.

A7.15. ამ ტიპის ფარგლებში არ ხდება პროდუქტების გარემოზე ზემოქმედების გაზომვა ან შეფასება. მე-3 ტიპში გაერთიანებული ნიშნები ასახავს მხოლოდ ობიექტურ მონაცემებს, და მათი შეფასება ხდება შემსყიდველი მიერ. მე-3 ტიპის ნიშნებისთვის აუცილებელია ექსპლუატაციის ციკლის ამომწურავი მონაცემების ხელმისაწვდომობა, რომელსაც ეკომეგობრული პროდუქტების დეკლარაციას უწოდებენ.





## დანართი 8- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სექტორი/თემატური საკითხები

სექტორი/თემატიკა	პოლიტიკები/რეგულაციები/ მითითებები/სტანდარტები/ ნიშნები/ხელსაწყოები	სახეობა	ვებგვერდი
სოფლის მეურნეობა	ტყის რესურსების მართვის საბჭო (FSC)	სერტიფიცირება	<a href="https://fsc.org/en">https://fsc.org/en</a>
	FAIRTRADE LABEL	ნიშანი	<a href="https://www.fairtrade.net/">https://www.fairtrade.net/</a>
	წვიმის ტყის გაერთიანება	სერტიფიცირება	<a href="https://www.rainforest-alliance.org/">https://www.rainforest-alliance.org/</a>
	GLOBAL GAP	სტანდარტი	<a href="https://www.globalgap.org/uk_en/">https://www.globalgap.org/uk_en/</a>
ენერგეტიკა	ENERGY STAR	პროგრამა	<a href="https://www.energystar.gov/">https://www.energystar.gov/</a>
	შესრულება ენერგეტიკის განახლებაში (PEER)	შეფასების სისტემა	<a href="https://peer.gbci.org/">https://peer.gbci.org/</a>
	ენერგეტიკის კონსერვაციის საერთაშორისო კოდექსი (IECC)	სტანდარტი	<a href="https://codes.iccsafe.org/content/IECC2018P3">https://codes.iccsafe.org/content/IECC2018P3</a>
	ჰიდროენერჯის მდგრადობის შეფასების პროტოკოლი	შეფასება	<a href="http://www.hydro-sustainability.org/">http://www.hydro-sustainability.org/</a>
	EO100 პასუხისმგებლიანი ენერგეტიკის სტანდარტი	სტანდარტი	<a href="https://www.equitableorigin.org/eo100-for-responsible-energy/overview/">https://www.equitableorigin.org/eo100-for-responsible-energy/overview/</a>
გარემო	ევროპული ეკო-ნიშანი	ნიშანი	<a href="https://ec.europa.eu/environment/ecolabel/">https://ec.europa.eu/environment/ecolabel/</a>
	OEKO-TEX სტანდარტი 100	სტანდარტი	<a href="https://www.oeko-tex.com/en/ourstandards/standard-100-by-oeko-tex">https://www.oeko-tex.com/en/ourstandards/standard-100-by-oeko-tex</a>
	ISO 14001	სტანდარტი	<a href="https://www.iso.org/iso-14001-environmental-management.html">https://www.iso.org/iso-14001-environmental-management.html</a>
	ეკო-მენეჯმენტი და აუდიტის სქემა	აუდიტი	<a href="https://ec.europa.eu/environment/emas/index_en.htm">https://ec.europa.eu/environment/emas/index_en.htm</a>
	ტაილანდის მწვანე ნიშანი	ნიშანი	<a href="http://www.ecolabelindex.com/ecolabel/thai-green-label">http://www.ecolabelindex.com/ecolabel/thai-green-label</a>
	მსოფლიო ბანკის გარემოს და სოციალური ჩარჩო	ჩარჩო	<a href="https://www.worldbank.org/en/projectsoperations/environmental-and-socialframework">https://www.worldbank.org/en/projectsoperations/environmental-and-socialframework</a>
ფინანსური	ფინანსური შეფასების ხელსაწყო	ფინანსური ხელსაწყო	<a href="https://www.fvtool.com/">https://www.fvtool.com/</a>
ტრანსპორტი	საერთაშორისო აკრედიტაციის მომსახურება	აკრედიტაცია	<a href="https://www.iasonline.org/">https://www.iasonline.org/</a>
	TREDIS	ანალიზი	<a href="https://tredis.com/">https://tredis.com/</a>
	GREEN ROADS შეფასების სისტემა	შეფასების სისტემა	<a href="https://greenroads.org/publications">https://greenroads.org/publications</a>

	მდგრადი სატრანსპორტო ანალიზი და შეფასების სისტემა	შეფასების სისტემა	<a href="https://www.sccrtc.org/wp-content/uploads/2014/02/STARS-Pilot-Project-Application-Manual.pdf">https://www.sccrtc.org/wp-content/uploads/2014/02/STARS-Pilot-Project-Application-Manual.pdf</a>
	საგზაო განათების LCC ხელსაწყო	სასიცოცხლო ციკლის ფასი	<a href="https://ec.europa.eu/environment/gpp/lcc.htm">https://ec.europa.eu/environment/gpp/lcc.htm</a>
<b>ურბანული განვითარება</b>	SURE	სტანდარტი	<a href="https://sure-standard.org/">https://sure-standard.org/</a>
	LEED	LEED	<a href="https://www.usgbc.org/leed">https://www.usgbc.org/leed</a>
	LIVING BUILDING CHALLENGE (LBC)	სერტიფიცირება	<a href="https://living-future.org/lbc/">https://living-future.org/lbc/</a>
	BEAM		
	CASBEE	შეფასება	<a href="https://www.ibec.or.jp/CASBEE/english/">https://www.ibec.or.jp/CASBEE/english/</a>
	ISO 15392:2019	სტანდარტი	<a href="https://www.iso.org/standard/69947.html">https://www.iso.org/standard/69947.html</a>
	EDGE	სერტიფიცირება	<a href="https://edgebuildings.com/">https://edgebuildings.com/</a>
	მწვანე მშენებლობის საერთაშორისო კოდექსი	კოდექსი	<a href="https://www.iccsafe.org/products-and-services/i-codes/2018-i-codes/igcc/">https://www.iccsafe.org/products-and-services/i-codes/2018-i-codes/igcc/</a>
	მდგრადობის შეფასების მეთოდი სამოქალაქო საინჟინრო სამუშაოებისთვის	შეფასება	<a href="https://www.fccco.com/en/sustainability/responsible-construction/sustainability-system-assessment">https://www.fccco.com/en/sustainability/responsible-construction/sustainability-system-assessment</a>
	TRUE ZERO WASTE	სერტიფიცირება	<a href="https://true.gbci.org/">https://true.gbci.org/</a>
	GRESB	სტანდარტი	<a href="https://gresb.com/about/">https://gresb.com/about/</a>
	აქტივების მდგარი შეფასება	შეფასება	<a href="https://www.iisd.org/project/SAVisustainable-asset-valuation">https://www.iisd.org/project/SAVisustainable-asset-valuation</a>
GIZ- მდგრადი ინფრასტრუქტურის ხელსაწყო	ხელსაწყო	<a href="https://sustainable-infrastructure-tools.org/">https://sustainable-infrastructure-tools.org/</a>	
<b>წყალი</b>	საზღვაო მართვის საბჭო	სტანდარტი	<a href="https://www.msc.org/">https://www.msc.org/</a>
	ISO 24518 (2015)	სტანდარტი	<a href="https://www.iso.org/standard/64118.html">https://www.iso.org/standard/64118.html</a>
	ISO 24521 (2016)	სტანდარტი	<a href="https://www.iso.org/standard/64679.html">https://www.iso.org/standard/64679.html</a>
	ISO 30500 (2018)	სტანდარტი	<a href="https://www.iso.org/standard/72523.html">https://www.iso.org/standard/72523.html</a>
	სასმელი წყლის ხარისხის რეგულაციებისა და სტანდარტების მომზადება (WHO)	რეგულაციები	<a href="https://www.who.int/publications/i/item/9789241513944">https://www.who.int/publications/i/item/9789241513944</a>
	ნარჩენი წყლების, ჩამდინარე წყლების უსაფრთხო გამოყენება (WHO)	სახელმძღვანელო	<a href="https://www.who.int/teams/environmentclimate-change-and-health/watersanitation-and-health/sanitation-safety/guidelines-for-safe-use-of-wastewatergreywater-and-excreta">https://www.who.int/teams/environmentclimate-change-and-health/watersanitation-and-health/sanitation-safety/guidelines-for-safe-use-of-wastewatergreywater-and-excreta</a>
<b>უნივერსალური დიზაინი და შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინება</b>	ხელმისაწვდომი დიზაინის სახელმძღვანელო: უნივერსალური დიზაინის პრინციპები ავსტრალიის დახმარების პროგრამისთვის 2012	სახელმძღვანელო	<a href="https://www.dfat.gov.au/sites/default/files/accessibility-design-guide.pdf">https://www.dfat.gov.au/sites/default/files/accessibility-design-guide.pdf</a>
	USAID პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	სახელმძღვანელო	<a href="https://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pdacg011.pdf">https://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pdacg011.pdf</a>

	პირებისთვის USAID დაფინანსებული მშენებლობის ხელმისაწვდომობის სტანდარტების შესახებ		
	შუზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინების და ანგარიშვალდებულების ჩარჩო 2018	სახელმძღვანელო	<a href="https://documents1.worldbank.org/curated/en/437451528442789278/pdf/126977-WP-PUBLIC-DisabilityInclusionAccountabilitydigital.pdf">https://documents1.worldbank.org/curated/en/437451528442789278/pdf/126977-WP-PUBLIC-DisabilityInclusionAccountabilitydigital.pdf</a>
	გაეროს შუზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინების სტრატეგიის სახელმძღვანელო „მაჩვენებელი 8-შესყიდვები“ დანერგვისთვის	სახელმძღვანელო	<a href="https://www.un.org/sites/un2.un.org/files/2020_un_disability_inclusion_strategy_guidelines_indicator_8.pdf">https://www.un.org/sites/un2.un.org/files/2020_un_disability_inclusion_strategy_guidelines_indicator_8.pdf</a>
<b>გენდერის გათვალისწინება</b>	გენდერზე ორიენტირებული შესყიდვები: ეკოსისტემის ხელშეწყობა ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)	სახელმძღვანელო	<a href="https://www.unwomen.org/en/digitallibrary/publications/2021/07/rethinkinggender-responsive-procurement">https://www.unwomen.org/en/digitallibrary/publications/2021/07/rethinkinggender-responsive-procurement</a>
	გენდერზე ორიენტირებული შესყიდვების სახელმძღვანელო (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)	სახელმძღვანელო	<a href="https://www.weps.org/resource/genderresponsive-procurement">https://www.weps.org/resource/genderresponsive-procurement</a>
	შესყიდვების ძალა: როგორ დავუმართო ქალების მიერ მართულ ბიზნესს	სახელმძღვანელო	<a href="https://www.unwomen.org/en/digitallibrary/publications/2017/3/the-power-ofprocurement#view">https://www.unwomen.org/en/digitallibrary/publications/2017/3/the-power-ofprocurement#view</a>
	შესყიდვების ძალა: როგორ დავუმართო ქალების მიერ მართულ ბიზნესს	სახელმძღვანელო	<a href="https://s3.amazonaws.com/thinkificimport-development/277409/GenderResponsiveProcurementPlaybook1-201014-140554.pdf">https://s3.amazonaws.com/thinkificimport-development/277409/GenderResponsiveProcurementPlaybook1-201014-140554.pdf</a>

## დანართი 9- გაერთიანებული ერების მდგრადი შესყიდვების მაჩვენებელი

A9.1. ქვემოთ მოცემული ცხრილი A9.1 ასახავს მდგრადი შესყიდვების მაჩვენებლებს, რომლებიც გათვალისწინებულია მდგრადი შესყიდვების მაჩვენებლების ჩარჩოში, და დამატებით მიუთითებს იმ დეტალებს, რომლებსაც თავად ეს მაჩვენებლები უკავშირდება. იმისთვის, რომ ტენდერს მიენიჭოს მდგრადი შესყიდვის სიმბოლო, მას უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი მაჩვენებელი სამიდან თითოეულ სვეტში: გარემო, სოციალური და ეკონომიკური საკითხები.

### ცხრილი A9.1 გაეროს მდგრადი შესყიდვების მაჩვენებლები

სვეტი	მდგრადი შესყიდვის მაჩვენებელი	ტენდერის მოთხოვნის მაგალითები
გარემო	1. ჰაერის, ნიადაგის და წყლის დაბინძურების პრევენცია	გარემოს მართვის სისტემა, კორპორაციული მართვის პოლიტიკა, ნარჩენების მართვა, სახიფათო მასალების და ქიმიკატების პოლიტიკა
	2. რესურსების მდგრადი გამოყენება	ეკო-ნიშნები: ცირკულარული დიზაინი, ენერგო ეფექტურობა, გადამუშავება, მეფუთვა
	3. კლიმატის ცვლილების თავიდან არიდება და ადაპტაცია	ენერგო ეფექტურობა, განახლებადი ენერჯის შესყიდვა, სასთუბურე აირებზე ანგარიშგება, სუფთა ტრანსპორტი და ლოგისტიკა, მდგრადი ინფრასტრუქტურა
	4. გარემოს, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბუნებრივი გარემოს აღდგენა	ეკო-ნიშნები: მდგარი ან ორგანული სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა
სოციალური	5. ადამიანის უფლებები და შრომითი საკითხები	ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები, თავშეყრის და კოლექტიური მოლაპარაკების თავისუფლება, ბავშვთა და/ან იძულებით შრომის, და სამუშაოზე დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სამართლიანი ვაჭრობა, მოწყვლადი ჯგუფების, როგორც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები გათვალისწინება, ინკლუზიურობა, და ხელმისაწვდომობის გათვალისწინება დიზაინში.
	6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გათვალისწინება	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წვდომის უზრუნველყოფის მოთხოვნები, მომწოდებლები, რომლებიც ითვალისწინებენ შეზღუდულ შესაძლებლობებს.
	7. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება	გენდერული მენისტრიმინგი, ქალების მიერ მართული ბიზნესებისთვის უპირატესობის მინიჭება

	8. სოციალური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	სახიფათო ქიმიკატების გამოყენების თავიდან არიდება, ქიმიკატების აღნიშვნა
ეკონომიკური	9. სასიცოცხლო ციკლის ფასი	საკუთრების, სასიცოცხლო ციკლის ჯამური ფასი
	10. ადგილობრივი თემები, მცირე და საშუალო საწარმოები	დასაქმება ადგილობრივი თემებისთვის; ადგილობრივი მასალები და მომსახურებები; ადგილობრივი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები.
	11. მომარაგების ჯაჭვში მდგრადობის ხელშეწყობა	მდგრადობის მოთხოვნების მე-2 ჯგუფის მომწოდებლებზე გავრცელება, ძირითადი ქვე-კონტრაქტორების იდენტიფიცირება და დამტკიცება
<b>ქვემოთ მოცემული ორი მაჩვენებელი არის მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ განაპირობებს მდგრადი შესყიდვების ტენდერის კლასიფიკაციას</b>		
ზოგადი	12. გლობალური შეთანხმება	ვენდორების გავრთვით გლობალურ შეთანხმებაში მონაწილეობის წახალისება
	13. მომწოდებლების მონიტორინგი და აუდიტი	ხელშეკრულების პირობები და/ან შესრულების ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ადასტურებს მომწოდებლის მიერ გარემოს და სოციალური ვალდებულებების შესრულებას, და აუდიტის დებულებები

## დანართი 10- STEEP

A10.1. პროექტების მიერ მოხმარებული ენერჯის შეფასების ზედამხედველობის ხელსაწყო (STEEP) არის უფასო, ექსელზე დაფუძნებული სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სისტემური შეფასების და იმ სფეროების განსაზღვრისთვის, სადაც შესაძლებელია მოხმარებული ენერჯის დაზოგვა მოქმედი ან დაგეგმილი წყლის მომარაგების პროექტებში.

A10.2. 2017 წლიდან, STEEP მუდმივად ვითარდება და მისი დიზაინი ერგება კონკრეტულ პროექტს ან სისტემის აპლიკაციას. ამგვარი მოქნილობით, ის შეიძლება გამოვიყენოთ (ა) არსებული სისტემის ჩანაცვლების ან განახლების შეფასებისთვის (ყავისფერი ველი); (ბ) სისტემის მონტაჟისთვის თუ ასეთი სისტემა ჯერ არ არსებობს (მწვანე ველი); და (გ) არსებული სისტემების ნიმუშებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან შედარებისთვის, ან მარტივად ენერჯის დაზოგვის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის წყალმომარაგების და/ან წყლის მართვის სისტემებში.

- **ყავისფერი ველის სისტემაში**, STEEP შეუძლია არსებული სისტემის შეფასება, კერძოდ აუცილებელია თუ არა რაიმეს გამოსწორება ან განახლება. ზოგადად, ყავისფერი ველის სისტემაში აღმოჩენილი ფართოდ გავრცელებული შეუსაბამოები უკავშირდება (ა) აქტივების მდგომარეობის გაუარესებას; (ბ) გაუმართავ ან არასაკმარის ელექტრონულ და მექანიკურ სისტემებს; (გ) წყლის უსარგებლო გამოყენებას; (დ) ავტომატიზაციის ნაკლებობას; და (ე) ნარჩენი/ჩამდინარე წყლების მართვის რეჟიმების არ არსებობას (მაგალითად, ბიოლოგიური, ქიმიური და/ან ფიზიკური).
- **მწვანე ველის სისტემაში**, STEEP ხელს უწყობს პროექტების სისტემის შემოთავაზებული დიზაინის შეფასებას. ახალი პროექტებისთვის, ენერჯის უკმარისობის ხშირად გავრცელებული მიზეზი არის (ა) ყურადღების ხარჯების შემცირებაზე კონცენტრირება, და ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზების იგნორირება; (ბ) ყურადღება ზედმეტად არის გამახვილებული ან ნაკლებობაა მომარაგების უწყვეტობის კუთხით, მაგალითად, ჭარბი ამოტუმბვა, და ჭარბი მარაგების მაღალი წნევით ან საცავში გადატანა; (გ) ენერჯის შემცირების მეთოდების გაუთვალისწინებლობა, როგორც არის ზონირება, ჭკვიანი სისტემები, და ელექტრონული მოწყობილობები (მაგალითად, ცვლადი სიხშირე, და სხვა); და (დ) მომავალი ხარჯების და ენერჯის სისტემებზე ზემოქმედების არ ცოდნა.

## დანართი 11- მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პროექტების განხილვა

### A. შემთხვევა პირველი: მიდგომები მერქნის პასუხისმგებლიან მომარაგებასთან ინფრასტრუქტურასა და მშენებლობაში

A11.1. ხის უკანონო ჭრა, დამუშავება, ტრანსპორტირება, შესყიდვა ან გაყიდვა არის ეროვნული და საერთაშორისო კანონების დარღვევა. გარეთიანებული ერების გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) და კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ანგარიშის თანახმად, კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ორგანიზებული უკანონო ხის ჭრა ყოველწლიურად დაახლოებით 51\$ და 152\$ მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება. უკანონო ჭრა ბრაზილიის წარმოების საშუალოდ 80% შეადგენს, ინდონეზიის შემთხვევაში 73%, ხოლო 50% კამერუნში. აღნიშნული, გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად მოქმედებს ტყეზე დამოკიდებული ადამიანების საცხოვრებელ პირობებზე.

A11.2. უკანონო ჭრის გარემოზე ზემოქმედება მოიცავს გაუტყიურებას, ბიომრავალფეროვნების განადგურებას, და სასობურე აირების ემისიების საფრთხეს. საჯარო სექტორი ხშირად ქვეყნის ხის პროდუქტების ყველაზე აქტიური მომხმარებელია. მაგალითად, ინდონეზიაში, მერქანზე მოთხოვნის საშუალოდ 30% მთავრობაზე მოდის.

### 1. მასალების მომარაგებასთან დაკავშირებული რისკები

A11.3. მასალების მომარაგების ჯაჭვთან დაკავშირებული რისკების აღქმა უნდა ეფუძნებოდეს მომარაგების მოცულობას, ქვეყნის და რეგიონის გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებული რისკების მდებარეობის ცოდნას, და მომწოდებლის ინფორმაციას მდგრადობის პოლიტიკებზე და/ან ჩართულობაზე სერტიფიცირების სქემებსა თუ სტანდარტებში.

A11.4. ზოგიერთ მასალასთან შედარებით, ყურადღება მახვილდება მომარაგების ჯაჭვში უკანონო ჭრის კუთხით რეაგირებაზე. მერქნის გამოყენება შეიძლება დადასტურდეს რამდენიმე მესამე მხარის დამოუკიდებელი ტყის სერტიფიცირების სქემის ფარგლებში, როგორც არის ტყის რესურსების მართვის საბჭო და ტყის სერტიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა. ალტერნატიული მიდგომები, რომლებიც მოიცავს ტყის რესურსებიდან საბოლოო მომხმარებელამდე დაცვის უზრუნველყოფას ტყის სამართალდამცავი, მმართველობის და სავაჭრო (FLEGT) და ნებაყოფლობითი პარტნიორობის შეთანხმების (VPA) ფარგლებში.

A11.5. ინდონეზია იყო მსოფლიოს პირველი ქვეყანა, რომელმაც წამოიწყო ტყის სამართალდაცვის, მმართველობის და ვაჭრობის ლიცენზიების გამოყენება, და ევროკავშირი მოლაპარაკებებს წარმოებს ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ტაილანდთან და ვიეტნამთან ანალოგიური სქემების დაფუძნებაზე.

A11.6. საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ (IFC) მოამზადა ხელსაწყო, რომელიც ცნობილია როგორც გლობალური რუკა გარემოს და სოციალური რისკებისთვის აგრო-საცხოვრებელ წარმოებაში (GMAP). GMAP არის ონლაინ ხელსაწყო, რომელიც ეფუძნება უნიკალურ მეთოდოლოგიას, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია IFC გარემოს და სოციალური მდგრადობის შესრულების სტანდარტების მოთხოვნებთან. საჯაროდ

ხელმისაწვდომი მონაცემების გამოყენებით, GMAP ახორციელებს მომარაგების ჯაჭვის გარემოს და სოციალურ რისკებს დაახლოებით 250 ქვეყანაში, განვითარებადი ბაზრების ჩათვლით და ხელს უწყობს ფინანსების და წყაროების მოძიების თაობაზე გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას.

A11.7. GMAP თავდაპირველად გაეშვა 2013 წელს და შემდეგ 2017 წელს. უკუკავშირი მიღებული იქნა ორივე საპილოტე პროექტიდან და მოხდა GMAP ონლაინ პლატფორმაზე გაფართოება. 2019 წლის მაისში, GMAP მოახდინა მდგრადობის რუკის მონაცემების ინტეგრაცია, მომზადდება ITC, რამაც საშუალება მისცა მომხმარებლებს მოეხდინათ შესაბამისი სასერტიფიკატო სქემების იდენტიფიცირება. დაგეგმილი განახლებები მოიცავს დაბალი შემოსავლის და მოწყვლადი, ასევე კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქვეყნების მონაცემებს.

A11.8. GMAP ასევე ინტეგრირებულია მონაცემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოახდინოს GMAP ფარგლებში იდენტიფიცირებული შესაბამისი სქემების მოძიება. ხოლო, ანგარიშვალდებულების ჩარჩო გვაწვდის ინფორმაციას მიზნების ეფექტურობაზე, დანერგვაზე და მომარაგების ქსელის მონიტორინგზე სოფლის მეურნეობასა და მეტყევეობაში.

A11.9. ინტერესი ლანდშაფტის და იურისდიქციის მიდგომებთან მდგრადობის კომპლექსურ საკითხებზე რეაგირების მიზნით მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს 2010 წლიდან, როდესაც სამომხმარებლო პროდუქტების ფორუმში მონაწილე კომპანიებმა დაიწყეს მუშაობა მათ მომარაგების ჯაჭვში ტყის გამანადგურებელი მომწოდებლების ნულამდე დაყვანის მიმართულებით. ამ მიდგომით, კონტრაქტორები ცდილობენ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ეფექტურად დანერგონ პროგრამები, რომლებიც ამცირებს ტყეზე ზემოქმედებას და პროცესთან ასოცირებულ ემისიებს.

## 2. ზემოქმედება

A11.10. რეალური ზემოქმედებისთვის, პასუხისმგებლობის მქონე წყარომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ზომებზე, რომლებიც მიმართულია თანამშრომლობის ან ინტეგრირებული ინიციატივებისკენ და სცდება პროექტის მასშტაბს. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს თემის მხარდაჭერა, ან პროგრამები, და პროექტები, რომლებიც გააუმჯობესებს და ადაღენს ჰაბიტატის უწყვეტობას და/ან თანამშრომლობას დარჩენილი ეკოსისტემის ან დაცული ტერიტორიების დაცვის ან აღდგენისთვის. სახელმწიფო კონტრაქტორებს შეუძლიათ სხვებს გაუზიარონ შემდეგი:

- რისკის შეფასების მეთოდოლოგიები და შედეგები, რომლებიც გააუმჯობესებს თანამიმდევრულობას და შედარებითი რისკების მახასიათებლები წყაროებში;
- მომარაგების ჯაჭვის მონიშვნა და მიკვლევადობის ინფორმაცია;
- ინფორმაცია მომწოდებლის შესაბამისობაზე;
- რესურსები ტყის კაფვის მოკვლევის და სხვა მოქმედებებისთვის.

## B. შემთხვევა მეორე: ბოჭკოების მდგრადი სტანდარტის განვითარება მონდოლეთში

### 1. შესავალი

A11.11. აზიის განვითარების ბანკი (ADB) მზარდ ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის ბიზნესებისთვის ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხს, განსაკუთრებით ისეთი კერძო ბიზნესებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევას. ADB დამატებით მხარდაჭერას უწევს უმ კომპანიებს, რომლებიც გამოირჩევიან



მდგრადი, გარემოზე, დასაქმებულებზე და თემებზე ზრუნვით, და უსაფრთხო პროდუქტების წარმოებით. ADB მხარდაჭერა მდგრადობის განვითარებისთვის ხელს უწყობს ქვეყნის მიერ გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევას.

A11.12. ADB სტრატეგია მოიცავს მთავარ ოპერაციულ პრიორიტეტებს, რომლებიც მიმართულია კერძო სექტორის მდგრადობის განვითარებისკენ და მოიცავს შემდეგს:

- a) სიღარიბესთან ბრძოლა და უთანასწორობის შემცირება (მათ შორის ხარისხიანი სამუშაოთი უზრუნველყოფა);
- b) გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესის დაჩქარება (მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების წახალისება);
- c) კლიმატის ცვლილებაზე რეაგირება, სტიქიური უბედურებების მიმართ და კლიმატ მედეგი მშენებლობა და გარემოს დაცვის მდგრადობის წახალისება (მათ შორის გარემოს მართვის გაუმჯობესება და ეროვნული რესურსების კონსერვაციასა და აღდგენაში ინვესტირება);
- d) სოფლის განვითარების და სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაზრდა).

A11.13. ამ მაგალითში დეტალურად არის აღწერილი მდგრადობის სტრატეგია და შპს GOBI CASHMERE (GOBI) ოპერაციული გეგმის 3 წლის განმავლობაში შესრულება. GOBI არის მონღოლეთში ქაშმირის უმსხვილესი მწარმოებელი. GOBI მდგრადობის სტრატეგიის განვითარებას ხელი შეუწყობს ADB-მა TA9093 REG, პროექტი 49354-001 ფარგლებში: კერძო სექტორის მონაწილეობის ზრდა და ბაზარზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება გარემოს მართვის, კორპორაციული მდგრადობის დაგეგმვისას მწვანე მომარაგების ჯაჭვის მართვაში.

## 2. შპს GOBI

A11.14. GOBI არის მონღოლეთში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობების საზოგადოება, რომლის აქციებიც ხელმისაწვდომია მონღოლეთის საფონდო ბირჟაზე. GOBI არის ვერტიკალურად ინტეგრირებული მწარმოებელი და მონღოლეთში ქაშმირის ტანსაცმლის უმსხვილესი დამამზადებელი. GOBI დაარსდა, როგორც სახელმწიფო საწარმო 1981 წელს, რისთვისაც ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მიიღო იაპონიის მთავრობისგან. კომპანიის პრივატიზაცია მოხდა 1993 წელს. GOBI ახორციელებს ქაშმირის ნედლეულის შესყიდვას; ახდენს პირველადი და მეორადი პროცესების წარმოებას საკუთარ ქარხანაში; და ყიდის ისეთ საბოლოო პროდუქტებს როგორც არის ქაშმირის ჯემპრები, ჟურთუკები და შარფები ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლებისთვის. როგორც ერთერთ წამყვან ექსპორტიორ კომპანიაში არა-წიაღისეულის მიმართულებით, GOBI-ში ამჟამად დასაქმებულია 1, 700-ზე მეტი ადამიანი (აქედან დაახლოებით 74% არის ქალი), და მონღოლეთის მასშტაბით ფლობს 10 მაღაზიას, აქვს 50 ფრენჩაიზი და ხუთი ფილიალი საზღვარგარეთ.

A11.15. GOBI-ის გაყიდვების დაახლოებით 60% ადგილობრივ გაყიდვებზე მოდის, მაგრამ ამ გაყიდვების თითქმის ნახევარი ტურისტებზეა დამოკიდებული. დარჩენილი 40% ექვემდებარება GOBI-ის მიერ ექსპორტს. ასევე, 32 ქვეყნის 200-ზე მეტი კომპანიისთვის GOBI ამზადებს პროდუქციას მიმღები კომპანიების დიზაინის სპეციფიკაციების შესაბამისად. GOBI შუალედური სტრატეგია არის მისი საერთაშორისო გაყიდვების გაფართოება, და პრიორიტეტის მინიჭება მისი ბრენდირებული პროდუქციის საზღვარგარეთ მარკეტინგის და გაყიდვების, მათ შორის საერთაშორისო ფილიალებში, მაღაზიებსა და ონლაინ არხებში გაყიდვების მიმართულებით.

A11.16. GOBI სურდა გაეფართოებინა ქაშმირის პირველადი დამუშავების შესაძლებლობები, და გაეზარდა მოცულობა წელიწადში 750 ტონიდან 2,000 ტონამდე. ამისთვის აუცილებელი იყოს

გადამუშავების და სასაწყობო დაწესებულების მშენებლობა. GOBI სურდა გაეზარდა ძაფის დამზადების მოცულობა 350-დან წელიწადში 700 ტონამდე, ასევე ქსოვის შესაძლებლობები 100, 000-დან 250,000 ტონამდე, რისთვისაც აუცილებელი იყო შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა და მეორადი დამუშავების ახალი შენობის მშენებლობა ულანბატარში არსებული ნაგებობების ტერიტორიაზე, რაც დამატებით შექმნიდა 500 სამუშაო ადგილს.

A11.17. პირველადი და მეორადი დამუშავების შესაძლებლობების გაუმჯობესების საფასური განისაზღვრა დაახლოებით 31.4 მილიონი აშშ დოლარით, აქედან 9\$ აშშ დოლარის ოდენობით სესხი გაიცა ADB-ის მიერ, ხოლო 9\$ აშშ დოლარი გამოყო იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტომ, 6 მილიონი აშშ დოლარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, ხოლო 7.4 მილიონი გამოიყო თავად GOBI-ის მიერ.

### 3. კორპორაციული მდგრადობა

A11.18. სხვადასხვა ინდუსტრიების მწარმოებლების დიდი და მზარდი რაოდენობა აცნობიერებს თუ რა სარგებელს იღებს მდგრადი დაფინანსება და გარემოს საკითხები ბიზნესის მდგრადი საკითხებისგან. მდგრადი წარმოება არის დამზადებული პროდუქციის კრიტერიუმი, რაც ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობს ენერჯის და ბუნებრივი რესურსების დაზოგვას. მდგრადი წარმოება ასევე აძლიერებს დასაქმებულს, თემს და პროდუქტის უსაფრთხოებას.

A11.19. კომპანიები „მდგრადობას“ უდგებიან როგორც მათი სტრატეგიის და ოპერაციების მნიშვნელოვან მიზანს. ეს ტენდენცია გასცდა იმ კომპანიებს, რომლებიც ტრადიციულად იდენტიფიცირდებოდნენ როგორც „მწვანე“. ახლა, ბევრი წარმატებული ბიზნესი სხვადასხვა ინდუსტრიულ სექტორში ემხრობა ამ მიმართულებას.

A11.20. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რატომაც კომპანიები ირჩევენ მდგრადობის გზას:

- ა) ხარჯების და ნარჩენების შემცირების გზით ოპერაციული ეფექტურობის ზრდა;
- ბ) ახალ მომხმარებლებთან კავშირის დამყარება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- გ) ბრენდის და რეპუტაციის დაცვა და გაძლიერება; საზოგადოების ნდობის მოპოვება;
- დ) ბიზნესის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის და წარმატების მიღწევა;
- ე) მარეგულირებელ შუზღუდვებზე და შესაძლებლობებზე რეაგირება.

A11.21. საერთაშორისო მოდისა და ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიები ნერგავენ მდგრადობის შესაძლებლობებს. 2010 წელს ჩამოყალიბდა მდგრადი ტანსაცმლის კოალიცია (SAC). ამ საერთაშორისო ინდუსტრიული ჯგუფის მიერ შემუშავდა ჰიგის ინდექსი (Higg Index), რომელიც წარმოადგენს SAC წევრების მიერ წარმოების და დიზაინის, ნაგებობების და წარმოების, ასევე ბრენდის მიმართულებით მდგრადობის გათვალისწინების შეფასებას. 2019 წლისთვის, მსოფლიოს 10, 000-ზე მეტი მწარმოებელმა გამოიყენა ეს ინდექსი, როგორც საკუთარი მდგრადობის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

### 4. მზს GOBI მდგრადობის სტრატეგიის მიმოხილვა

A11.22. GOBI-თვის რეკომენდირებული მდგრადობის სტრატეგიის მომზადება მდგრადობის ოთხი მიმართულების გარეშემო:

- გარემოს გაუმჯობესება;
- ადამიანებზე ზრუნვა (დასაქმებულები და თემი);
- უსაფრთხო პროდუქტების შეთავაზება; და
- მყარი ფინანსური შესრულების და ბიზნეს კონკურენციის გაზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში.

A11.23. ეს მიმართულებები ეფუძნება სხვადასხვა საწარმოო ინდუსტრიის მდგრადობის ინიციატივებს, და მდგრადობის ინიციატივებს საერთაშორისო მოდის და ტანსაცმლის წარმოების ინდუსტრიაში.

A11.24. GOBI-ის მდგრადობის სწრაფი შეფასება დასრულდა 2018 წლის ნოემბერში. ამ შეფასებით განისაზღვრა მდგრადობის სამი კომპონენტი: გარემოს დაცვა, სოციალური და ფინანსური მიმართულებები და ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი მიგნებები:

- a) GOBI უკვე დანერგა მდგრადობის ბევრი პრაქტიკა, განსაკუთრებით კი სოციალური, ასევე გარემოს დაცვის მიმართულებით. თუმცა, GOBI მმართველობას არ ჰქონდა მდგრადობის პროგრამის მკაფიო „ნაკრები“. გადადგმული ნაბიჯებით და მდგრადობის მცირე რაოდენობით ახალი ინიციატივების დამატებით, მდგრადობის სტრატეგიას შეუძლია ხელი შეუწყოს კომპანიის ფინანსური და ბიზნეს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.
- b) კომპანიას ჰქონდა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალური მაჩვენებელი, და მისი სოციალური პროგრამა უკვე საკმაოდ მასშტაბური იყო.
- c) GOBI-ის მიზნებს მოდელი საკმაოდ განსხვავდება იმ ბიზნეს მოდელებისგან, რომლებიც გამოიყენება ტანსაცმლის საერთაშორისო წარმოების ინდუსტრიისგან. ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ GOBI მომხმარებელს სთავაზობს მდგრადობის ისეთი დონის მიღწევას, რომელიც გაცილებით უფრო რთული და ძვირი მისაღწევია სხვა მწარმოებლებისთვის. ბიზნეს მოდელების განსხვავების მთავარი არის მდგომარეობა იმაში, რომ GOBI ფლობს და ამუშავებს საკუთარ ქარხნებს, რომლებიც განლაგებულია კომპანიის წარმომავლობის ქვეყანაში, მონღოლეთში. ეს განსხვავებას GOBI-ის სხვა საერთაშორისო კომპანიებისგან, რომელთა შტაბბინა მდებარეობს განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ საწარმო ქარხნები ეკუთვნის განვითარებად ქვეყნებში მყოფ მესამე მხარეებს.

A11.25. ჩატარებული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდირებული მდგრადობის სტრატეგიას ეწოდა GOBI CASHMERE 4P პროგრამა (პროდუქტი და დიზაინი, წარმოება, ადამიანები, მოგება). კომპანიის მდგრადობის სტრატეგია ორიენტირებულია ძირითადად მდგრადობის შესრულების მაჩვენებლებზე და მიზნებზე; და უკავშირდება გარემოს და სოციალური მდგრადობის ინიციატივებს, რომლებიც შეეხება პროდუქტს, წარმოებას და ადამიანებს. რეკომენდირებულია, რომ მდგრადობის სტრატეგია შეიცავდეს ინიციატივას კომპანიის მიერ მდგრადობაში ინვესტირების ზედამხედველობისთვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს სტრატეგიაზე დაყრდნობით კომპანიის მიერ სარგებელის მიღებას.

A11.26. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მდგრადობის სტრატეგია მიზნად არ ისახავდა კომპანიის ხარჯების გაზრდას არა ფინანსური გარემოს და სოციალური მიზნების მიღწევისთვის. ასევე, ეს არ ყოფილა ხარჯების შემცირების ინიციატივა. GOBI-ის მდგრადობის სტრატეგია მომზადდა როგორც ინვესტიციების სერია, რომელიც ხელს შეუწყობდა კომპანიის ფინანსური ბრუნვის გაუმჯობესებას და დამატებით განაპირობებდა გარემოს დაცვის და სოციალური მიზნების მიღწევას.

A11.27. GOBI-თვის რეკომენდირებული მდგრადობის სტრატეგია შედგებოდა ორი ნაწილისგან.

- a) გარემოს და სოციალური მდგრადობის მიმართულებით არსებული ინიციატივების „კოდირება“, განსაკუთრებით კომპანიის სოციალური პროგრამის ინიციატივებისთვის; და
- b) ახალი მიზანმიმართული მდგრადობის ინიციატივების შემუშავება მომდევნო 3 წლისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს გულისხმობს დამატებითი ნაბიჯების გადადგმას, რათა მდგრადობის პრაქტიკები დაცული იქნას მწყემსების მიერ თხების და ძოვის პრაქტიკების მართვის მიმართულებით. ასევე, მდგრადობის პრაქტიკების გამოყენება ქაშმირის

ნედლეულის დამუშავების და მზად პროდუქციის მომზადების პროცესში; და ემისიების შემცირების ინიციატივების შეთავაზება.

A11.28. SFA წევრობის მიუხედავად, GOBI ხელი შეუწყო მონდოლეთის ეროვნული სტანდარტის შემუშავებას ძოვის მდგრადი პრაქტიკის მიმართულებით. მწყმსებს შეუძლიათ გამოავლინონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ამ სტანდარტს პრაქტიკის დამოუკიდებელი აუდიტის ფარგლებში. GOBI-ის მდგრადობის სტრატეგია მოიცავდა ინიციატივას კომპანიის მიერ მწყმსებისთვის ეროვნული სტანდარტის დაკმაყოფილების მოთხოვნის წყენებას, და მწყმსების მესამე მხარის აუდიტორების მიერ სერტიფიცირებას.

A11.29. SFA ასევე ამზადებს ეროვნულ სტანდარტს ნედლეულის დამუშავებისთვის და GOBI მდგრადობის სტრატეგია მოიცავს ინიციატივას საწარმოო პროცესების მიერ ეროვნული სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის. შუალედური ზომის სახით, კომპანიის მდგრადობის სტრატეგია მოიცავდა ინიციატივას GOBI-ის მიერ მდგრადობის შესრულების გაზომვას ჰიგის ინდექსის გათვალისწინებით.

## 5. GOBI მდგრადობის სტრატეგიის ინიციატივები

A11.30. კომპანიისთვის რეკომენდირებული მდგრადობის სტრატეგია იყო 3 წლიანი სტრატეგია, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა წლიური ოპერირების გეგმები. GOBI-ის მდგრადობის სტრატეგია მომზადდა ისე, რომ გამარტივდეს მისი ზოგად სტრატეგიულ გეგმაში და წლიური ოპერირების გეგმებში ინტეგრაცია. მდგრადობის სტრატეგია გათვლილი იყო კომპანიის 3 ფინანსურ წელზე (კალენდარული წელი).

A11.31. კომპანიის მდგრადობის სტრატეგია საშუალებას მისცემდა GOBI მენეჯერებს გაეზომათ კომპანიის მიერ მდგრადი ოპერირების მიმართულებით მიღწეული პროგრესი. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შეაფასონ კომპანიის მიერ გარემოს და სოციალური მოთხოვნების, ასევე ფინანსური მიღწევებს შეფასება, და მომხმარებლებს თავის მხრივ შეუძლიათ პროდუქტების მდგრადობის, ასევე ზოგადად კომპანიის, როგორც ბიზნესის მდგრადობის შეფასება.

A11.32. SFA მდგრადობის სტანდარტი ქაშმირის დამუშავების და მეორადი წარმოებისთვის მოიცავს სტანდარტებს ჰაერის, ჰაერის და ნიადაგის დაბინძურების მიმართულებით; ქიმიკატების გამოყენება და მოპყრობა; ენერგო ეფექტურობა; და სოციალური პირობები მუშახელისთვის. შესაბამისად, გარდა ენერგო ეფექტურობისა ეს მოთხოვნები გათვალისწინებული არ ყოფილა კომპანიის მდგრადობის სტრატეგიაში. ენერგო ეფექტურობის ორი ინიციატივა გათვალისწინებული იქნა კომპანიის სტრატეგიაში, რადგან ისინი უკავშირდება ემისიების შემცირების ინიციატივას.

A11.33. მდგრადობის სტრატეგიის ინიციატივების დანერგვის პასუხისმგებლობა გადანაწილდა კომპანიის რამდენიმე გუნდზე, მართვის სისტემის პრინციპების შესაბამისად, რომელიც GOBI-იმ მიიღო 2014. ამ სისტემის მთავარი პრინციპი არის 50 ადამიანისგან შემდგარი 5 ჯგუფის ჩამოყალიბება, და ინდივიდუალური ჯგუფების მომგებიანობის გაზომვა და შეფასება.

A11.34. იმის უზრუნველყოფისთვის, რომ თითოეულმა გუნდმა მიაღწიოს პროგრესს მდგრადობის ინიციატივების დანერგვის კუთხით, GOBI-იმ ADB-ის რეკომენდაციის საფუძველზე აირჩია მდგრადობის მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა სტრატეგიის ყველა ინიციატივის დანერგვას.

## 6. მდგრადობის სტრატეგიით განსაზღვრული სხვა ინიციატივები

A11.35. GOBI 4P მდგრადობის პროგრამასთან ერთად, განისაზღვრა ორი დამატებითი ინიციატივა, რომელიც შეიძლება დანერგილიყო მდგრადობის პროგრამის პარალელურად: (ა) საკომუნიკაციო

პროგრამა GOBI 4P მდგრადობის სტრატეგიის და შესრულების მიზნებისთვის; და (ბ) მდგრადობის მართვის პროგრამა.

A11.36. GOBI-ის შეუძლია სხვადასხვა აუდიტორიას და დაინტერესებულ მხარეებს (ყოველწლიური ანგარიშების გამოყენებით), მენეჯერებს (შესრულების რეგულარული შეფასების), დასაქმებულებს, და მომხმარებლებისთვის მდგრადობის სტრატეგიის შესრულების მიმართულებით ინფორმაციის მიწოდება.

A11.37. შესრულების ინდიკატორების დანერგვა მოხდა თითოეული მენეჯერის წერილობით და წლიურ მიზნებში, და მოიცავდა ინდიკატორებს და მიზნებს GOBI 4P შესაბამისად. დამატებით, რეკომენდირებული იქნა, რომ GOBI 4P სტრატეგია და შესრულება გათვალისწინებული ყოფილიყო ზემდგომი მენეჯერების შეხვედრების, დეპარტამენტების შეხვედრების და გუნდის შეხვედრების განრიგში.

A11.38. მომხმარებლებთან კომუნიკაცია ხელს უწყობს GOBI 4P პროგრამის მიერ სასურველ ზრდაზე ორიენტირებას. მომხმარებლებთან ან GOBI პროდუქციის რეალიზატორებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით გაიცა რეკომენდაცია, რომ კომუნიკაციაში გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამის ელემენტები, რისთვისაც მოხდებოდა პროდუქტის იარაღების, პროდუქტის საინფორმაციო ფურცლების, გარანტიების და სხვა საშუალებების გამოყენება.

A11.39. მმართველობის პროგრამის დანერგვა მიზნად ისახავდა კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ მდგრადობის სტრატეგიის რეგულარულ გადასინჯვას და 4P პროგრამის შესრულების რეგულარულ შემოწმებას.

## 7. პროგრესი, შედეგები და მომდევნო ნაბიჯები

- კომპანიის მენეჯმენტმა შეისწავლა და დაამტკიცა 4P მდგრადობის სტრატეგია და 2019 წლის ყველა მოქმედების შესრულება დაევალა ნომინირებულ პერსონალს.
- ADB-მა შეზღუდული ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა GOBI-ის, რათა კომპანიას მენეჯერებისთვის ესწავლებინა 2019 წლის მოქმედებების მიღწევის საუკეთესო გზები. ამ ტექნიკურმა დახმარებამ ხელი შეუწყო GOBI-ის აერჩია პერსონალი ჰიგის ინდექსის მოდულების საბაზისო შეფასებისთვის.
- ADB დახმარებას უწევს SFA-ის სერტიფიცირების პროგრამის მომზადებაში.
- კომპანიის მდგრადობის სტრატეგია მიეწოდა SFA-ის სერტიფიცირების პროგრამის მომზადების მიზნით.
- ADB ამზადებს „ქვეყნის გზამკვლევს“ თუ როგორ შეუძლიათ მონდოლეთის ინდუსტრიებს ნებაყოფლობითი პროგრამების შემუშავება მდგრადობის გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის მიმართულებით. ნებაყოფლობითი პროგრამების მიღების გზით, ინდუსტრია აქტიურად ითანამშრომლებს მონდოლეთის მთავრობასთან ინდუსტრიის მდგრადი მიზნების მისაღწევად, რაც შეამცირებს მთავრობის მხრიდან მკაცრი რეგულაციების შემოღებას.

**C. შემთხვევა მესამე: ეკო-ნიშნის მქონე წინა სასკოლო დაწესებულების შენობის მდგრადი შესყიდვა**

## 1. მიმოხილვა

A11.40. შერმერი არის მცირე მუნიციპალიტეტი, რომელიც მდებარეობს ეერიეს სამხრეთით, სადაც 46, 500 ადამიანი ბინადრობს. მუნიციპალიტეტმა აიღო რიგი გარემოს დაცვის ვალდებულებების, რამაც განსაზღვრა მისი 2013 და 2020 წლების სტრატეგია, და მოიცვა მიზნები ეკო-მეგობრული მშენებლობის და ტექნიკური მომსახურების, ენერგო ეფექტური მოხმარების, კლიმატის დაცვის და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით.

A11.41. შესაბამისად, როდესაც მუნიციპალიტეტმა 2015 წელს მიიღო გადაწყვეტილება წინა სასკოლო განთლების ახალი შენობის შესყიდვაზე, ის გახდა შერმერის პირველი, ეკო-ნიშნის მქონე წინა სასკოლო დაწესებულება. ამ მიდგომით უზრუნველყოფილი იქნა, რომ ბავშვებს და პერსონალს მიეცემოდათ ჯანსაღი და კომფორტული გარემო, და დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის ამბიციები.

A11.42. NORDIC SWAN ეკო-ნიშნის მიღებისთვის მცირე ზომის სახლებმა, საცხოვრებელმა შენობებმა და სასკოლო/წინა სასკოლო დაწესებულებებმა უნდა დააკმაყოფილონ ენერგო ეფექტურობის, ქიმიური პროდუქტების, პროდუქტების და პროდუქციის და შენობის შიდა მოთხოვნები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ჯანმრთელობის, ასევე გარემოსთვის. დამატებით, ნიშნის მისაღებად აუცილებელია მშენებლობის პროცესის მართვის ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. შენობები ფასდება სასიცოცხლო ციკლის პერსპექტივის შესაბამისად, და უნდა ხასიათდებოდეს ენერჯის დაბალი მოხმარებით, უნდა აკმაყოფილებდეს გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს, და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ შესაბამისი სტანდარტების მასალები, და ქიმიური პროდუქტები. ასევე, აუცილებელია დაბალი ემისიების და გარემოს დაცვის მოთხოვნების დაკმაყოფილება სამშენებლო პროცესში.

## 2. შესყიდვების მიდგომა

### *საბაზრო დიალოგი*

A11.43. აქტიური საბაზრო დიალოგი წარმართა შესყიდვის განხორციელებამდე. პირველი ნაბიჯი იყო ინფორმაციის მოთხოვნის გამოქვეყნება, რომელიც მიზნად ისახავდა იმის შეფასებას არსებობდა თუ არა ინტერესი მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის კუთხით. დამატებით, მოპოვებული იქნა ინფორმაცია ენერჯის დაზოგვის მეთოდებზე- განსაკუთრებით გადაწყვეტილებები განათების, გათბობის, გაგრილების, წყლის მოხმარების, ენერჯის ეფექტური მოხმარების და ვენტილაციის კუთხით.

A11.44. ოთხი კონტრაქტორი გამოეხმაურა მოთხოვნას და ისინი მიწვეული იქნენ პირისპირ გასაუბრებაზე შესყიდვების პერსონალთან. შეხვედრის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული შესაძლო დაბრკოლებები და გადაწყვეტილებები მოთხოვნილ კრიტერიუმებზე. ვინაიდან ცნობილი იყო, რომ ნიშნის მინიჭების პროცესი მოითხოვდა უფრო აქტიურ ჩართულობას კონტრაქტორის მხრიდან, მუნიციპალიტეტმა დამატებით გამოიყენა საბაზრო დიალოგი იმის დადგენისთვის სურდათ თუ არა მომწოდებლებს პროექტში მონაწილეობა. მაგალითად, ადამიანური რესურსები, რომლებიც აუცილებელია სერტიფიცირების პროცესისთვის უფრო დატვირთული იქნებოდა ვიდრე სტანდარტული მშენებლობის შესყიდვისას.

### *შერჩევის კრიტერიუმები*

A11.45. კონტრაქტორებს მოეთხოვათ განესაზღვრათ პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ეკო-ნიშნის სერტიფიცირების პროცესზე. მონაწილეებს ასევე უნდა წარმოედგინა გეგმა

თუ როგორ უზრუნველყოფდნენ სამშენებლო პროცესის NORDIC SWAN მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას, მათ შორის ქვე-კონტრაქტორების ჩართულობით. ასევე, მოთხოვნილი იქნა NORDIC SWAN ენერგო ეფექტურობის დაკმაყოფილების შეთავაზება.

A11.46. მოთხოვნაში გათვალისწინებული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი მდგრადობის ტექნიკური მოთხოვნები:

- ენერჯის მოხმარება უნდა უტოლდებოდეს ან უნდა იყოს ეროვნული სტანდარტის ზედა მაჩვენებლის 75%, სხვა სიტყვებით 127 კილოვატი საათი ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში. აღნიშნული ვრცელდებოდა გათბობაზეც (მათ შორის გათბობაზე, გაგრილების სისტემაზე, განათებაზე, კონტროლსა და ავტომატიზაციაზე, თერმულ იზოლაციაზე, ფანჯრებსა და ცხელი წყლის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანაზე).
- როგორ მივალწიოთ ეკო-ნიშნის მოთხოვნებს ენერჯის მოხმარების კუთხით გათბობის, ვენტილაციის და კონდიციონერების სისტემების კუთხით, და როგორ შეიძლება შეიცვალოს ამ სისტემების კონტროლი.
- შეთავაზება თუ როგორ მოხდება ენერჯის მოხმარების გაზომვა და მონაცემების შეგროვება.

**კრიტერიუმები**

A11.47. ხელშეკრულების დადება ეფუძნებოდა ეკონომიკურად ყველაზე უპირატესი განაცხადის (MEAT) პრინციპს, ხოლო კრიტერიუმები წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ.

ფასი (50%)	ყველაზე დაბალი ღირებულების შეთავაზებას მიენიჭება მაქსიმუმ 50 ქულა, ხოლო სხვა შეთავაზებების დაანგარიშება მოხდება ამავე პროპორციით.
ხარისხობრივი საზომები (50%)	<b>მოწყობა ან ფუნქციური მახასიათებლები (50%).</b> შეთავაზებაში წარმოდგენილი გეგმები მტკიცდება და ყველაზე მისაღებ ფუნქციურ ღირებულებას მიენიჭება 10 ქულა.
	<b>ფასადი (15%).</b> ყველაზე მისაღები შეთავაზება მიიღებს 10 ქულას, და სხვები დაანგარიშდება პროპორციულად.
	<b>სატრანსპორტო მოწყობა (15%).</b> მიწოდების მარშრუტების და პარკირების ადგილები პერსონალის და ვიზიტორებისთვის, მარშრუტების მდებარეობა. ყველაზე მისაღებ ღირებულებას მიენიჭება 10 ქულა, და სხვები დაანგარიშდება პროპორციულად.
	<b>პროექტისთვის გამოყოფილი პერსონალი (10%).</b> პერსონალის სრულ განაკვეთზე მომუშავე წევრები შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით. ამ კრიტერიუმი დაკმაყოფილებისთვის მიენიჭება 10 ქულა, და სხვები დაანგარიშდება პროპორციულად.

**3. შედეგები**

A11.48. მიღებული იქნა ხუთი განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებდა სავალდებულო მოთხოვნებს და კონკრეტულ სტანდარტებს, მათ შორის იყო ოთხი კონტრაქტორი, რომელიც მონაწილეობდა საბაზრო ღიალოგში.

A11.49. ყველა განაცხადი შემოვიდა დაახლოებით 7 მილიონი ევროს (7.9 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობით. გამარჯვებული გახდა 4.95 მილიონი ევროს (5.48 მილიონი აშშ დოლარი) განაცხადი, და ყველაზე მაღალი დაფიქსირებული შეთავაზების ფასი შეადგენდა 6.6 მილიონ ევროს (7.46 მილიონი აშშ დოლარი). არსებობს ვარაუდი, რომ მონაწილეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ მონაწილეობით იმის გათვალისწინებით, რომ შენობას მიენიჭებოდა ეკო-



ნიშანი, და ამით კომპანია აჩვენებდა კარგი პრაქტიკის მოთხოვნების დაკმაყოფილების პოტენციას (რაც უპირატესობა იქნებოდა სხვა ხელშეკრულებებში მონაწილეობისთვის).

A11.50. ბოლოს, შენობის საფასურმა შეადგინა დაახლოებით 6 მილიონი ევრო, ან დაახლოებით 6.77 მილიონი აშშ დოლარი (ამ ფასში გათვალისწინებული იყო ყველა საბოლოო ცვლილება, რომელიც განხორციელდა მშენებლობის პროცესში). მშენებლობა დაიწყო 2016 წლის შემოდგომაზე, და დასრულდა 2017 წლის აგვისტოში, და ამავე პერიოდში სკოლის შენობას მიენიჭა NORDIC SWAN ეკო-ნიშანი.

### **მდგრადობის ზემოქმედება**

A11.51. მშენებლობა განხორციელდა ეკო-ნიშნის მქონე ქიმიკატებისგან თავისუფალი მასალების და პროდუქტების გამოყენებით. ამგვარად უზრუნველყოფილი იქნა როგორც შენობის შიგნით, ასევე გარეთ ემისიების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა. მშენებლობის პროცესი ექვემდებარებოდა დეტალურ მონიტორინგს, და იმართებოდა მშენებლობის პროცესში ყველა გარემო ან სტრუქტურული რისკის იდენტიფიცირებისთვის.

A11.52. გამოყენებული მასალები იყო გადამუშავებადი ან შესაძლებელი იყო მათი უსაფრთხოდ უტილიზაცია შენობის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ. შენობა აშენდა ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დემონტაჟი, ან დამლა და სხვა ადგილას ხელახლა აშენება, ან ქარხანაში გადამუშავება. გარე სათამაშო ადჭურვილობა ასევე აკმაყოფილებდა ეკო-ნიშნის სტანდარტებს, და დამზადდა დაუმუშავებელი ხის გამოყენებით, ან FSC სერტიფიცირებული მერქნის გამოყენებით, ხოლო საცოცი თოკები დამზადდა ბუნებრივი ბოჭკოების გამოყენებით.

A11.53. მშენებლობის პროცესი ასევე მოითხოვდა ინოვაციური მასალების წყაროებს, რაც თავის მხრივ მოითხოვდა კონტრაქტორის მიერ მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარებას და მასალების წარმომავლობის დადგენას და იმ კომპონენტების ჩანაცვლებას, რომლებიც არ აკმაყოფილებდა ეკო-ნიშნის მოთხოვნებს.

A11.54. შენობის მთლიანი წონა არის დაახლოებით 1, 400, 000 კილოგრამი და ყველა მასალა არის ეკო-მეგობრული, არ იწვევს ემისიებს. დამატებით, როგორც წესი სამშენებლო მასალების 10%-15% ნარჩენებად იქცევა, ხოლო ამ პროცენტის შემთხვევაში ნარჩენების მოცულობა შეადგენს 5%-ს. აღნიშნული მეტწილად განპირობებული იყო იმით, რომ სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი დაიჭრა წინასწარ.

A11.55. საბოლოოდ, შენობა მომხმარებლებს სასიამოვნო გარემოს სთავაზობს განათების, ხმაურის და ვენტილაციის კუთხით, რაც განპირობებულია ჭკვიანი არქიტექტურული დიზაინით. დღის შუქი საერთო მოხმარების ოთახებში სულ მცირე 2.5%, რაც რთული მისაღწევია ამ რეგიონში. ხმაური დამატებით წარმოადგენდა გამოწვევას, ვინაიდან შენობაში უნდა განთავსებულიყო 200 ბავშვი. თუმცა, ეკო-ნიშნით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებით ხმაურის დონე მნიშვნელოვნად დაბალია სხვა წინა-სასკოლო განათლების დაწესებულებებთან შედარებით. დამატებით, სავენტილაციო სისტემა კონტროლდება მოთხოვნის შესაბამისად, და ავტომატურად იცვლება ტენიანობის და ნახშირბადის მონიტორინგის მაჩვენებლების შესაბამისად (მაგალითად, წამკითხველი მოწყობილობები ავტომატურად მოითხოვს სავენტილაციო სისტემის მუშაობას), რაც კომფორტულ გარემოს ქმნის ყველასთვის.

A11.56. მწვანე ელექტროობა ხელმისაწვდომია ადგილობრივი ენერჯო კომპანიის დახმარებით, რომელიც ელექტრო ენერჯიას გამოიმუშავებს ბიოდეგრადირებადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენებით. კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს რაიონის გათბობა ენერჯიას



ყიდულობს ნარჩენების გადამამუშავებელი სადგურიდან, რომელიც ენერჯიას გამოიმუშავებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვით (გარდა მეტალის, შუშის, ქაღალდის და მუყაოსი).

### **სოციალური საკითხები**

A11.57. შენობის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ოთახები აშენდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით. მათ შორის, კარბები არის უფრო ფართო და ოთახებს აქვს დამატებითი სივრცე გადაადგილების გამარტივებისთვის. დიზაინის შერჩევის პროცესში მთავარი ყურადღება გამახვილდა ბავშვებზე. მაგალითად, ინტერიერის საბოლოო დიზაინის მომზადების ეტაპზე, საბავშვო ბაღის ბავშვების ჯგუფი ჩაერთო ფერების სქემის და ავეჯის შერჩევაში.

### **4. დასკვნა**

A11.58. საბაზრო დიალოგის გამოყენებით, განაცხადების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, და თითოეულმა გამოავლინა მუნიციპალიტეტის მიზნების აღქმა, მდგრადობის კრიტერიუმების და მოთხოვნების გათვალისწინება. თითოეულმა შეძლო მკაფიოდ წარმოედგინა საკუთარი გეგმა NORDIC SWAN ეკო-ნიშნის სერტიფიკატის მიღებისთვის.

A11.59. შესყიდვების პერსონალის გამოცდილება და ამბიციური გეგმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო როგორც ამბიციური მიზნების დასახვის, ასევე მითითებების მიცემის კუთხით. მკაფიო მიზნების დასახვით, და ბაზრის შესწავლისთვის დროის გამოყოფით, ასევე სტანდარტების და ეკო-ნიშნების დადგენით შესაძლებელი გახდა უსაფრთხო, ჯანსაღი, და მწვანე შენობის შესყიდვა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში დაზოგავს ხარჯებს.

## **D. შემთხვევა მეოთხე: ქალაქის საბჭოს მდგრადი პროგრამა**

### **1. მიმოხილვა**

A11.60. ჰილვუდი არის ქალაქი, რომელშიც ცხოვრობს 1.9 ადამიანი, ხოლო უფრო ფართო ურბანულ რეგიონში 4.9 მილიონი მაცხოვრებელი. ქალაქის საბჭო მართავს დაახლოებით 2000 ნაგებობას და ჰყავს დაახლოებით 12, 000 დასაქმებული სხვადასხვა მომსახურებებში, რომლებიც თავის მხრივ მართავენ საკუთარ, დეცენტრალიზებულ ბიუჯეტს.

A11.61. ქალაქი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მზარდ ყურადღებას უთმობს მდგრადობას საკითხის. პროცესი დაიწყო ფართომასშტაბიანი კონსულტაციებით, რის შედეგადაც მომზადდა მოქალაქეების მდგრადობის ვალდებულება. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ქალაქის მდგრადობის გზამკვლევის შემუშავებას.

A11.62. ქალაქის საბჭომ დამატებითი ყურადღება გაამახვილა შესყიდვების როლზე, რაც ხელს უწყობს გარემოს და სოციალური ამბიციების განხორციელებას და შეიმუშავა SCC პროგრამა.

A11.63. საბჭოს მდგრადობის პროგრამა მიმართულია შემდეგისკენ:

- საბჭოს გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შემცირება;
- მდგრადი ეკონომიკური და საწარმოო სისტემის წახალისება, ადმინისტრირების პოტენციალის გამოყენება; და
- ქალაქის საბჭოს მდგრადობის პოლიტიკის ყოვლისმომცველი ბუნების უზრუნველყოფა, და სამაგალითოდ გამოყენება.

### **2. მიდგომა**

A11.64. ქალაქის ყურადღება პირველ ეტაპზე გამახვილდა მწვანე ოფისის პროგრამის ფარგლებში შესყიდვების როლზე. აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია მდგრადი საოფისე პროდუქციის შესყიდვაზე. ამ პროგრამის ყურადღება კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ყველა პროდუქტს, მომსახურებას და სამუშაოს რომლის შესყიდვასაც ახდენს საბჭო ხელს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სოციალურ, ეთიკურ და გარემო მიზნების მიღწევაზე.

A11.65. პროგრამის სტრატეგიული მიზნები განისაზღვრა მონაწილეობითი პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, რომელიც ერთ წელს გაგრძელდა და 300-ზე მეტი თანამშრომელი მონაწილეობდა. პროცესის ფარგლებში შეფასდა ბოლო შესრულება და განისაზღვრა საერთო სამომავლო მიზნები და მოქმედებები. მოქმედების სფერო ვრცელდებოდა შესასყიდ პროდუქტებზე და მომსახურებებზე, ასევე ურბანულ განვითარებაზე, მშენებლობაზე და შენობების განახლებაზე, ასევე გამწვანების ღონისძიებებზე.

A11.66. პროგრამის დანერგვამ ხელი შეუწყო შიდა წესების ჩამოყალიბებას, რამაც უზრუნველყო გარემოს დაცვის კრიტერიუმების ხელშეკრულებებში გათვალისწინება და ორი სამთავრობო ზომით განისაზღვრა გარემოს დაცვის და სოციალური ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხელშეკრულებებში.

A11.67. ჩატარდა დამატებითი მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობდა შესყიდვების და მდგრადობის საკითხებით დაინტერესებული 200-ზე მეტი პირი. მიღწეული იქნა შეთანხმება დამატებით სავალდებულო კრიტერიუმების შემოღების შესახებ, რომლებიც გავრცელდა ყველა მუნიციპალურ ორგანოზე მაღალი პრიორიტეტის შესყიდვის კატეგორიებში (ელექტრობა, კომპიუტერული აღჭურვილობა, დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება, ღონისძიებები, კვებით უზრუნველყოფა, ქაღალდი, კომუნიკაციის ელემენტები, ტექსტილის პროდუქტები, მერქანი, საოფისე ავეჯი, პროექტები, და ავტომობილები). აღნიშნული მოთხოვნებით შემდგომ განისაზღვრა რეგულაციებში- 2015 წლის ტექნიკური ინსტრუქციები მდგრადობის კრიტერიუმების გამოყენებისთვის. აღნიშნული მოიცავდა შემდეგს:

- სამუშაო ფორმის შესყიდვა უნდა განხორციელდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების გათვალისწინებით და უნდა შეიზღუდოს ქიმიკატების გამოყენება OEKO TEX შესაბამისად.
- ხის მასალა მიღებული უნდა იქნას სერტიფიცირებული მდგრადი წყაროებიდან.
- მოწოდებული ელექტრო ენერჯის 100% მიღებული უნდა იქნას განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ან მაღალი ეფექტურობის წყაროებიდან.
- ყველა სკოლის კვებით უზრუნველყოფა უნდა შეიცავდეს ორგანულ საკვებს.
- ყველა კომპიუტერი უნდა აკმაყოფილებდეს ENERGY STAR სტანდარტს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს.
- 100% გადამუშავებული ქაღალდი.
- პრიორიტეტი ენიჭება ელექტრო ავტომობილების შესყიდვას.
- სახელმწიფო შენობები და საჯარო სივრცეების ელექტრო, წყლით მომარაგება უნდა აკმაყოფილებდეს ეკო-მეგობრულობის უმაღლეს დონეს.
- საჯარო ღონისძიებების ორგანიზება უნდა მოხდეს მწვანე გეგმის შესაბამისად,
- კომუნიკაცია და მარკეტინგული პროდუქტები უნდა ითვალისწინებდეს ეკო-გამოქვეყნების კრიტერიუმებს და მეტ მდგრად მასალას და პრაქტიკას.
- საოფისე ავეჯი დამზადებული უნდა იყოს გადამუშავებული მასალით ან მდგრადი ნედლეულით და არ უნდა შეიცავდეს ტოქსიკურ ნივთიერებებს.

- ნარჩენების სელექციური შეგროვება და მწვანე დასუფთავების პროდუქტების, ასევე მასალების გამოყენება.

A11.68. მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ბრძანების გამოქვეყნების შედეგად მდგრადი კრიტერიუმების გამოყენების ტექნიკური ინსტრუქციები სავალდებულო გახდა ყველა ხელშეკრულებისთვის და განისაზღვრა დამატებითი ხელსაწყოები გარემოს, სოციალური და ინოვაციური მიდგომების ხელშეკრულებებში გათვალისწინებისთვის, როგორც არის მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, და მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

### 3. დანერგვა

A11.69. დანერგვის დროს ყურადღება გამახვილდა პროდუქტებზე და მომსახურებებზე, რომლებიც განისაზღვრა ევროკომისიის მიერ და მიჩნეული იქნა, როგორც ევროკავშირის მწვანე სახელმწიფო შესყიდვების დანერგვის პრიორიტეტი (COM/2008/400). ამას დაემატა სხვა ხელშეკრულებები (ბიუჯეტის კუთხით), როგორც არის ქუჩების დასუფთავება ან განათების ტექნიკური მომსახურება.

A11.70. გარემოს დაცვის კრიტერიუმების დანერგვის ხელშეწყობისთვის, ტექნიკური დახმარების შეთავაზება მოხდა ქალაქის საბჭოს მდგრადობის პროგრამის მიერ ყველა დეპარტამენტთან და განყოფილებასთან მიმართებით.

A11.71. საკომუნიკაციო არხები დარჩა ღია შიდა სამუშაო ჯგუფების დახმარებით, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან კონკრეტული საკითხების განხილვისთვის. პერიოდულად იქმნებოდა სხვა ჯგუფებიც პრიორიტეტული საკითხების მაგალითად ხელშეკრულებების მეთოდებში ინოვაციების დანერგვის განსახილველად.

A11.72. ცნობიერების ამაღლების კამპანიები გაიმართა პერსონალის ინფორმირების მიზნით. მზადდებოდა რეგულარული ელექტრონული სიახლეები, და შეიქმნა პროგრამის ვებგვერდი, ტარდებოდა სწავლებები და სამიზნე საინფორმაციო კამპანიები.

### 4. შედეგები

A11.73. პროგრამა თანამშრომლობდა შესყიდვების კოორდინირების დეპარტამენტთან, რათა მდგრადი შესყიდვების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებული ყოფილიყო ავტომატური შესყიდვების დამუშავების სისტემაში. სხვადასხვა პროდუქტების ინდივიდუალური მონიტორინგის შედეგად მიღწეული იქნა შემდეგი შედეგები:

- ჯამში შესყიდული ხის მასალის დაახლოებით 77% წარმოადგენდა ტყის რესურსების მართვის საბჭოს ან პროგრამის მიერ სერტიფიცირებულ მასალას.
- გარემოს დაცვის კრიტერიუმი გათვალისწინებული იქნა ქუჩების დასუფთავებაში და ნარჩენების შეგროვების ხელშეკრულებებში, რამაც შეამცირა გამოყენებული ბიო-დიზელის ავტომობილების გარემოზე ზემოქმედება 35%, გაზის შემთხვევაში 25%-ით, და ელექტრო ან ჰიბრიდის ტიპის ავტომობილების შემთხვევაში 30%-ით. პოლიციამ შეიძინა 145 ჰიბრიდის ტიპის ავტომობილი.
- გამოყენებული ქაღალდის 78% გახდა გადამუშავებული ქაღალდი, და დეპარტამენტის ადმინისტრაციები იყენებდნენ 90%-ზე ან ხშირ შემთხვევაში 100% გადამუშავებულ ქაღალდს.
- საბჭოს ყველა ნაგებობის, ინსტალაციის და ასოცირებული ორგანიზაციების ელექტრო ენერჯის მომარაგების ჩარჩო ხელშეკრულების შემოღების შემდეგ დაიზოგა 37,583 მეტრი ტონა ემისია, რისთვისაც ხდებოდა 100% განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ელექტრო ენერჯის გამოყენება.

## 5. დასკვნა

A11.74. პროგრამა SCC წარმატებული გახდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და პასუხისმგებლობის გრძნობის გამო. ზოგიერთი დეპარტამენტი და განყოფილება ახლა ამზადებს შესყიდვების სახელმძღვანელოებს, რომლებიც ეფუძნება ამავე სტრუქტურას, მაგრამ შეეხება იმ პროდუქტებსა და მომსახურებებს, რომლებიც თავდაპირველად არ იყო პრიორიტეტული- მაგალთად დიზაინი და წარმოება, ან საოფისე მარაგების შესყიდვა.

A11.75. საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს ყველა მუნიციპალური უწყებისთვის განმარტებამ ხელი შეუწყო საბჭოს მიერ პასუხისმგებლიანი შესყიდვის განხორციელებას. ერთი სტრატეგიული რეგულაციის დაკმაყოფილებამ გამოიწვია SCC ხელსაწყოების, მომსახურებების და ინიციატივების მიმართ ინტერესის ზრდა.

A11.76. ბოლო ათწლეულის უწყვეტი მუშაობა და ძალისხმევა ადმინისტრაციის გამწვანების მიმართულებით უკვე აჩვენებს შედეგებს, რომელთა მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა მომწოდებლებთან უწყვეტი და მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. ინოვაციური გადაწყვეტილებები და ინიციატივები (როგორც არის ბაზრის ჩართულობის აქტივობები, ახალი კონცეფციების გამოყენება, და ახალი ხელსაწყოები ჭკვიანი მართვისთვის) ფუნდამენტური აღმოჩნდა მდგრადობის მიზნების მიღწევის და შესყიდვის პროცესებში მდგრადი ინოვაციების გამოყენებისთვის.